ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბასთუმნის ვარსკვლავები

ფასი 5 ლარი

ISSN 1987-7528

9 771987 752008

ლიბერალი

№ 176
დეკემბერი 2016
იანვარი 2017

1737
2016

63



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკა მორჩილაძე



ანი მილორნი

გისავნჭა სტეილინგით შოის

შეიძინეთ
„ლიბერალის ბიბლიოთეკის“
პირველი წიგნი

გამომცემლობა „არტანუჯი“

ლიბერალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიბერალი

№ 176
დეკემბერი 2016 – იანვარი 2017

ჟურნალის რედაქტორი
ზურაბ ვარდიაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი
ლიკა ზაკაშვილი

ახალი ამბების რედაქტორი
დათო გამისონია

ფოტორედაქტორი
ლევან ხერხეულიძე

ჟურნალისტები
ზურაბ ვარდიაშვილი, ლიკა ზაკაშვილი, ქეთევან ღვედაშვილი, თათია ხალიანი, ეკა მაღალდაძე, სოფო აფციაური, ბასტი მგალობლიშვილი, დათო ფარულავა, ნათია ამირანაშვილი, დათო გამისონია, სალომე გორგოძე, ქრისტინე მუჯირი

კონტრიბუტორები
ლევან ახალაია, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, გიორგი კეკელიძე, გრიგოლ გეგელია

ჟურნალის დიზაინერი
თორნიკე ლორთქიფანიძე

ჟურნალის და ნიუსჯგუფის რედაქტორ-სტილისტი/კორექტორი
ნინო კალატოზიშვილი

თემატური ჯგუფის სტილისტ-კორექტორი
ნათია ორმოცაძე

ბიზნესგანვითარების მენეჯერი
ქეთევან ქავთარაძე

ადმინისტრაციული მენეჯერი
მზია კუბლაშვილი

დისტრიბუტორი
გიგი ნაზარაშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები
დაგვიკავშირდით: 247 02 46

გამომცემელი:
შპს „ლიბერალი“.
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი 50. ტელ.: (995 32) 2470246
ელ-ფოსტა: info@liberali.ge, liberali.magazine@gmail.com
ვებგვერდი: www.liberali.ge
საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბეჭდვა:
შპს „სეზანი“.
მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის თვეში ერთხელ, ყოველ 10 რიცხვში. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში.

რეკომენდებული საცალო ფასი 5 ლარი.

www.liberali.ge

90

"საახალწლოდ"



„რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“ – ეს ალბათ ყველაზე ბანალური, მრავალგზის ციტირებული დასაწყისია საახალწლო ნომრის სარედაქციო სვეტისთვის.

წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: საქართველოს ქალაქებსა თუ სოფლებში, ზამთრის სუხიან, მაგრამ მხიარულ საღამოს, სამსახურიდან დაბრუნებული, დაღლილი მკითხველი, ივახშმებს, დაისვენებს, სავარძელში მოკალათდება, პლედს მოიფარებს და ბუხრის თუ გამათბობლის ტკაცატკუცთან ერთად „ლიბერალის“ საახალწლო ნომერს გადაშლის, სარჩევს თვალს გადაავლებს, ცხელ ყავას მოწრუპავს და თვალსაზრისების, ინტერვიუების, რეპორტაჟების კითხვას შეუდგება...

ასეთ დროს მინდა, წარმოვიდგინო, რომ კითხვის დასრულების შემდეგ არავის მოეწამლება გუნება, არავის მოეშხამება საახალწლო განწყობა და ის საზეიმო განცდა, რაც პირადად ჩემთვის დეკემბრის შუა რიცხვებიდან ძლიერდება ხოლმე. მაგრამ ამ წარმოდგენას – „ლიბერალის“ მკითხველის იდილიას, არღვევს სწორედ საქართველოს ყველაზე გამორჩეული ლიბერალის მარადიული კითხვა: „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“?

გილოცავთ თოვლის პირველ ფანტელებს, რომელსაც მოაქვს სიცივე და გაყინულ ადამიანთა ცხედრები ქუჩებში, ვინაიდან სახელმწიფოს არ სურს, დაინახოს ისინი.

გისურვებთ ხვავს და ბარაქას საზეიმო სუფრებზე, რომელსაც უფრო და უფრო ნაკლები ადამიანი გაშლის 31 დეკემბრის ღამეს, რადგან პროდუქტებს ისეთი სისწრაფით ეკიდება ცეცხლის ფასი, როგორც ჩინურ მაშხალას.

გისურვებთ შეუზღუდავ თავისუფლებას, განსაკუთრებით მათ, ვინც ბორკილებით წაათრიეს იზოლატორებში, ადამიანის უფლებათა დღეს გამართული აქციიდან და რომელთაც ახალ წლამდე ზუსტად 2 დღით ადრე გამოუცხადებს მოსამართლე გადაწყვეტილებას.

გილოცავთ ბავშვებს. ახალი წელი ბავშვების დღესასწაულია. საქართველოშიც, სადაც იუნისეფის ბოლო კვლევის მიხედვით, ყოველი მეხუთე მათგანი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს...

დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ ყველას, ვისაც შესაძლოა, არ გეზეიმებათ, ვისთვისაც ზეიმი მაშინ იწყება, როდესაც არ შია, არ სცივა, თავზე ჭერი აქვს, როდესაც არ რიყავენ საზოგადოებიდან, არ მიუთითებენ განკუთვნილ ადგილს, ვთქვათ „სპალნას“ ან „კუხნას“, ვისთვისაც ზეიმია, როდესაც სახელმწიფოს რეპრესიული საცეცები არ ბოჭავს, არ ზღუდავს, არ ხელყოფს მის ყველაზე ძვირფას ბუნებით უფლებებს – სიცოცხლეს, ღირსებას, თავისუფლებას.

მომავალ წლამდე.

ზურაბ ვარდიაშვილი, ჟურნალის რედაქტორი

სარჩევი

04 **ავტორები**
უცხოეთი
06 ტრიბუნალი უგმიროდ
ავტორი: ლევან ახალაია
თვალსაზრისი
12 რენცის რეფერენდუმი
ავტორი: გრიგოლ გეგელია
16 ბრძოლა ელისეისთვის
ავტორი: გრიგოლ გეგელია
ინტერვიუ
20 „ადვილია, დაწერო კანონები – რთულია, დაწერო კარგი კანონები“
ავტორი: ზურაბ ვარდიაშვილი
პოლიტიკა
24 ნაბიჯ-ნაბიჯ ევროკავშირისკენ
ავტორი: დათო ფარულავა
სამართალი
28 ჩვენი უფლებების 4 წელი
ავტორი: ქეთევან ღვედაშვილი
განათლება
32 არაქართულენოვანი სკოლების საკადრო გასაჭირი
ავტორი: სალომე გორგოძე
საზოგადოება
38 ქალები საკუთარი ადგილის დასაბრუნებლად
ავტორი: თათია ხალიანი
46 მე ნატა მქვია
ავტორი: დათო ფარულავა
56 აბასთუმნის ვარსკვლავები
ავტორები: ეკა მაღალდაძე, ქრისტინე მუჯირი
ფოტოპროექტი
68 მე
კულტურა
82 მზერა „სხვისი სახლისკენ“..
ავტორი: დავით ბუხრიკიძე
სპორტი
87 საახალწლო ანალიზი
ავტორი: გიო ახვლედიანი

ფოტო: სოფო ავდალიანი



 პოლიტიკა

ნაბიჯ-ნაბიჯ, ევროკავშირისკენ

რამდენად შორს ვართ იმ უმთავრესი მიზნისგან, რომელსაც ევროკავშირის წევრობა ჰქვია? ამ მიმართულებით გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ ქვეყნის ხელისუფლებას, ოპოზიციასა და არასამთავრობო სექტორს განსხვავებული მოსაზრებები და არგუმენტები აქვთ. ევროკავშირის წევრობის სურვილის ღიად გამოხატვის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლება ჯერ მზად არ არის, ამბიციური განცხადება გააკეთოს და გაწევრების საკითხი ევროკავშირის დღის წესრიგში ოფიციალურად დააყენოს. ოპოზიცია მიიჩნევს, რომ საქართველოს ევროპული პერსპექტივისკენ სვლა მრავალმა ფაქტორმა შეანელა და ამაში დამნაშავე სწორედ რომ ხელისუფლებაა.

დათო ფარულავა
გვ.24

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ესსეები

ტრიბუნალი უგმიროდ

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ერთადერთი მუდმივმოქმედი ტრიბუნალია, რომელსაც შეუძლია გენოციდში, სამხედრო თუ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში ბრალდებულების გასამართლება და დასჯა. 2002 წელს დაფუძნებული სამართლებრივი ინსტიტუტის მიმართ კრიტიკა და არცთუ უსაფუძვლო შენიშვნები ხშირად ისმოდა, თუმცა 2016 წლის ბოლოს რომის სტატუტის ხელმომწერი რამდენიმე სახელმწიფოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა, ჰაგის სასამართლოს არსებობა საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს.

ლევან ახალაია
33.06

თვალსაზრისი

რენცის რეფერენდუმი

4 დეკემბერს იტალიაში გაიმართა ისტორიული რეფერენდუმი, რომელიც იტალიელებს კონსტიტუციის ფუნდამენტურად შეცვლას სთავაზობდა. რეფერენდუმზე ამომრჩეველთა 69%-ზე მეტი გამოცხადდა. იტალიამ ცივი უარი განუცხადა რენცის რეფერენდუმს – ცვლილებას მხოლოდ 40% მიემხრო, 60%-მა კი უარი განაცხადა. დილის პირველის ნახევარზე, იტალიის პრემიერმა სპეციალური ბრიფინგი გამართა. „ჩემი მთავრობა აქ სრულდება“, – აუწყა რენციმ იტალიას.

გრიგოლ გეგელია
33.12

ინტერვიუ

„ადვილია დაწერო კანონები – რთულია, დაწერო კარგი კანონები“

საპარლამენტო ცხოვრება ძალიან განსხვავდება აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობისგან. ადვილია, დაწერო კანონები, თუმცა რთულია, დაწერო კარგი კანონები. საპარლამენტო უმრავლესობა დღეს ძლიერი გუნდია – წარმატებული ადამიანებით, რომელთაც საქმის კეთების თანამედროვე გამოცდილება, კარგი განათლება და შედეგების მიღწევის დიდი მოტივაცია აქვთ. გამოცდილი პოლიტიკოსები და ახალგაზრდა ლიდერები IX მოწვევის პარლამენტში მშვენიერ ტანდემს ქმნიან სწრაფი, მაგრამ კარგად გათვლილი გადაწყვეტილებების მისაღებად. მჯერა, ამ შესაძლებლობას გამოვიყენებთ. მართალია, თანაგუნდელებმა უმრავლესობის ლიდერის პოზიციაზე ამირჩიეს, თუმცა ერთი წუთითაც არ დამვიწყებია, რომ ჩვენი გუნდის თითოეული წევრი ლიდერია – მათგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება.

ზურაბ ვარდიაშვილი
33.20

სპორტი

საახალწლო ანალიზი

ჩეკას საქმე და ხლართები არასდროს აკლდა, მაგრამ ჩანს ამ ქვეყნისათვის სპორტულ კვარცხლბეკთა დაპყრობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ჯილდოების მოპოვების საქმეში სახელმწიფო მანქანის ყველაზე მძიმე არტილერია ჩართულა.

გიო ახვლედიანი
33.87

ხელოვნება

მზერა „სხვისი სახლისკენ“

„სხვისი სახლი“ ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებული ფილმია, მთავარ როლებს ია სუხიტაშვილი, სალომე დემურია,ზურაბ მაღალაშვილი, ოლგა დიხოვიჩნაია, ეკატერინე ჯაფარიძე და საბინა ახმედოვა ასრულებენ.

დავით ბუხრიკიძე
33.82

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევან ღვედაშვილი
ჩვენი უფლებების 4 წელი

მინისტრები კაბინეტებს დაუბრუნდნენ, პარლამენტის წევრები – სხდომათა დარბაზს. არიან ისეთებიც, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების გარეთ რომ დარჩნენ და ისეთებიც, პირველად რომ მოირგეს მინისტრისა და დეპუტატის სავარძლები. თუმცა მომავალი ოთხი წლის განმავლობაში სწორედ ხელისუფლებაში დარჩენილები შექმნიან პოლიტიკურ ამინდს.

დათო ფარულავა
მე ნატა მქვია

ნატა 21 წლის ტრანსგენდერი ქალია. დღეს სალონში სტილისტად მუშაობს და თავის უზრუნველყოფაც შეუძლია, თუმცა 4 წლის წინ ყველაფერი სხვაგვარად იყო. ქალაქში ახალჩამოსულს იმავე გზის გავლა მოუწია, რომელსაც საზოგადოებისგან გარიყული ტრანსგენდერი ადამიანები უფულობის გამო დაადგებიან ხოლმე.

თათია ხალიანი
ქალები საკუთარი ადგილის დასაბრუნებლად

ქალები სექსუალური შევიწროების, ადრეულ ასაკში ქორწინების, ფემიციდის წინააღმდეგ. მსვლელობები ქუჩებში შრომითი უფლებების, თანასწორობისა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდისთვის, ქალი პოლიტიკოსების მიერ პარლამენტში საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნა, ხმაურიანი განხილვები და ჩაგდებული ინიციატივები...

> არაქართულენოვან სკოლებში მოსწავლეები სხვადასხვა საგანს ორენოვანი სახელმძღვანელოებით სწავლობენ. სასწავლო მასალის ნაწილი ქართულ ენაზეა, ნაწილი – ეთნიკური უმცირესობების. შესაბამისად, საგნის მასწავლებლისთვის ქართული ენის ცოდნა მნიშვნელოვანია.



სალომე გორგოძე
არაქართულენოვანი სკოლების საკადრო პრობლემები

საგარეჯოს რაიონის სოფელ დუზაგრამაში აზერბაიჯანულენოვანი საჯარო სკოლა ნახევარ საუკუნეზე მეტია მოქმედებს. სკოლაში 350 მოსწავლე სწავლობს და ოცი მასწავლებელი ასწავლის. მათ შორისაა თალეჰ ფაშაევი, რომელმაც სკოლაში, ინგლისური ენის მასწავლებლად მუშაობა სექტემბრიდან დაიწყო.

ბლოგი

ნუკა ზურაშვილი
ოდა მუშებს

ვინმემ ხელებზე რომ დამხედოს, მაშინვე მიხვდება, რომ მუშა ვარო. ვუთხარი, არაფერი სათაკილო ამაში არაა, პატიოსნად შრომობ-მეთქი. მართალი ხარო, ღიმილით მითხრა. ახლა კი საქვეყნოდ მინდა ვუთხრა მას: მამა, მე მეამაყება შენი გაშავებული ხელები!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნიერების ევოლუცია

ლევან
ბერძენიშვილი

შეიძინეთ
„ლიბერალის ბიბლიოთეკის“
მეორე წიგნი

გამომცემლობა „არტანუჯი“

ლიბერალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტრიბუნალი უბმოდ

ლევან ახალაია

კონგოელი თომას ლუბანგას ვინაობა, დარწმუნებული ვარ, საქართველოში ცოტამ თუ იცის. სამაგიეროდ, ის ახსოვთ სამშობლოში.

ხოლო 2012 წელს ჰააგაში მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ ლუბანგას სახელი ისტორიას სამუდამოდ დარჩება. მეამბოხეთა ყოფილი ლიდერი იყო პირველი ადამიანი, ვინც საერთაშორისო კრიმინალურმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო. გადაწყვეტილება მსოფლიოს ბრიტანელმა მოსამართლემ, ადრიან ფულფორდმა, გააცნო. „კონგოს პატრიოტთა კავშირის" სამხედრო ფრთის მეთაური მოსახლეობის დასაშინებლად დაგეგმილ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობას არასრულწლოვნებს აიძულებდა. ამის გამო, მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

ეს იყო პირველი ვერდიქტი, რომელიც სასამართლომ დაფუძნებიდან 10 წლის შემდეგ გამოიტანა.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ერთადერთი მუდმივმოქმედი ტრიბუნალია, რომელსაც შეუძლია გენოციდში, სამხედრო თუ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში ბრალდებულების გასამართლება და დასჯა. 2002 წელს დაფუძნებული სამართლებრივი ინსტიტუტის მიმართ კრიტიკა და არცთუ უსაფუძვლო შენიშვნები ხშირად ისმოდა, თუმცა 2016 წლის ბოლოს რომის სტატუტის ხელმომწერი რამდენიმე სახელმწიფოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა, ჰააგის სასამართლოს არსებობა საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„აფრიკის პროტესტი“

შვიდი თვის წინ ჰაგის შემოგარენში 240 მილიონ დოლარად შეფასებული უზარმაზარი შტაბ-ბინის გახსნისას, ალბათ, სასამართლოს 800 თანამშრომლიდან ვერც ერთი ვერ წამოიდგენდა, რომ ცოტა ხანში სასამართლო რთული გამოწვევების წინაშე დადგებოდა.

პირველი საგანგაშო გზავნილი სასამართლომ ბურუნდიდან მიიღო.

ოქტომბრის დასაწყისში ამ ქვეყნის პარლამენტმა დაამტკიცა კანონი, რომლითაც საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს წევრობაზე უარი თქვა. ასეთი იყო ბურუნდის მთავრობის პასუხი გაეროს მოთხოვნაზე, ადამიანის უფლებების სისტემატური დარღვევების გამოძიების შესახებ. აფრიკის კონტინენტის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სახელმწიფოში კრიზისი 18 თვის წინ გამართული არჩევნების დროს დაიწყო. პრეზიდენტმა პიერ ნკურუნზიზამ აფრიკელი მმართველების უმრავლესობის მიერ დამკვიდრებულ ტრადიციას არ უღალატა და ოპონენტების წინააღმდეგობის მიუხედავად, კონსტიტუცია შეცვალა, მესამედ იყარა კენჭი და გაიმარჯვა კიდეც. ოპოზიციის საპროტესტო აქციები კი ძალის გამოყენებით ჩაახშვეს. „Human Rights Watch“-მა მთავრობას ასობით მშვიდობიანი დემონსტრანტის მკვლელობაში დასდო ბრალი, თუმცა ბურუნდის მიერ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დატოვების შემდეგ ნკურუნზიზას და მის თანამებრძოლებს ბრალდებულთა სკამზე მსოფლიო, სავარაუდოდ. კიდევ დიდხანს ვერ იხილავს. ბურუნდისთან ერთად რომის სტატუტიდან ხელმოწერის გაწვევას აპირებდა გამბიაც. ოპონენტების დევნით ცნობილმა პრეზიდენტმა, იაჰია ჯამემ, არაერთხელ გააკრიტიკა სასამართლო და განაცხადა, რომ ჰაგაში ბრალდებულებს „კანის ფერისა და წარმომავლობის მიხედვით არჩევენ“, თუმცა გამბიაში მოვლენები სხვაგვარად განვითარდა – 1 დეკემბრის არჩევნებში ყველასათვის მოულოდნელად ოპოზიციონერმა გაიმარჯვა, რომელმაც წინა მთავრობის პოლიტიკის გადახედვისა და ადამიანთა უფლებების დარღვევების გამოძიების პირობა დადო. ყველაზე დიდი დანაკარგი ჰაგის სასამართლოსთვის მაინც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა იქნება. პრეტორიამ ნოემბერში ოფიციალურად წამოიწყო სასამართლოდან გასვლის პროცედურა. რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი სახელმწიფოს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში გამოძიება არასდროს დაწყებულა. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა რეგიონისთვის სამაგალითოც კია. ის სამართლიანობისა და შერიგების სიმბოლოა. ბევრი შიშობს, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას შესაძლოა, სხვა აფრიკული ქვეყნებიც მიჰყვნენ, სწორედ ამიტომ პრეტორიაში მიღებული გადაწყვეტილება ჰაგის სასამართლოს ლეგიტიმურობას ყველაზე მეტად უქმნის საფრთხეს.

აფრიკის კონტინენტზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიკერძოებულობაში ხშირად სდებენ ბრალს.

ჰაგის სასამართლოს აკრიტიკებენ როგორც საქმის წარმოების, ისე აღსრულების არაეფექტიანი მექანიზმისთვის. ძირითადად, იმის გამო, რომ მტკიცებულებების მოპოვებისა თუ ეჭვმიტანილის ექსტრადირებისას სასამართლო ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკურ ნებაზე ხდება დამოკიდებული.

ჰაგის სასამართლოს აკრიტიკებენ როგორც საქმის წარმოების, ისე აღსრულების არაეფექტიანი მექანიზმისთვის. ძირითადად, იმის გამო, რომ მტკიცებულებების მოპოვებისა თუ ეჭვმიტანილის ექსტრადირებისას სასამართლო ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკურ ნებაზე ხდება დამოკიდებული.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების არაეფექტიანი მექანიზმისთვის. ძირითადად, იმის გამო, რომ მტკიცებულებების მოპოვებისა თუ ეჭვმიტანილის ექსტრადირებისას სასამართლო ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკურ ნებაზე ხდება დამოკიდებული.

ამის ნათელი მაგალითი სუდანის პრეზიდენტი ომარ ალ ბაშირია. მიუხედავად იმისა რომ, მაღალჩინოსანი დარფურის რეგიონში ჩადენილ რამდენიმე უმძიმეს დანაშაულშია ბრალდებული, ის მაინც დაუბრკოლებლად მოგზაურობს აფრიკის კონტინენტზე. მათ შორის, სტუმრობს საერთაშორისო სასამართლოს წევრ სახელმწიფოებსაც. 2015 წლის ივნისში ომარ ალ ბაშირი სამხრეთ აფრიკაში იმყოფებოდა. მართალია, პრეტორიის სასამართლომ მას ქვეყნის დატოვება აუკრძალა, მაგრამ სუდანის ლიდერი მაინც დაუბრკოლებლად დაბრუნდა სამშობლოში. ამის გამო, სამხრეთ აფრიკა საერთაშორისო ვალდებულებების უგულებელყოფაში დაადანაშაულეს, რასაც ხელისუფლების მწვავე რეაქცია და ჰაგის სასამართლოდან გასვლის გადაწყვეტილება მოჰყვა.

კიდევ ერთი შენიშვნა, რომელიც აფრიკელებს აქვთ, იმ საქმეებს ეხება, რომლებსაც სასამართლო იძიებს. 10-დან 9 აფრიკულ ქვეყნებში ჩადენილ დანაშაულებს ეხება, თუმცა ამ არგუმენტს მარტივად აბათილებს ის ფაქტი, რომ გამოძიებათა უმეტესობა ჰაგაში თავად აფრიკული სახელმწიფოების მოთხოვნით დაიწყო.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიმართ კრიტიკული პოზიცია აქვს აფრიკულ კავშირსაც, რომელიც 54 ქვეყანას აერთიანებს. ორგანიზაცია უკვე დიდი ხანია მოუწოდებს ჰაგას, მოქმედი პოლიტიკური ლიდერების წინააღმდეგ გამოძიება შეწყვიტოს.

აფრიკული სახელმწიფოების რომის სტატუტიდან გასვლა აუცილებლად წარმოშობს კითხვის ნიშნებს იმ სახელმწიფოებში, რომლებიც ჰაგის სასამართლოს მთავარ სპონსორებად მიიჩნევიან. ასეთები კი არიან გერმანია, საფრანგეთი, იაპონია და დიდი ბრიტანეთი. თუ ეს სახელმწიფოები სასამართლოს დაფინანსებას შეამცირებენ, ჰაგაში იძულებულები გახდებიან, თანამშრომლები შეამცირონ, გამოძიებათა ნაწილი კი შეაჩერონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთიც გადის, საქართველო რჩება

აფრიკული სახელმწიფოების გარდა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დატოვებას გეგმავს რუსეთიც. „ტრიბუნალმა საერთაშორისო საზოგადოების იმედი ვერ გაამართლა“ – განაცხადეს კრემლში. სინამდვილეში, მოსკოვის გადაწყვეტილება ფორმალურია. რუსეთი არასდროს ყოფილა ჰააგის სასამართლოს წევრი, რადგან რომის სტატუტის ხელმოწერის შემდეგ მისი რატიფიკაცია არ მოისურვა. სიმბოლური იყო დრო, რომელიც მოსკოვში ამ გადაწყვეტილების მისაღებად შეარჩიეს. ვლადიმირ პუტინმა განკარგულება მას შემდეგ გასცა, რაც ჰააგის მთავარმა პროკურორმა ყირიმის ანექსიას ოკუპაცია უწოდა. წარმოშობით გამბიელი ფატუ ბენსუდას 15 ნოემბერს გამოქვეყნებულ ანგარიშში 2014 წელს ნახევარკუნძულზე განვითარებული მოვლენები ორ ქვეყანას შორის შეიარაღებულ კონფლიქტად არის შეფასებული. შესაბამისად, ამ დროს ჩადენილი დანაშაულების გამოძიება შესაძლებელია რომის სტატუტის ნორმების მიხედვით.

ჰააგის სასამართლოსადმი დამოკიდებულების გადახედვის პირობა რუსეთის ხელისუფლებამ პირველად ჯერ კიდევ წლის დასაწყისში დადო, როდესაც ცნობილი გახდა, რომ წინასასამართლო პალატამ პროკურორ ბენსუდას რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის დროს ჩადენილი შესაძლო დანაშაულების გამოძიების უფლება მისცა. პალატამ დაასკვნა, რომ სასამართლოს იურისდიქციაში მოქცეული დანაშაულები, სავარაუდოდ, მოხდა ომის წინ, მისი მიმდინარეობისას და დასრულების შემდეგაც. ამიტომ გამოძიება მოიცავს 2008 წლის 1 აგვისტოდან 10 ოქტომბრამდე პერიოდს.

ჰააგის სასამართლოსადმი დამოკიდებულების გადახედვის პირობა რუსეთის ხელისუფლებამ პირველად ჯერ კიდევ წლის დასაწყისში დადო, როდესაც ცნობილი გახდა, რომ წინასასამართლო პალატამ პროკურორ ბენსუდას რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის დროს ჩადენილი შესაძლო დანაშაულების გამოძიების უფლება მისცა.

როგორც თავად პროკურორმა საქართველოში ვიზიტისას განაცხადა, არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ჩადენილია სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაული. საუბარია სამხრეთ ოსეთიდან ეთნიკური ქართველების გაძევებასა და მშვიდობისმყოფელების მიმართ თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვდასხმაზე. გამოძიება ეხება კონფლიქტში ჩართულ სამივე მხარეს – საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, სამხრეთ ოსეთის ძალებსა და რუსეთის სამხედრო ძალებს.

ქართული მხარე აქტიურად თანამშრომლობს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან. რუსეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი კი ამაზე ერთმნიშვნელოვნად უარს აცხადებენ.

როგორც პროკურორი ფატუ ბენსუდა ამბობს, მიუხედავად ამისა, გამოძიების ფარგლებში მტკიცებულებები სხვადასხვა წყაროდან შეგროვდება და დანაშაულის დადასტურების შემთხვევაში, ამა თუ იმ ეჭვმიტანილი პირის დაპატიმრების ორდერს გასცემენ.

იმის გამო, რომ რუსეთი რომის სტატუტის ხელმომწერი არ არის, ბრალდებულებს, თეორიულად, მხოლოდ იმ შემთხვევაში დააკავებენ და გაასამართლებენ, თუ ისინი ჰააგის სასამართლოს წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე გადავლენ, თუმცა არც ეს არის გარანტირებული, რასაც სუდანის პრეზიდენტ ომარ ალ-ბაშირის სამხრეთ აფრიკაში სტუმრობაც ადასტურებს.

ასეთ პირობებში არსებობს კიდევ ერთი ცხადი საფრთხე – თუ ჰააგის სასამართლომ გამოძიების შედეგად დაადგინა საქართველოს შეიარაღებული ძალების დანაშაული, შესაძლოა, მათ მიმართ სამართალი აღსრულდეს, ხოლო რუსეთი დაუსჯელი დარჩეს.

ჰააგის სასამართლოდან გასვლა მოსკოვს ასევე მისცემს საშუალებას, აარიდოს სამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ რუს სამხედროებს, რომლებსაც არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სირიასა და უკრაინაში ჩადენილ სამხედრო თუ სხვა მძიმე დანაშაულში დასდებენ ბრალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლოს მომავალი

ასეთი პრობლემების ფონზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, სავარაუდოდ, ეცდება, მაქსიმალურად ეფექტიანად უპასუხოს კრიტიკოსებს. ეს ბოლო პერიოდში გადადგმულ ნაბიჯებშიც გამოიკვეთა. სასამართლო სულ უფრო მეტად ცდილობს, თავი აარიდოს აფრიკელი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ გამოძიების დაწყებას და მეტ აქცენტს ნაკლებად გავლენიან დამნაშავეებზე აკეთებს, რაც აფრიკული ქვეყნების მოთხოვნა იყო. შეინიშნება გამოძიებათა მხრივ არსებული რეგიონული დისბალანსის აღმოფხვრის მცდელობებიც. ამას ადასტურებს წინასწარი გამოკვლევა, რომელიც სასამართლომ ავღანეთში ამერიკელი სამხედროებისა და სპეცსამსახურების თანამშრომელთა შესაძლო დანაშაულის შესახებ წამოიწყო. პროკურორები აცხადებენ, რომ ამერიკელი ჯარისკაცების მიერ 2003-2014 წლებში ავღანეთში დაკავებული 61 პირის მიმართ ჩადენილი ძალადობის მტკიცებულებებს ფლობენ. ანალოგიურ დანაშაულში ეჭვმიტანილები არიან ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ პოლონეთში, ლიტვასა და რუმინეთში მოქმედი საიდუმლო ციხეების თანამშრომლებიც. ფატუ ბენსუდას 2015 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სავარაუდოდ დაკავებულების მიმართ არაადამიანური მოპყრობა სისტემატურად ხდებოდა და აშშ-ის ხელისუფლების უმაღლესი პირების მიერ იყო დაშვებული. ანალოგიური წინასწარი კვლევა დაწყებულია კოლუმბიაში, პალესტინასა და უკრაინაში ჩადენილი შესაძლო დანაშაულების დასადგენად.

ცხადია, რჩება უამრავი მოუგვარებელი საკითხიც. 14 წლის განმავლობაში სასამართლომ, რომლის მუშაობისთვის მილიარდ დოლარზე მეტი დაიხარჯა, მხოლოდ 4 გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. აღსანიშნავია ისიც, რომ, მოქმედი წესდებით, ჰაგაში საქმეს ბრალდებულის დაუსწრებლად არ განიხილავენ და ამისთვის აუცილებელია ჯერ მისი დაკავება. სასამართლოს არანაკლებ წინააღმდეგობას უქმნიან ის სახელმწიფოებიც, რომლებიც რომის სტატუტის ხელმოწერაზე უარს ამბობენ. ასეთი სულ 40 ქვეყანაა. მათ შორის – აშშ, ჩინეთი, ისრაელი და ინდოეთი. კიდევ 30-მა სახელმწიფომ ხელი მოაწერა დოკუმენტს, თუმცა მის რატიფიკაციაზე უარი თქვა.

მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არსებობა აუცილებელია და მის წევრობაზე უარის თქმა არ არის გამოსავალი. პირიქით, საჭიროა ინტენსიური მუშაობა, რათა სასამართლოს იურისდიქცია მეტ ქვეყანაში გავრცელდეს და ინსტიტუტის ძირეული რეფორმა დროულად დაიწყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დამნაშავეები დაუსჯელები, ხოლო ტრიბუნალი უგმიროდ დარჩება.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, სავარაუდოდ, ეცდება, მაქსიმალურად ეფექტიანად უპასუხოს კრიტიკოსებს. ეს ბოლო პერიოდში გადადგმულ ნაბიჯებშიც გამოიკვეთა. სასამართლო სულ უფრო მეტად ცდილობს, თავი აარიდოს აფრიკელი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ გამოძიების დაწყებას და მეტ აქცენტს ნაკლებად გავლენიან დამნაშავეებზე აკეთებს, რაც აფრიკული ქვეყნების მოთხოვნა იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰენსის ჰეფჰენდუმი

გრიგოლ გეგელია

პოლიტიკური იდეების ისტორიკოსი

4 დეკემბერს იტალიაში გაიმართა ისტორიული რეფერენდუმი, რომელიც იტალიელებს კონსტიტუციის ფუნდამენტურად შეცვლას სთავაზობდა. რეფერენდუმზე ამომრჩეველთა 69%-ზე მეტი გამოცხადდა. იტალიამ ცივი უარი განუცხადა რენცის რეფერენდუმს – ცვლილებას მხოლოდ 40% მიემხრო, 60%-მა კი უარი განაცხადა. დილის პირველის ნახევარზე, იტალიის პრემიერმა სპეციალური ბრიფინგი გამართა. „ჩემი მთავრობა აქ სრულდება", – აუწყა რენციმ იტალიას.

41 წლის ქარიზმატული მატეო რენცი თავისსავე ხრიკს შეეწირა. რეფერენდუმის დანიშვნის დროს იგი ჯერ კიდევ პოპულარული იყო. ამიტომ, ამომრჩევლის მობილიზების მიზნით, პრემიერმა განაცხადა, რომ რეფერენდუმში დამარცხების შემთხვევაში, გადადგებოდა. ეს ფატალური შეცდომა გამოდგა, რადგან ამ პროცესში რენციმ რეფერენდუმის ბედი თავის პოპულარულობას მიაბა, ხოლო რეფერენდუმი, რომელიც პოლიტიკური შინაარსის მატარებელი უნდა ყოფილიყო, აქცია რეფერენდუმად მისი პოლიტიკური პიროვნების შესახებ. დროსთან ერთად, როგორც ხდება ხოლმე, რენცის პოპულარობაც შემცირდა. 2014 წლის დასაწყისში, როცა რენცი პრემიერი გახდა, მას ბევრი აღიქვამდა სიახლედ. ფლორენციის ყოფილი მერი, წმინდად ფლორენციულ სტილში, ე. წ. „სასახლის ამბოხების" შედეგად გახდა პრემიერი, იტალიელების მიერ არჩევის გარეშე. ამიტომ მას არა კორუმპირებული და დისკრედიტებული პოლიტიკური ელიტის წევრად, არამედ გარედან მოსულ რეფორმატორად აღიქვამდნენ, თუმცა დროის მსვლელობასთან ერთად რენცის ამ იმიჯმაც ცვლილება განიცადა, რასაც ეკონომიკური სტაგნაცია, მაღალი უმუშევრობა (11.6%) და ახალგაზრდების უმუშევრობა (40%) დაერთო. სწორედ ამ ფონზე ამომრჩეველმა არჩია კონსტიტუციური რეფორმის უარყოფა, როგორც რენცის ჩამოშორების გარანტირებული გზა.

41 წლის ქარიზმატული მატეო რენცი თავისსავე ხრიკს შეეწირა. რეფერენდუმის დანიშვნის დროს იგი ჯერ კიდევ პოპულარული იყო. ამიტომ, ამომრჩევლის მობილიზების მიზნით, პრემიერმა განაცხადა, რომ რეფერენდუმში დამარცხების შემთხვევაში, გადადგებოდა. ეს ფატალური შეცდომა გამოდგა.

ამასთანავე, რეფერენდუმის პერსონალიზების გამო, რენციმ კონსტიტუციური ცვლილებების მოწინააღმდეგეთა რაოდენობაც გაზარდა. ყველა, ვისაც რენცის ჩამოშორება სურდა, კონსტიტუციური რეფორმების მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადაბარგდა. მათ შორის იყვნენ: მისივე დემოკრატიული პარტიის (Partito Democratico) წევრთა ნაწილი, ტრადიციული მემარჯვენე პარტიები (Forza Italia) და, ბუნებრივია, პოპულისტური პარტიები: „ხუთვარსკვლავიანი მოძრაობა" (Movimento Cinque Stelle) და „ჩრდილოეთის ლიგა" (Lega Nord). რენციმ მხოლოდ ბოლო თვეებში გაიაზრა თავისი ფატალური სტრატეგიული შეცდომა, რა დროსაც მან სცადა პერსონალიზებული რეფერენდუმის დეპერსონალიზაცია. მთელი იტალიის მასშტაბით გამართული კამპანიისას პრემიერი მუდმივად ცდილობდა, ხაზგასმით ეთქვა, რომ რეფერენდუმი იტალიისა და ევროპის მომავალს წყვეტდა და არა მისი კარიერის ბედს. მეტიც, რენციმ პირველი დაპირებაც გადათქვა და განაცხადა, რომ დამარცხების შემთხვევაშიც გააგრძელებდა ქვეყნის მართვას, თუმცა შედეგების გამოქვეყნებისას ცხადი გახდა, რომ რენციმ ზედმეტად დიდი განსხვავებით წააგო.

კონსტიტუციური რეფორმის იდეა უდავოდ ისტორიული და ამბიციური იყო და მეორე მსოფლიო ომისშემდგომი პერიოდის იტალიური კონსტიტუციური წესრიგის შე-

ცვლას განიზრახავდა. იტალიის რესპუბლიკის დამფუძნებელი მამების მიერ 1948 წელს მიღებული კონსტიტუცია თავისი დროის პირმშო იყო. მიზნად ისახავდა ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც შეუძლებელს გახდიდა ცენტრალური მთავრობის მიერ ძალაუფლების ერთპიროვნულად ხელში ჩაგდებას. ეს იყო ფსიქოლოგიური და პოლიტიკური რეაქცია არა მარტო მუსოლინის ფაშისტურ რეჟიმზე, რომელიც ჯერ კიდევ მწვავე მახსოვრობა იყო, არამედ კომუნისტური დაჯგუფებების ძალაუფლებაში მოსვლის პოტენციურ რისკზეც – ამას შესაძლებელს ხდიდა

პალმირო ტოლიატის პოპულარული და მარად მზარდი „იტალიის კომუნისტური პარტიის“ (Partito Comunista Italiano) არსებობა.

ამ ტიპის კონსტიტუციური მოწყობა უდავოდ სწორი პოლიტიკური და ფსიქოლოგიური რეაქცია იყო მუსოლინიზე და სხვა ექსტრემისტული დაჯგუფებების საფრთხის მიმართ. მაგრამ ის სავსებით არ აღმოჩნდა მართებული გამოსავალი იტალიაში სტაბილური პოლიტიკური სისტემის გასავითარებლად. მომავალი წლების განმავლობაში იტალიაში მთავრობები ერთმანეთზე უფრო სწრაფად დაემხობოდა – დამოუკიდებლობის 70 წლის განმავლობაში იტალიას უკვე 63 მთავრობა ჰყავდა. სწორედ ფლორენციელი პრემიერის 63-ე მთავრობამ გადაწყვიტა, წერტილი დაესვა ამ პოლიტიკური მოწყობისათვის, თუმცა სისტემა უფრო ძლიერი გამოდგა და 63-ე მთავრობაც კონსტიტუციის მსხვერპლთა სიას შეუერთდა.

1948 წლის იტალიის კონსტიტუციამ „სრულყოფილი ბიკამერალიზმი“ დააწესა. ამ წყობაში იტალიის პარლამენტი ორი პალატისაგან შედგებოდა: „დეპუტატთა კამერისა“ და „რესპუბლიკის სენატისგან“. მსოფლიოში ისტორიულად არაერთი ბიკამერალური სისტემა არსებულა და კვლავაც არსებობს, მაგრამ იტალიური მათ შორის ყველაზე უნიკალურია, რადგან, პირდაპირი გაგებით, ყველაზე „სრულყოფილია“. იტალიური სისტემა სრულიად სიმეტრიული ბიკამერული სისტემაა, როგორც ფუნქციურად, ასევე რაოდენობრივად. „დეპუტატთა კამერაში“ 630 წევრია, ხოლო „რესპუბლიკის სენატში“ – 315. მათი ფუნქციები, საკანონმდებლო უფლებამოსილებები და მოვალეობები კი ფაქტობრივად იდენტურია.

არსებული წყობის მიხედვით, რომლის შეცვლასაც რენცი განიზრახავდა, კანონის მისაღებად თითოეულმა პალატამ ერთი და იმავე კანონის ერთი და იგივე ვერსია უნდა გამოსცეს. მსგავსად ამისა, ახალი მთავრობის დამტკიცებისას, მას თითოეულმა პალატამ უნდა გამოუცხადოს ნდობა. ამ ტიპის მოწყობა თეორიულად, მართლაც, ყველაზე ეფექტიანია, როგორც ძალაუფლების გადანაწილების უზრუნველსაყოფად, ასევე პოლიტიკური თავისუფლების უზურპაციის თავიდან ასაცილებლად. თუმცა, როგორც კონსტიტუციის შეცვლის მომხრენი მართებულად აღნიშნავდნენ, ამგვარი წყობის ყველაზე დიდი სიკეთე მისი არაეფექტიანობის დასაბამიცაა. ამ წყობაში საკანონმდებლო პროცესი ნელი და არაეფექტიანია. რაკი თითოეულმა პალატამ ერთი და იმავე კანონის იდენტური ვერსია უნდა დაამტკიცოს, ხშირია ე. წ. navetta parlamentare, როცა პარლამენტის ორი პალატა ერთმანეთს წინ და უკან უგზავნის კანონპროექტების განახლებულ ვერსიას, რომელზეც ვერ თანხმდებიან, მაგრამ უნდა შეთანხმდნენ. მსგავსი ფენომენი ბრიტანეთშიც გვხვდება, სადაც მას პინგ-პონგს ეძახიან და გერმანიაშიც, ოღონდ აქ ადეკვატური მარეგულირებელი მექანიზმიც არსებობს, რომელიც საბოლოოდ კანონის მეტ-ნაკლებად დროულად მიღებას უზრუნველყოფს.

სწორედ ასეთი ვითარების საპირწონედ სცადა რენციმ ისტორიის წინააღმდეგ გალაშქრება. ცვლილების მომხრეთა უმთავრესი არგუმენტი ეფექტიანი პოლიტიკური სისტემის დამყარება იყო. კონსტიტუციური რეფორმა უპირველეს ყოვლისა საკანონმდებლო პროცესის გამარტივებას და დაჩქარებას ისახავდა მიზნად. ცვლილებების პაკეტის თანახმად, კანონმდებლებს დაუწესდებოდათ მაქსიმალური ვადა, რომელშიც უნდა განეხილათ და მიეღოთ კანონი. ხოლო სენატორთა რაოდენობა 315-დან 100-ამდე შემცირდებოდა. თუკი, ტრადიციულად, სენატორებს პირდაპირ ირჩევდნენ, ცვლილების დამტკიცების შემთხვევაში, 95 სენატორს არაპირდაპირი წესით აირჩევდნენ რეგიონული საბჭოები, ხოლო 5-ს იტალიის პრეზიდენტი დანიშნავდა.

შეუწყობს თუ არა ხელს რენცის დამარცხება პოპულისტებს? უდავოდ. „ხუთვარსკვლავიანი მოძრაობა“ უკვე იტალიის რიგით მეორე პოლიტიკური ძალაა, რომელიც რომის მერიას აკონტროლებს. როგორც მოსალოდნელი იყო, მათ მოითხოვეს ვადამდელი არჩევნების დანიშვნა და „ჩრდილოეთის ლიგასა“ და „წინ იტალიასთან“ თანამშრომლობის პოტენციალზეც ისაუბრეს.

რეფორმის დამტკიცების შემთხვევაში, სენატის ფუნქციები მნიშვნელოვნად შემცირდებოდა. რეალურად, მისი კომპეტენციის სფეროში მხოლოდ იტალიის სახელმწიფოსა და იტალიურ რეგიონებს შორის არსებული საკანონმდებლო და ადმინისტრაციული საკითხები და მათი ევროპულ კავშირთან ურთიერთობის საკითხებიღა დარჩებოდა. ხოლო „სრულყოფილი ბიკამერალიზმი“ არსებობს შეწყვეტდა, რაც საპარლამენტო რესპუბლიკანიზმისა და ძალაუფლების გადანაწილების ხარჯზე ცენტრალურ ხელისუფლებას გააძლიერებდა. იმავეს იზამდა ცვლილებათა პაკეტის კიდევ ერთი მუხლი, რომლის მიხედვითაც, საჭიროების ჟამს, ეროვნული ინტერესების შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით, მთავრობას კანონმდებლობის უფლებამოსილება მიენიჭებოდა, რეგიონულ საბჭოებს კი მთელი რიგი საკითხების (ინფრასტრუქტურის, ენერგიისა და საგარეო ვაჭრობის) ეროვნული ხელისუფლებისათვის დათმობა მოუწევდა.

რენცის საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტი უდავოდ დააჩქარებდა იტალიური პოლიტიკური ცხოვრების ტემპს, საკანონმდებლო პროცესს კი მოქნილს გახდიდა. თუმცა, როგორც არაერთი კრიტიკოსი მართებულად აღნიშნავდა, წარმატების შემთხვევაში, რენცის იდეა დემოკრატიული კონტროლის მექანიზმებს შეასუსტებდა და მის ხარჯზე ცენტრალურ ხელისუფლებას გაზრდილ და თან ნაკლებად კონტროლირებად ძალაუფლებას მიანიჭებდა. ამდენად, რენცის რეფერენდუმი უდავოდ შეიცავდა სარისკო ელემენტებს, ხოლო არსებული მოდელი, რომელიც ძალაუფლების უზურპაციას საგრძნობლად ართულებს, უდავოდ დადებითია, მით უმეტეს ისეთ სახელმწიფოში, სადაც მემარცხენე და მემარჯვენე პოპულიზმი ზეობს.

შეუწყობს თუ არა ხელს რენცის დამარცხება პოპულისტებს? უდავოდ. „ხუთვარსკვლავიანი მოძრაობა“ უკვე იტალიის რიგით მეორე პოლიტიკური ძალაა, რომელიც რომის მერიას აკონტროლებს. როგორც მო-

სალოდნელი იყო, მათ მოითხოვეს ვადამდელი არჩევნების დანიშვნა და „ჩრდილოეთის ლიგასა“ და „წინ იტალიასთან“ თანამშრომლობის პოტენციალზეც ისაუბრეს. თუმცა ვადამდელ არჩევნებს მოითხოვენ რენცის დემოკრატებიც. თუ პოპულისტებს ხელისუფლების დაპყრობა სურთ, რენცის დემოკრატებს – ძალაუფლების ხელახლა კონსოლიდირების სურვილი ამოძრავებთ. დაინიშნება თუ არა ვადამდელი არჩევნები, ამას იტალიის პრეზიდენტი, სერჯიო მატარელა გადაწყვეტს. პრეზიდენტი ყველაზე დიდი ალბათობით შეეცდება, ვადამდელი არჩევნები თავიდან აიცილოს, რათა იტალიის ისედაც დასუსტებულმა ეკონომიკამ მინიმალური ზარალი ნახოს. სავარაუდოდ, პრეზიდენტი მატარელა შემდეგ დღეებში შეეცდება, გამონახოს კონსენსუალური ფიგურა ე. წ. „მომვლელი“ პრემიერის თანამდებობისათვის.

მატეო რენცი

მაგრამ არის კი რენცის რეფერენდუმის დამარცხება პოპულისტების გამარჯვება? არა. Brexit-ის მსგავსად, როცა ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლას არა მარტო პოპულისტები, არამედ განსხვავებული პარტიების წევრთა გარკვეული ნაწილი ემხრობოდა, იტალიაშიც კონსტიტუციური რეფორმის წინააღმდეგ გამოვიდნენ არა მარტო პოპულისტები, არამედ სხვადასხვა სახის კონსერვატორებიც და დემოკრატებიც. არის თუ არა რენცის რეფერენდუმში დამარცხება Brexit-ისა და ტრამპიზმის გაგრძელება? არა. განსხვავებით ავსტრიისაგან, რომელიც არასტაბილურობის პერსპექტივით შეშინდა და იმავე 4 დეკემბერს ულტრამემარჯვენე პრეზიდენტობის კანდიდატს დამაჯერებელი უარი განუცხადა, იტალიას, რომელიც მუდამ არასტაბილურობის მდგომარეობაში იმყოფება, ცოტა რამ თუღა შეაშინებს. იტალიამ უბრალოდ რენცის გარეშე გაგრძელება გადაწყვიტა, მაგრამ ეს აუცილებლად არ გულისხმობს, რომ პოპულისტებთან ერთად გაგრძელება გადაწყვიტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრძოლა ელისეისთვის

გრიგოლ გეგელია
პოლიტიკური იდეების ისტორიკოსი

2017 წლის მაისში საფრანგეთი ახალ პრეზიდენტს აირჩევს. არჩევნებამდე ჯერ კიდევ 6 თვეა, თუმცა ბრძოლა პრეზიდენტობისათვის უკვე კარგა ხნის გაჩაღებულია. აქამდე დაპირისპირება უმეტესწილად პარტიებს შიგნით მიმდინარეობდა, რომლებიც საპრეზიდენტო კანდიდატებს ირჩევდნენ. ამ დროისთვის უკვე ცნობილია, რომ კონსერვატიული „რესპუბლიკელების“ (Les Républicains) საპრეზიდენტო კანდიდატი ფრანსუა ფიიონი იქნება, ხოლო „ეროვნული ფრონტის“ (Front National) სახელით მარინ ლე პენი იბრძოლებს. ჯერ კიდევ უცნობია მმართველი სოციალისტების საპრეზიდენტო კანდიდატი, რომელსაც პარტია იანვარში აირჩევს. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ 4%-იანი რეიტინგის მქონე მოქმედი პრეზიდენტი, ფრანსუა ოლანდი, არ აპირებს ხელმეორედ კენჭისყრას. საერთოდ, 2017 წელს სოციალისტის გაპრეზიდენტების ალბათობა მცირეა, რადგან პარტიას დაბალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეიტინგი აქვს და ბევრ ჯგუფადაა დაქსაქსული. ყველაზე დიდი ალბათობით საპრეზიდენტო არჩევნების ბოლო რაუნდში ფიიონი და ლე-პენი იბრძოლებენ.

ფრანსუა ფიიონი პრეზიდენტობის კანდიდატი უპრეცედენტო შიდაპარტიულ არჩევნებში გახდა, რომელიც პირველად ისტორიაში საფრანგეთის ყველა მოქალაქისთვის ღია იყო. რაკი სოციალისტებს გამარჯვების მინიმალური შანსი აქვთ, ლე პენის მთავარ კონკურენტად კონსერვატორი კანდიდატი აღიქმება. ამიტომ არჩევნებს სამ მილიონზე მეტი ფრანგი დაესწრო, რათა ისეთი კონსერვატორი კანდიდატის შერჩევა უზრუნველეყოთ, 2017 წელს ლე პენის დამარცხებას რომ შეძლებს.

ფაქტობრივად, მთელი შიდაპარტიული ბრძოლის განმავლობაში წამყვან კანდიდატად მიიჩნეოდა ბორდოს მოქმედი მერი, ყოფილი პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ალან ჟიუპე, რომელსაც მეორე ადგილზე ექსპრეზიდენტი სარკოზი მოსდევდა. ფიიონი, ვისი ბედიც ბოლო რამდენიმე კვირამ გადაწყვიტა, მხოლოდ მესამე ადგილს იკავებდა.

ფიიონი გამოცდილი პოლიტიკოსია, რომელიც 27 წლის ასაკიდან მოყოლებული მუდმივად ფრანგულ პოლიტიკაშია. 2007-2012 წლებში იგი პრემიერ-მინისტრიც იყო პრეზიდენტ სარკოზის ხელისუფლებაში, თუმცა ეს არ ყოფილა მისი საუკეთესო კარიერული მომენტი და სწორედ 2012 წლის შემდეგ დაიწყო ფიიონის პოლიტიკური ცხოვრების ყველაზე კონსერვატიული ფაზა, რომელმაც იგი 2016 წელს კონსერვატორთა საპრეზიდენტო კანდიდატად აქცია.

ფიიონის მოულოდნელ გამარჯვებას დიდწილად წლებით ადრე მისი უფრო მარჯვნივ გადასვლა ხსნის. ფრანსუა ფიიონი ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდან მოყოლებული „გოლისტი" იყო, რაც პრეზიდენტ შარლ დე გოლის პოლიტიკური პრინციპებისა და პოზიციების მიმდევრობას გულისხმობს. „გოლიზმი" ფრანგული პატრიოტიზმისა და ნაციონალიზმის ერთგვარი ნაირსახეობაა. მას ახასიათებს ტრადიციული სკეპტიციზმი როგორც აშშ-ის, ასევე ევროპული კავშირის მიმართ, რადგან ორივეს სუვერენული დამოუკიდებლობის ხელისშემშლელ ფაქტორებად აღიქვამს. „გოლიზმის" ერთ ნაირსახეობას – „სოციალურ გოლიზმს" მემარცხენე პოლიტიკური პრაქტიკაც ახასიათებდა. ამ ხედვის მიხედვით, რომელსაც ფიიონიც იზიარებდა, დადებითად მიიჩნევა სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩართულობა ეროვნული სტაბილურობისა და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. თუმცა 2012 წელს დაწყებულმა ტრანსფორმაციამ ფიიონისგან ახლებური „გოლისტი" დატოვა. ფიიონმა შეინარჩუნა „გოლისტური" კონსერვატიული ნაციონალიზმი, მაგრამ უარყო „გოლიზმის" მემარცხენე ასპექტები და მეტიც, მემარცხენე კეთილდღეობის სისტემის ერთ-ერთ მოწინავე ოპონენტადაც იქცა. ამის ნაცვლად, ფიიონი ტეტჩერისტული რადიკალური ეკონომიკის მომხრეა, მისი კულტურული პრეფერენციები კი – კონსერვატიულია. ფიიონი მტრობს მულტიკულტურალიზმს და ემხრობა „ბურკინის" აკრძალვას. როგორც აქტიური კათოლიკე, ფიიონი ასევე ეწინააღმდეგება აბორტსა და ერთნაირსქესიანთა ქორწინებას, რომელთაგან საფრანგეთში ორივე ლეგალურია. 1982 წელს ფიიონმა ჰომოსექსუალობის დეკრიმინალიზაციის წინააღმდეგაც მისცა ხმა, თუმცა, მისივე თქმით, დღეს იგი უკვე აღარ აპირებს არც აბორტის და არც ერთნაირსქესიანთა ქორწინების თაობაზე კანონების შეცვლას.

ფაქტობრივად, მთელი შიდაპარტიული ბრძოლის განმავლობაში წამყვან კანდიდატად მიიჩნეოდა ბორდოს მოქმედი მერი, ყოფილი პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ალან ჟიუპე, რომელსაც მეორე ადგილზე ექსპრეზიდენტი სარკოზი მოსდევდა.

ფიიონი ნამდვილი რადიკალია, როგორც კულტურული გაგებით, ასევე ტეტჩერისტული ეკონომიკური პრეფერენციებით, რომელთა წყალობით, იგი დაასრულებს 35-საათიან სამუშაო კვირას, თავს დაესხმება ფრანგული რესპუბლიკის კეთილდღეობის სისტემას და მასობრივად შეამცირებს საჯარო მოხელეებს. „ალან ჯიუპე ცდება, როცა ჩემს წინადადებებს ზედმეტად სარისკოს, ან რადიკალურს უწოდებს... მე ვეუბნები მას, რომ, თუ ჩვენ

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს არ გავწევთ ყველა რისკს, არც კი ვიცი, როდისღა გავწევთ რისკს!", – ქარიზმატულად შესძახა შიდაპარტიული არჩევნებისას ფიიონმა დამსწრე საზოგადოებას მაშინ, როცა ალან ჟიუპე ზომიერი კონსერვატიზმით ცდილობდა ფონს გასვლას და ცენტრისა და მემარცხენეების მიზიდვას. ჟიუპე ხაზს უსვამდა მულტიკულტურალიზმს და სხვა ფრანგულ რესპუბლიკანურ ღირებულებებს.

ტრამპის გაპრეზიდენტებიდან რამდენიმე დღეში გამართულ პარტიულ არჩევნებზე ფიიონის მესიჯმა გაცილებით დიდი მხარდაჭერა მოიპოვა. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ფიიონმა შეძლო ლე პენის მესიჯების მითვისებაც. მართლაც, იმიგრაციის, ისლამის, უსაფრთხოების, ნაციონალიზმისა და კონსერვატიზმის საკითხებზე ლე პენსა და ფიიონს შორის სავსებით არ არის ისეთი დიდი განსხვავება, როგორც ბევრს ოპტიმისტურად წარმოუდგენია, თუმცა დიდი განსხვავება არც მათ საგარეო პოლიტიკურ პრეფერენციებშია. ფიიონი პუტინის მეგობარია. ის ემხრობა რუსეთის ჩართულობას სირიის პრობლემის გადაჭრაში და პუტინის საგარეო პოლიტიკის კრიტიკის პასუხად, „ამერიკულ იმპერიალიზმსა" და NATO-ს კოსოვოში შესვლაზე იწყებს საუბარს.


ფრანსუა ფიიონი



მარინ ლე პენი

ფრანგ მემარჯვენეთა ორგანიზებული არჩევნების ფონზე სრულიად არაორგანიზებული და დაქსაქსულია მემარცხენე ფრონტი. ჯერ კიდევ გაურკვეველია როგორც სოციალისტური პარტიის მომავალი, ასევე მისი საპრეზიდენტო კანდიდატის ვინაობა. თუმცა უკვე ცნობილია, რომ ფრანსუა ოლანდი, მოქმედი სოციალისტი პრეზიდენტი, რომლის რეიტინგიც ისტორიულად დაბალ 4%-იან ნიშნულზეა, პრეზიდენტობის მეორე ვადისთვის აღარ იბრძოლებს.

სოციალისტური პარტიიდან საპრეზიდენტო ნომინაციისთვის იბრძოლებენ: მანუელ ვალსი, არნო მონტებურგი და ბენუა ჰამონი. მონტებურგი, რომელიც სოციალისტების მემარცხენე ფრთას წარმოადგენს, წარსულში ეკონომიკის მინისტრი იყო, რომელმაც 2014 წელს მთავრობას მემარჯვენე ეკონომიკურ ნაბიჯებში დასდო ბრალი და თანამდებობიდან გადადგა. წელსაც იგი პარტიას ანტიგლობალისტურ პროგრამას წარუდგენს, რომელიც ერთ-ერთ მთავარ მიზნად გლობალიზაციის ეფექტებისაგან ფრანგული მრეწველობის დაცვას ისახავს.

ოლანდის პრემიერი – მანუელ ვალსი არსებითად ოლანდის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის გამგრძელებლად მიიჩნევა, თუმცა არაერთი მემარცხენის აზრით, ოლანდის ადმინისტრაციამ მემარცხენე ეკონომიკურ პრინციპებს უღალატა, რითაც დაკარგა შეხება თავისსავე ამომრჩეველთან. ბენუა ჰამონი ერთი მათგანია, ვინც მიიჩნევს, რომ პარტიამ ოლანდის კურსი კი არ უნდა განაგრძოს, არამედ ახალი უნდა აირჩიოს, მაგრამ ყველა წინასწარი გამოკითხვის მიხედვით, სოციალისტების საპრეზიდენტო კანდიდატი იქნება მემარჯვენე ფრთის ლიდერი მანუელ ვალსი, რომელმაც რამდენიმე დღის წინ დატოვა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, რათა საპრეზიდენტო მარათონში ჩართულიყო.

თუმცა სოციალისტური პარტიისგან დამოუკიდებლად, მემარცხენე პლატფორმის

სახელით ორი სხვა ძალაც იბრძოლებს: ჟან-ლიუკ მელენქონის მარქსისტული „მემარცხენე პარტია“ (Parti de Gauche) და ემანუელ მაკრონის სოციალურ-ლიბერალური მოძრაობა „წინ!“ (En marche!). მელენქონი ყოფილი სოციალისტია, რომელმაც პარტია 2008 წლის რეიმსის კონგრესის შემდეგ დატოვა, როცა იგი მემარცხენე პრინციპებთან შეუხამებლად მიიჩნია. ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებში „კომუნისტური პარტიის“ დახმარებით მან 11%-ით მე-4 ადგილი დაიკავა.

ემანუელ მაკრონი


მანუელ ვალსი

მილიონერი მაკრონი, რომელიც არასდროს არ ყოფილა სოციალისტური პარტიის წევრი, მემარცხენე კაბინეტის რეფორმატორი მინისტრი იყო და პრეზიდენტ ოლანდის მემკვიდრედ მიიჩნეოდა, მაგრამ ეკონომიკური ხედვისა და კლასობრივი კუთვნილების გამო, ვერ შეძლებდა „სოციალისტური პარტიის“, როგორც ერთიანი ორგანიზმის, გაძღოლას. ამიტომ, 2016 წლის აგვისტოში მან ფინანსთა მინისტრის თანამდებობა დატოვა და საპრეზიდენტო კამპანიისათვის დაიწყო მზადება. მაკრონს En Marche!, პროგრესულ პოლიტიკურ მოძრაობას განეკუთვნება, თუმცა იგი ფრანგულ ტრადიციულ მემარცხენეობას ნაკლებად წარმოადგენს. მაკრონი ე. წ. „პატარა მთავრობის ეგალიტარიანელია“ – მას მინიმალურად დარეგულირებული, თავისუფალი ბაზრით მიღწეული ეკონომიკური ზრდის სწამს, მაგრამ ამ ზრდის პროდუქტის მემარცხენე განაწილების მომხრეა, ჩვეულებრივი მოქალაქეების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. მაკრონი ახალგაზრდა და ქარიზმატულია, შესაძლოა, ზედმეტად ახალგაზრდაც კი, თუმცა მას ზურგს უმაგრებს ფინანსთა მინისტრობის დროს გატარებული არაერთი წარმატებული რეფორმა, რის გამოც როგორც მემარცხენე, ასევე მემარჯვენე დასში მიმდევრები ჰყავს.

მაშასადამე, ამ დროის მონაცემებით, მემარცხენე დასიდან საპრეზიდენტო არჩევნებზე მინიმუმ სამი ადამიანი წარდგება: ემანუელ მაკრონი, ჟან-ლიუკ მელენქონი და „სოციალისტური პარტიის“ შიდა არჩევნებში გამარჯვებული – უდიდესი ალბათობით, მანუელ ვალსი. ბოლო გამოკითხვის თანახმად, მემარცხენეთა შორის ყველაზე პოპულარული ლიდერი ემანუელ მაკრონია. გამოკითხულ მემარცხენეთა 33% ამბობს, რომ არჩევნებზე მაკრონს დაუჭერდა მხარს, 27% კი ვალსს ემხრობა. თუმცა, განსხვავებით 2013 წლის არჩევნებისგან, წელს ნაკლები მემარცხენე ამომრჩეველი იქნება, მემარცხენე კანდიდატი კი – 3, რაც სხვა არაფერს გამოიწვევს, გარდა კონსერვატორი ფიიონის გაძლიერებისა, თუ მემარცხენე დასმა შემდეგი ნახევარი წლის განმავლობაში ვითარების რადიკალურად შემობრუნება არ მოახერხა.

სანამ ფრანგული მემარცხენეობა დაქსაქსულია, ზომიერი კონსერვატიზმი კი შესუსტებული, საფრანგეთი გასცქერის არჩევანს ცუდსა და ცუდს შორის. დემოკრატია უდავოდ გაიმარჯვებს, თუმცა შეიძლება ვერ გადარჩეს რესპუბლიკა. ყველაფერი შემდეგ თვეებზეა დამოკიდებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

"აღვილია, დანეარ ჯანონები - ითელია, დანეარ ჯარბი ჯანონები"

ინტერვიუ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერთან, არჩილ თალაკვაძესთან

ბოლოს, როდესაც მე და თქვენ ინტერვიუზე შევხვდით, სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე იყავით. მაშინ თქვენ ამაყობდით პენიტენციური სისტემის მძიმე მემკვიდრეობის აღმოფხვრით, ციხის ჯანდაცვის სისტემის თანამედროვე რელსებზე გადაყვანით, ახლა კი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ხართ, ახალბედა იმ სფეროში, რომელსაც დიდი ალბათობით ისევე არ იცნობთ, როგორც ჯანდაცვის სისტემას. პასუხისმგებლობებიც გაცილებით ფართოა. შეგიძლიათ თქვათ, რომ ისევე ენდობით თავს და საპარლამენტო უმრავლესობას, როგორც რამდენიმე წლის წინ სუბარის გუნდს? მზად ხართ გამოწვევისთვის, რასაც ჰქვია პასუხისმგებლობა ყველაფერზე, რაც ქვეყნის პოლიტიკაში ხდება, ან მოხდება სამომავლოდ?

თქვენს შეკითხვაზე დოსტოევსკის სიტყვები გამახსენდა, რომ „ყველა ყველას წინაშე პასუხისმგებელია ყველაფრისთვის". თუმცა პოლიტიკას აქვს ერთი შეუმჩნეველი თვისება – იმდენი პასუხისმგებლობა გეკისრება, რამდენიც გაქვს. დემოკრატიული სისტემა და გადაწყვეტილებების მიღების მონაწილეობითი პრინციპი პოლიტიკოსებს აძლევს შესაძლებლობას, საზოგადოებასთან შეჯერებული გადაწყვეტილებები მიიღოს და პასუხისმგებლობის ტვირთი გაინაწილოს სხვებთან ერთად.

როცა სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილედ დავიწყე მუშაობა, ზუსტად ვიცოდი, რა პრობლემები იყო სისტემაში და რა უჭირდათ ადამიანებს. ცოტა დრო დამჭირდა, რომ ამ პრობლემების დაძლევისა და რეფორმების 18-თვია-

ნი გეგმა ჩემს კოლეგებთან ერთად შემემუშავებინა. მინისტრის მხარდაჭერით ეს გეგმა წარმატებით შესრულდა და არაერთი ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა შევინარჩუნეთ, არაერთი დავუბრუნეთ ოჯახს და საზოგადოებას.

საპარლამენტო ცხოვრება ძალიან განსხვავდება აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობისგან. ადვილია, დაწერო კანონები, თუმცა რთულია, დაწერო კარგი კანონები. საპარლამენტო უმრავლესობა დღეს ძლიერი გუნდია – წარმატებული ადამიანებით, რომელთაც საქმის კეთების თანამედროვე გამოცდილება, კარგი განათლება და შედეგების მიღწევის დიდი მოტივაცია აქვთ. გამოცდილი პოლიტიკოსები და ახალგაზრდა ლიდერები IX მოწვევის პარლამენტში მშვენიერ ტანდემს ქმნიან სწრაფი, მაგრამ კარგად გათვლილი გადაწყვეტილებების მისაღებად. მჯერა, ამ შესაძლებლობას გამოვიყენებთ.

მართალია, თანაგუნდელებმა უმრავლესობის ლიდერის პოზიციაზე ამირჩიეს, მაგრამ ერთი წუთითაც არ დამვიწყებია, რომ ჩვენი გუნდის თითოეული წევრი ლიდერია – მათგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება.

„გამოსაჩენი დეპუტატები“ – ასეთი შეფასება მომისმენია თქვენზე, თამარ ჩუგოშვილზე, სოფო ქაცარავაზე, თამარ ხულორდავაზე... ასე ვთქვათ, ახალ სახეებზე ოცნების საპარლამენტო სიაში. აქ იგულისხმება ვარაუდი, რომ თქვენ და რამდენიმე სხვა დეპუტატი ერთგვარი „საჩვენებელი კადრები“ ხართ, ვისაც შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს დებატებში, ისაუბროს ევროატლანტიკურ კურსსა და დასავლურ ღირებულებებზე და ა.შ., თუმცა თქვენ ვერ შეძლებთ რეალურ პოლიტიკაზე გავლენის მოხდენას, ვერც დეკლარირებული პროგრესული იდეების იმპლემენტაციას და იქნებით იმ რეალპოლიტიკის ფარი, რომელიც განსხვავებული იქნება თქვენი ვორდინგისგან... რა პასუხი გაქვთ ამ ვარაუდის ავტორებისთვის?

თამარ ჩუგოშვილი ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ არასამთავრობო ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, რომელსაც ბევრი სასარგებლო საქმე აქვს გაკეთებული ქვეყნისთვის და ბევრ ადამიანს დახმარებია სიმართლის პოვნაში. მოგვიანებით, სწორედ ის იყო ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ავტორიც.

სოფო ქაცარავა წლებია, უკვე საქართველოში ახალგაზრდებს თანამედროვე განათლების მიღებაში ეხმარება და „ჩივნინგის“ აკადემიური პროგრამის ერთ-ერთი სულისჩამდგმელია – ამ პროგრამის კურსდამთავრებულებმა შემდგომ ბევრი რამ გააკეთეს ქვეყანაში. სიას რომ გადახედოთ საკმარისია. ამ საქმისთვის ბრიტანეთის დედოფალმა ის სპეციალური ორდენით დააჯილდოვა კიდეც.

თამარ ხულორდავა წლებია, ევროკავშირის წარმომადგენლობაში მუშაობს და მისი ჩართულობით დახარჯულმა თითოეულმა ევრომ საქართველოს ხელშესახები შედეგი მოუტანა. პროექტები, რომელსაც ის მართავდა, ყოველთვის ზედმიწევნით თანმიმდევრული და შედეგიანი იყო. მისი საქმიანი რეპუტაცია ეჭვსგარეშეა.

გავაგრძელო ჩამოთვლა? და რისი თქმა სურთ სკეპტიკოსებს? ეს ადამიანები ერთ კვირაში შეიცვალნენ, გახდნენ უპრინციპოები და ეფარებიან იმას, რასაც საერთოდ არ ეთანხმებიან?

ისე, ჩვენს დიალექტიკაში „გამოსაჩენი“ რომ ხარ და „სამაგალითო“ ეგ ნამდვილად არ არის ცუდი.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი დაპირება – ასახოს ქორწინების განსაზღვრება კონსტიტუციაში – ფიქრობთ, რომ ეს, ასე ვთქვათ, საჭირბოროტო საკითხია ქართველი ერის ცხოვრებაში? ფიქრობთ, რომ ამას მოითხოვს ხალხი?

„ქართული ოცნების“ მთავარი დაპირება არის თავისუფლება, სწრაფი

საპარლამენტო ცხოვრება ძალიან განსხვავდება აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობისგან. ადვილია, დაწერო კანონები, თუმცა რთულია, დაწერო კარგი კანონები. საპარლამენტო უმრავლესობა დღეს ძლიერი გუნდია – წარმატებული ადამიანებით, რომელთაც საქმის კეთების თანამედროვე გამოცდილება, კარგი განათლება და შედეგების მიღწევის დიდი მოტივაცია აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარება და კეთილდღეობა. შესაბამისად, ჩვენი პირველი ინიციატივები სწორედ ეკონომიკას, ახალ საინვესტიციო პროექტებსა და ინფრასტრუქტურის განვითარებას, ტურისტული პოტენციალის უფრო მეტად გამოყენებას და ევროკავშირთან კიდევ უფრო მეტად დაახლოებას უკავშირდება.

ქორწინების საკითხს დღეს არსებული კანონმდებლობაც განსაზღვრავს და ამასთან დაკავშირებით საზოგადოებას წინააღმდეგობრივი პოზიცია არასოდეს გამოუხატავს.

აღიარებთ თუ არა ბიძინა ივანიშვილის არაფორმალურ გავლენას ხელისუფლებაზე?

ბატონი ბიძინა ივანიშვილი იყო პრემიერ-მინისტრი 2012-2013 წლებში. მან საკუთარი გადაწყვეტილებით დატოვა აღმასრულებელ ხელისუფლებაში ყველაზე გავლენიანი თანამდებობა. როცა ქვეყანას ჰყავს სტაბილური და ქმედითი მთავრობა და ხალხის მიერ არჩეული საკანონმდებლო ორგანო – საუბარი არაფორმალურ გავლენაზე ლოგიკას მოკლებულია.

საარჩევნო სისტემას ბევრი კრიტიკოსი ჰყავს. ბევრი მათგანი თქვენს საკონსტიტუციო უმრავლესობას სწორედ ამ სისტემას მიაწერს. სისტემის კრიტიკოსთა შორის იყვნენ „ქართული ოცნების" წარმომადგენლებიც, დაანონსებული იყო მისი ცვლილებაც მომდევნო არჩევნებისთვის, თუმცა ბოლო დროს ჩნდება მოსაზრებები თქვენს კოლეგებში, რომ ეს აუცილებელი არ არის. თქვენც ასე ფიქრობთ?

საარჩევნო სისტემის ერთიანი უნიკალური მოდელი მსოფლიოში არ არსებობს. ქვეყნებს განსხვავებული საარჩევნო სისტემები აქვთ – არის მხოლოდ პროპორციული, შერეული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემები. პირადად მე მაჟორიტარული სისტემით გავხდი დეპუტატი და ოზურგეთის ოლქს წარმოვადგენ მე-9 მოწვევის პარლამენტში.

წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში სოფლებსა და ქალაქში მოსახლეობასთან შეხვედრები ძალიან დამეხმარა, გამეცნო ჩემი ამომრჩეველი, გავცნობოდი მათ პრობლემებსა და საჭიროებებს.

ვინ და რა არის პასუხისმგებელი ეროვნული ვალუტის დრამატულ დევალვაციაზე? თქვენი ოპონენტები ამბობენ, რომ თქვენ (ხელისუფლება).

დევალვაცია მოხდა ამერიკულ დოლართან მიმართებაში, ხოლო ჩვენი მეზობელი ქვეყნების ვალუტებთან მიმართებაში პირიქით – ლარი გამყარდა. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებამ ერთ ვალუტასთან მიმართებაში ვალუტა გააუფასურა და სხვებთან მიმართებაში გაამყარა?

სინამდვილეში ეს მოხდა იმიტომ, რომ საქართველოს ეკონომიკა არის ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკაში და მიჰყვება საერთო ტენდენციებს. გარდა ამისა, ამერიკული დოლარის საერთაშორისო ინდექსი (ანუ მისი მიმართება მსოფლიოში სხვა ვალუტებთან) ბოლო 5 წლის განმავლობაში მკვეთრად არის გაზრდილი (გამყარებული).

მთავრობის ახალი ინიციატივები: რატომ უნდა დააფინანსოს ვინმემ სხვისი იპოთეკური სესხი? (ვგულისხმობ ლარისა და დოლარის კურსების სხვაობის შემცირების იდეას). ხომ არ გამოვა ისე, რომ შედარებით შეძლებულ ადამიანებს, ანუ მათ, რომლებსაც აქვთ ქონება და შემოსავალი, რაკიღა ბანკმა სესხი მისცა, უნდა გადაუხადოს მან, ვისაც ამგვარი არც ქონება აქვს და არც შემოსავალი?

მსოფლიოში დოლარის ინდექსის გამყარების პირობებში, ჩვენს მოქალაქეებს, რომელთაც აქვთ უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი დოლარში, ექმნებათ პრობლემა. მათი ინტერესების დაცვა ამ მომენტში არის კრიტიკულად აუცილებელი. რა გასაკვირია,

რომ ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ამუშავებს სოლიდარობის მექანიზმებს? დახმარებას იღებს ის, ვინც ყველაზე დიდი რისკის ქვეშ დგას. როგორც ჯანდაცვაში – ფულს იხდის ყველა, მაგრამ იყენებს ის, ვინც ავად ხდება. ისევე, როგორც პენსიისთვის გადასახადს იხდის ყველა, მაგრამ პენსიას იღებენ მხოლოდ პენსიონერები.

სესხის ლარში გადაყვანა შექმნის სტაბილურ საგადამხდელო გარემოს და დაიცავს მოსახლეობას შემდგომი რყევებისგან, თუ ასეთი კიდევ იქნება.

სად არის დაპირებული ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია? და რატომაა მოხმარების დეკრიმინალიზაციის წინააღმდეგი ხელისუფლება? იმიტომ ხომ არა, რომ სამართალდამცავ სტრუქტურებს ბერკეტის ხელიდან გაშვება არ სურთ?

ჩვენი პოლიტიკური პროგრამა ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციას მოიცავდა. არაერთხელ განვაცხადეთ, რომ ამ თემაზე მუშაობას დავიწყებთ უახლოეს მომავალში. სამართალდამცავებისკენ ხელის გაშვერა არგუმენტებს მოკლებულია, მით უმეტეს, როცა შინაგან საქმეთა მინისტრმა პარლამენტში განაცხადა, რომ ლიბერალიზაცია შესაძლებელია, თუ ამისათვის აუცილებელი პირობები უზრუნველყოფილი იქნება.

არაერთი განცხადება გაკეთდა საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან, რომ ვემხრობით ოთხსვეტიან ნარკოპოლიტიკას და რეფორმას.

გამოქვეყნდა 2013 წელს მოთხოვნილი ინფორმაცია, როგორ რიგდებოდა შსს-ში ძალიან მაღალი პრემიები, მაგალითად, ერთჯერადად გაცემული 22 000. როგორ ფიქრობთ, რა უნდა გააკეთოს მოხელემ ისეთი, რომ თვეში 22 000 პრემია დაიმსახუროს?

პრემიების გაცემის წესი მთავრობამ დაარეგულირა. შედეგად, პრემიების ფონდი შემცირებულია ბოლო 4 წელიწადში და მცირდება 2017 წელსაც.

საჯარო მოხელეებსა და თანამდებობის პირებს შემოსავლები დეკლარირებული აქვთ და მთავარია, რომ საზოგადოებისთვის ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია. იმსახურებს თუ არა საჯარო მოხელე და თანამდებობის პირი ნდობას – ამას ჩვენთან და ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში არჩევნები წყვეტს.

ემხრობით იდეას, რომ პრეზიდენტის არჩევა არ უნდა ხდებოდეს საყოველთაო წესით და მას პარლამენტი უნდა ირჩევდეს?

დღევანდელი მოცემულობით, პრეზიდენტის არჩევა ხდება საყოველთაო წესით. თუ პრეზიდენტის არჩევის წესი შეიცვლება, ამას დასჭირდება არგუმენტები, რომელსაც საზოგადოება უნდა დაეთანხმოს.

რაში დაგჭირდათ მრეწველების ერთ წევრთან ცალკე ფრაქციის შექმნა პარლამენტში? მრეწველებისთვის საბიუჯეტო დაფინანსების მისაღებად და ცესკოში დამატებითი წევრისთვის ხომ არა?

უახლოეს მომავალში უმრავლესობის შიგნით კიდევ რამდენიმე ფრაქცია შეიქმნება. ფრაქციები საპარლამენტო ცხოვრების ნაწილია და გვჭირდება იმისათვის, რომ საკითხების განხილვაში მეტი მონაწილეობა უზრუნველვყოთ. ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველებში“ გაწევრიანდნენ ის დეპუტატები უმრავლესობიდან, რომლებიც არც ერთი პარტიის წევრები არ არიან.

რა საკანონმდებლო ინიციატივის გატანა გსურთ პარლამენტში პირველად?

ვგეგმავთ ეკონომიკური და ფისკალური რეფორმების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების განხილვას და დამტკიცებას, ასევე მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ტალღის საკანონმდებლო პაკეტის მიღებას.

ჩვენი პოლიტიკური პროგრამა ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციას მოიცავდა. არაერთხელ განვაცხადეთ, რომ ამ თემაზე მუშაობას დავიწყებთ უახლოეს მომავალში. სამართალდამცავებისკენ ხელის გაშვერა არგუმენტებს მოკლებულია, მით უმეტეს, როცა შინაგან საქმეთა მინისტრმა პარლამენტში განაცხადა, რომ ლიბერალიზაცია შესაძლებელია, თუ ამისათვის აუცილებელი პირობები უზრუნველყოფილი იქნება.

ესაუბრა ზურაბ ვარდიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაბიჯ-ნაბიჯ ევროკავშირისკენ

დათო ფარულავა



საქართველოს ევროპული პერსპექტივის გაძლიერებისთვის ძალისხმევამ პირველი ხელშესახები შედეგი გამოიღო – ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლების თქმით, საქართველოს ვიზალიბერალიზაცია სულ რამდენიმე თვის საკითხია, ასოცირების შეთანხმების შესრულების თვალსაზრისით კი ქვეყანა მოწინავე პოზიციას იკავებს.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ინსტიტუტების უმაღლესი რანგის წარმომადგენლები საქართველოს, როგორც მნიშვნელოვანი პარტნიორის არსებობას ხაზს მუდმივად უსვამენ, ევროკავშირის წევრობა ჯერაც შორეულ პერსპექტივად რჩება. ასოცირების შეთანხმება ევროკავშირთან დაახლოების მექანიზმია, თუმცა ავტომატურად გაწევრების პერსპექტივას არ გულისხმობს. საამისოდ, უპირველესად შესაბამისი განაცხადია საჭირო, რაც, როგორც აღმოჩნდა, საქართველოს ხელისუფლების დღის წესრიგში ჯერ არ დგას.

რამდენად შორს ვართ იმ უმთავრესი მიზნისგან, რომელსაც ევროკავშირის წევრობა ჰქვია? ამ მიმართულებით გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ ქვეყნის ხელისუფლებას, ოპოზიციასა და არასამთავრობო სექტორს განსხვავებული მოსაზრებები და არგუმენტები აქვთ. ევროკავშირის წევრობის სურვილის ღიად გამოხატვის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლება ჯერ მზად არ არის, ამბიციური განცხადება გააკეთოს და გაწევრების საკითხი ევროკავშირის დღის წესრიგში ოფიციალურად დააყენოს. ოპოზიცია მიიჩნევს, რომ საქართველოს ევროპული პერსპექტივისკენ სვლა მრავალმა ფაქტორმა შეანელა და ამაში დამნაშავე სწორედ რომ ხელისუფლებაა.

რა შეცდომები დაუშვა ხელისუფლებამ ვიზალიბერალიზაციისკენ მიმავალ გზაზე და რატომ არ აკეთებს საქართველო განაცხადს ევროკავშირის წევრობაზე? – ხელისუფლებაში მიიჩნევენ, რომ პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცესის დაყოვნება გარეფაქტორებთან არის დაკავშირებული, როცა ოპოზიცია პრობლემას მმართველი გუნდის მიერ დაშვებულ შეცდომებში ხედავს, თუმცა, ამავდროულად მიაჩნია, რომ უკვე დროა, პოლიტიკა უფრო ამბიციური გახდეს.

ევროკავშირთან საქართველოს მისიის ყოფილი ხელმძღვანელი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი სალომე სამადაშვილი მიიჩნევს, რომ რეალურად, ვიზალიბერალიზაცია საქართველოს ჯერ კიდევ ორი წლის წინ უნდა მიეღო. ასე რომ მომხდარიყო, საქართველო მიგრანტთა კრიზისსაც ასცდებოდა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ახალი ხელისუფლებების არჩევის ციებ-ცხელებასაც, რამაც ევროკავშირის ყურადღება მთლიანად შიდაპროცესებისკენ მიმართა და ასპირანტ ქვეყნებში „წარმატების ისტორიების" ძიება მეორეხარისხოვნად აქცია.

სამადაშვილის თქმით, ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ უვიზო მიმოსვლის მისაღებად ტექნიკური სამუშაოების შესრულება საკმარისი იყო და საკითხის პოლიტიკურ დონეზე ლობირებას ძალისხმევა დააკლო.

„ვიზის ფასილიტაციის ხელშეკრულება მოლდავეთმა ჩვენზე 2 წლით ადრე მიიღო და ვცდილობდით, ამ გეგმის მიხედვით წინმსწრებად გაგვეკეთებინა ყველაფერი, რისი გაკეთებაც შემდგომში მოგვიწევდა. როცა ხელისუფლება შეიცვალა, პროცესი ჩიხში შევიდა. 6 თვე ელოდნენ, როდის ეტყოდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ, როცა წინასწარ, მოლდავეთის სამოქმედო გეგმის მიხედვით ისედაც იცოდნენ, რა იყო გასაკეთებელი. კიდევ 6 თვე ელოდნენ, სანამ გეგმის განხორციელებას დაიწყებდნენ და ამასობაში დიდი დრო დაიკარგა" – ამბობს სამადაშვილი.

რამდენიმე თვის წინ გერმანულ გამოცემებში – Die Welt-სა და Bild-ში გამოქვეყნებული სტატიები მკითხველს აცნობებდა, რომ საქართველოს ვიზალიბერალიზაციისადმი გერმანიის სკეპტიციზმის მიზეზი გერმანიაში მოქმედი ქართული კრიმინალური დაჯგუფებები გახდა. ქართული მხარე აცხადებდა, რომ მართალია, რიგ სახელმწიფოებს გარკვეული კითხვები ჰქონდათ, თუმცა ოფიციალურ დონეზე გერმანიაში მსგავსი განცხადება არ გაუკეთებიათ და, შესაბამისად, არც საქართველოს ოფიციალური უწყებებისთვის უცნობებიათ ევროკავშირში მოქმედი ქართველი კრიმინალების, როგორც ვიზალიბერალიზაციის პროცესის შემაფერხებელი ფაქტორის შესახებ. სამადაშვილის თქმით, არგუმენტი, რომ ვიზალიბერალიზაციის შეფერხებაზე ზეგავლენა კრიმინალურ ვითარებას არ მოუხდენია, სიმართლეს არ შეესაბამება.

„ბრიუსელში გადაწყვეტილება რომ მიიღონ, საქართველოს პოზიციას რამდენიმე გავლენიანი ევროპული ქვეყანა უნდა უჭერდეს მხარს. ასეთი პარტნიორი საქართველოს ევროპაში არ ჰყავს" – ამბობს სამადაშვილი, რომელიც მიიჩნევს, რომ საქართველომ გერმანიასთან კომუნიკაცია უნდა გააძლიეროს.

ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს" ევროინტეგრაციის მიმართულების მენეჯერი ვანო ჩხიკვაძე მიიჩნევს, რომ ბოლო პერიოდში პროცესის გაჭიანურებაში ქართული მხარის ბრალეულობა არ იკვეთება და ევროკავშირშიც ადასტურებენ, რომ პროცესის გახანგრძლივება ევროკავშირის ინსტიტუტებს შორის შეჩერების გამარტივებულ მექანიზმზე შეუთანხმებლობამ გამოიწვია.

შეჩერების გამარტივებული მექანიზმით ევროკავშირი თავს იზღვევს, რომ ჭარბი მიგრაციული ნაკადებისგან თავის დაცვა ეფექტიანად შეძლო. ასეთი რისკი საქართველოდან არ არსებობდა, თუმცა ამ უკანასკნელისთვის უვიზო მიმოსვლის მიცემის საკითხიც სხვა ქვეყნებთან ერთად გადაწყდა.

„რა თქმა უნდა, ყოველთვის შეიძლება მეტის გაკეთება, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ხელისუფლებამ ძალისხმევა არ გასწია. ვფიქრობ, შეჩერების მექანიზმზე საქართველოს ვიზალიბერალიზაციის მიბმა არ იყო სამართლიანი, მაგრამ ევროკავშირმა უნდა აიღოს ტვირთი, რადგან ეს ძალიან აზიანებს ევროკავშირის იმიჯს საქართველოში" – ამბობს ჩხიკვაძე.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ვიქტორ დოლიძე ამბობს, რომ ბრიუსელში ევროკავშირის ინსტიტუტების უმაღლესმა წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს საქართველოს პროგრესი და აღნიშნეს, რომ პროცესის დაყოვნება შეჩერების მექანიზმზე შიდაინსტიტუციური შეუთანხმებლობის ბრალია.

ვიზალიბერალიზაციის შემდეგ მნიშვნელოვანია, საქართველომ ის პროგრესი შეინარჩუნოს, რომელიც ვიზალიბერალიზაციის მისაღებად გასწია. ევროპარლამენტის თანახმად, შეჩერების მექანიზმი იმ შემთხვევაში ამოქმედდება, თუკი მნიშვნელოვნად გაიზრდება იმ ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა, რომელთაც უარი ეთქვათ ქვეყანაში შესვლის ნებართვაზე ან დაარღვიეს ევროკავშირის ტერიტორიაზე დარჩენის ვადა; თუკი მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ მოქალაქეების რაოდენობა, რომლებიც ვერ ასაბუთებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავშესაფრის მოთხოვნის საჭიროებას და თუკი ქვეყანა რეადმისიის საკითხზე თანამშრომლობას (მიგრანტთა დაბრუნება) შეასუსტებს.

ვიქტორ დოლიძე ამ მექანიზმის საქართველოს წინააღმდეგ ამოქმედების საფრთხეს ვერ ხედავს. მისი თქმით, სასაზღვრო პერიმეტრი შესაძლოა 100%-ით გამართული არ იყოს, მაგრამ ეს ფაქტორი დამაბრკოლებელი არ გახდება.

შეჩერების მექანიზმის საქართველოს წინააღმდეგ ამოქმედების საფრთხეს ვერც ივანე ჩხიკვაძე ხედავს, რომელიც მიიჩნევს, რომ სამივე პირობის შემთხვევაში საქართველოს დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა აქვს.

„ჯერ ვერ ვიტყვით, რა იქნება მომავალში, ვიზალიბერალიზაციის მიღების შემდგომ, თუმცა მას ვალდებულებებიც ახლავს თან. ეს მექანიზმი იმიტომაც არსებობს, რომ ქვეყანამ რეფორმები განაგრძოს" – ამბობს ჩხიკვაძე.

სალომე სამადაშვილი კი მიიჩნევს, რომ ამ რისკს მნიშვნელოვნად განაპირობებს ის ფაქტი, თუ როგორი ეკონომიკური მდგომარეობა იქნება ქვეყანაში.

„თუ ასე გაგრძელდა ეკონომიკური ვითარება, ალბათ, ბევრ მოქალაქეს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა, რამდენად არსებობს მათთვის განვითარების პერსპექტივა ამ ქვეყანაში. საქართველო არ უნდა დადგეს მოქალაქეთა ევროპაში გადინების საფრთხის წინაშე" – ამბობს სამადაშვილი.

ევროკავშირში გაწევრება მართალია, შორეული პერსპექტივაა საქართველოსთვის, მაგრამ მასთან დაახლოების ინსტრუმენტებს საქართველო უკვე იყენებს. 2015 წლის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე აღინიშნა, რომ ეს ფორმატი ევროკავშირის გაფართოებას არ გულისხმობს, შესაბამისად, როგორი წარმატებულიც უნდა იყოს ასოცირების შეთანხმების შესრულება, მხოლოდ ეს ფორმატი საქართველოს ევროკავშირის წევრად ვერ აქცევს. სამიტზე ისიც გაირკვა, რომ გაფართოების საკითხი ევროკავშირის დღის წესრიგში კიდევ 5 წლის განმავლობაში არ დადგება.

როცა საქმე გაწევრებაზე მიდგება, საქართველოს ხელისუფლება განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენს და აცხადებს, რომ არ სურს ცრუ მოლოდინის შექმნა. ამ არგუმენტს ევროინტეგრაციის საკითხებში ახალი მინისტრიც იზიარებს. ვიქტორ დოლიძის შეფასებით, წევრობაზე განაცხადი ორ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული: თუ რა ტემპებით განახორციელებს საქართველო რეფორმებს და როგორი პოლიტიკური კონიუნქტურა იქნება ევროკავშირში.

„ყოველთვის უნდა აკონტროლო მოლოდინი. მოსახლეობას ამომწურავი ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ, რათა იცოდნენ, რა სიკეთის მომტანი იქნება ევროკავშირში გაწევრება, თუმცა, ამავდროულად არ უნდა შევპირდეთ, რომ ამა და ამ წელს გავხდებით წევრი და შემდეგ იმედგაცრუება გამოვიწვიოთ" – ამბობს დოლიძე.

მისი თქმით, განაცხადს წინ სერიოზული საფუძველი უნდა უძღოდეს, რაც პოლიტიკურ მდგომარეობასა და რეფორმებში უნდა გამოიხატებოდეს.

„ძალიან ამბიციური გეგმა გვაქვს. თუ ვადებში ჩავეტიეთ, იმდენად კარგი შედეგი გვექნება, რომ 2020 წლისთვის კიდევ უფრო მეტის მოთხოვნას შევძლებთ და იმედია, რეგიონში არსებული პოლიტიკური კონიუნქტურაც უკეთესი დაგვხვდება. ამიტომ მოლოდინის გაზრდა და შემდეგ მარცხი გაუმართლებელი იქნება. როცა იქნება, სახელმწიფო აუცილებლად გააკეთებს განაცხადს ევროკავშირის სრულფასოვან წევრობაზე" – ამბობს დოლიძე.

ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს" წარმომადგენელი ივანე ჩხიკვაძე მიიჩნევს, რომ თუკი ხელისუფლება განაცხადისთვის ხელსაყრელ დროს ელოდება, შესაძლოა, ასეთი არც არასდროს დადგეს. ამდენად, ასეთი დრო საქართველომ თვითონ უნდა შექმნას. მისი თქმით, ნამდვილად არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ამ საკითხს თავდაპირველად ირონიულად შეხედონ, მაგრამ იგივე მოხდა იმ დროს აღმოსავლეთ (დღეს უკვე ცენტრალური) ევროპის ქვეყნების შემთხვევაშიც. შესაბამისად, ქვეყანამ განაცხადი უნდა გააკეთოს, მანამდე კი შეუძლია, დამოუკიდებლად დაიწყოს თავის შეფასება.

„ევროინტეგრაცია არის პროცესი, რომელიც შესაძლოა, უსასრულოდ გაგრძელდეს. ამიტომ, ევროინტეგრაცია და ევროკავშირში გაწევრება სხვადასხვა პროცესია. ასოცირების შეთანხმების შესრულება აპრიორი არ ნიშნავს გაწევრებისთვის მზადებას. კარგი იქნება, თუ ხელისუფლება წინასწარ დაიწყებს იმ შეკითხვების შევსებას, რომელთაც გაწევრების მოთხოვნის დროს უნდა გასცეს პასუხი. ასე დავინახავდით, რა გვაქვს გამოსასწორებელი. ეს გაწევრების განაცხადის პროცესის დაწყებას ნიშნავს მხოლოდ" – ამბობს ჩხიკვაძე.

მას შემდეგ, რაც ქვეყანა წევრობის განაცხადს გააკეთებს, ევროკომისია აპლიკანტის მზადყოფნის შემოწმებას იწყებს. ამის შემდეგ, ევროკავშირის წევრი ქვეყნები იღებენ გადაწყვეტილებას, დაიწყონ თუ არა მოლაპარაკებები და კანონმდებლობის შეფასება.

„ნაკლებად სავარაუდოა, რომ ევროკავშირი საქართველოს გაწე-

ვრებაზე უარს ეტყვის. ეს ურთიერთობა წყვილის ურთიერთობას მაგონებს, რომელიც უკვე 25 წელია, ერთად არის, მაგრამ ორივეს ეშინია სამართლებრივი სტატუსის შეძენისა, ამ სტატუსში კი წევრობას ვგულისხმობ. აქედან ერთი თანახმაა სტატუსზე, მეორის პოზიცია კი ვერ გამიგია" – ამბობს ჩხიკვაძე.

ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის საჭიროებას სალომე სამადაშვილიც ეთანხმება. მისი თქმით, ხელისუფლებამ მოსახლეობას უნდა აუხსნას, რომ ეს გრძელვადიანი პროცესია, მაგრამ განაცხადი აუცილებელია, რათა არავის გაუჩნდეს განცდა, რომ ქვეყნის ევროპული მომავალი შეუქცევადი არ არის.

„სამწუხაროდ, „ქართული ოცნების" პოლიტიკა ამ თვალსაზრისით გაუგებარია. განაცხადის გაკეთება პროცესის შეუქცევადობის განცდას გააძლიერებს და ეს აუცილებლად გასაკეთებელია" – ამბობს სამადაშვილი.

კვლევით დოკუმენტში, „ევროკავშირის წევრობის პერსპექტივები საქართველოსთვის, მოლდავეთისა და უკრაინისთვის: შეუძლებელი, დავიწყებული თუ დაფარული", რომლის თანაავტორიც ივანე ჩხიკვაძეა, ნათქვამია, რომ ფაქტორები, რომელთაც ევროკავშირი განაცხადის დროს გაითვალისწინებს, ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის მაჩვენებელი და ევროკავშირის შიგნით არსებული ვითარება იქნება, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ განაცხადის შეტანისთვის საუკეთესო დრო შესაძლოა არასდროს დადგეს და თავის მხრივ ევროკავშირი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყანას მოსაწვევსაც არ გაუგზავნის.

„როგორც ევროკავშირის ერთ-ერთმა ოფიციალურმა პირმა აღნიშნა, „თუკი ვინმე შეკითხვას არ დასვამს, არც პასუხი იქნება". შეკითხვა სწორ დროს უნდა დაისვას, როდესაც ქვეყანას კარგი მაჩვენებელი ექნება რეფორმების გატარების თვალსაზრისით ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მართლმსაჯულება, ადამიანის უფლებები და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა" – ვკითხულობთ დოკუმენტში.

მართალია, კორუფციის დაძლევის თვალსაზრისით, საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა, თუმცა მართლმსაჯულების სფეროში რეფორმების საჭიროებაზე ასოცირების შეთანხმების შესრულების ბოლო ანგარიშიც მიუთითებს, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებული გამოწვევები კი კვლავ პრობლემად რჩება.

სალომე სამადაშვილი მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევები მმართველ პოლიტიკურ გუნდში სიძულვილის ენით მოლაპარაკე პოლიტიკოსების დამსახურებაც არის.

„მეტიც, ისინი ხელს უწყობენ და აფინანსებენ ისეთ მედიას, რომელიც სიძულვილის ენით საუბრობს და არაჯანსაღ დამოკიდებულებებს აღვივებს, რომელიც ეწინააღმდეგება ევროპულ ღირებულებებსა და ფასეულობებს. შესაბამისად, ეს არის მთავარი პრობლემა. ჩემთვის პირადად გაუგებარია, რატომ იკავებს ხელისუფლება თავს განაცხადისგან. რაც უფრო ამბიციურები ვიქნებით, მით უკეთესი. ზოგადად, ევროპასთან ურთიერთობა ასე ვითარდება – იმაზე მეტი უნდა მოითხოვო, ვიდრე შეიძლება, რომ დღეს მოგცენ, რათა საბოლოოდ ის მიიღო, რაც გინდა. მაგრამ ამ ყველაფერს სტრატეგია სჭირდება," – ამბობს სამადაშვილი.

ევრობარომეტრის ბოლო გამოკითხვის შედეგების თანახმად, 14 წევრი ქვეყანა ევროკავშირის გაფართოების წინააღმდეგია, მათ შორის: ავსტრია (71%), გერმანია (67%), ლუქსემბურგი (64%), საფრანგეთი (63%), ბელგია (61%) და ფინეთი (61). ევროკავშირის გაფართოების მომხრეა 13 ქვეყანა, მათ შორის: რუმინეთი (73%), ლიტვა (64%), მალტა (63%) და ხორვატია (61%).

ივანე ჩხიკვაძე მიიჩნევს, რომ მოცემულ მომენტში საქართველოს საყრდენი ევროკავშირში ბალტიისპირეთის ქვეყნები არიან.

„შესაძლოა, ისინი არ არიან ისეთი გავლენიანები, როგორც სხვა ქვეყნები, მაგრამ ჩვენს ლოკომოტივად უნდა იქცნენ. ევროკავშირი ნელ-ნელა უნდა შევაგუოთ იმ აზრს, რომ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია არ სრულდება ასოცირების შეთანხმების შესრულებით, რომ ჩვენი მიზანი ბევრად უფრო ამბიციურია" – ამბობს ჩხიკვაძე.

სანამ ევროკავშირის წევრობა შორეული პერსპექტივაა, საქართველოს მოქალაქეები შენგენის ზონაში მოგზაურობას უკვე მომავალი წლიდან შეძლებენ. საბოლოო მიზნის მიღწევამდე კი ხელისუფლებას ისეთ მნიშვნელოვან გამოწვევებთან მოუწევს ბრძოლა, როგორიც ადამიანის უფლებების დაცვაა. ხელისუფლებამ საკმაოდ უცნაური გზა აირჩია რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ საბრძოლველად კონსტიტუციაში ქორწინების განსაზღვრის ინიციატივით. მათი თქმით, ინიციატივა წერტილს დაუსვამს რუსული პროპაგანდის რიტორიკას, თითქოს ევროკავშირი თავს გვახვევს ერთნაირსქესიანთა ქორწინებას, თუმცა მედლის მეორე მხარეს ადამიანის უფლებები იზღუდება, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა ევროკავშირში გასაწევრებლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2012-2016



2016-2020

?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი უფლებების 4 წელი

ქეთევან ღვედაშვილი

მინისტრები კაბინეტებს დაუბრუნდნენ, პარლამენტის წევრები – სხდომათა დარბაზს. არიან ისეთებიც, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების გარეთ რომ დარჩნენ და ისეთებიც, პირველად რომ მოირგეს მინისტრისა და დეპუტატის სავარძლები. თუმცა მომავალი ოთხი წლის განმავლობაში სწორედ ხელისუფლებაში დარჩენილები შექმნიან პოლიტიკურ ამინდს და საზოგადოებაც მათგან ელის წინასაარჩევნოდ მოსმენილი დაპირებების შესრულებას. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განვლილი ოთხი წლის განმავლობაში არაერთი რეფორმა გახდა იმედგაცრუების მიზეზი.

2012 წელს დაანონსებული ცვლილებები და შედეგი:

- ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში – ამ მხრივ ვითარება მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია;
- ადამიანის უფლებების დარღვევა სამართალდამცველების მხრიდან, მათ შორის წინასწარი დაკავების იზოლატორებში – არსებითად არაფერი შეცვლილა. კვლავ არიან მოქალაქეები, რომლებიც სამართალდამცველებს ცემაში ადანაშაულებენ, გვახსოვს თვითმკვლელობის შემთხვევები. წინასწარი დაკავების იზოლატორებში არასათანადო მოპყრობაზე თავის ანგარიშებში სახალხო დამცველიც საუბრობს;
- დარღვეული უფლებების აღდგენა – პროკურატურაში შეიქმნა ახალი დეპარტამენტი, თუმცა მიმდინარე კანონდარღვევებზე პასუხი საზოგადოებისთვის უცნობია. შედეგად, სისტემაში კვლავ რჩებიან პოლიციელები და პროკურორები, რომლებიც ძალადობის პოტენციურ საფრთხეს ქმნიან;
- დამოუკიდებელი სასამართლო – გატარდა რეფორმის ორი ტალღა, მაგრამ სასამართლო მაინც ვერ გახდა ის ინსტიტუტი, რომელიც საზოგადოების დიდი ნაწილის ნდობას დაიმსახურებდა. კვლავ პრობლემაა სწრაფი მართლმსაჯულების მიღება;
- პროკურატურის დეპოლიტიზება – უწყება იუსტიციის სამინისტროს გამოეყო. საპროცესო შეთანხმება ადამიანის წინააღმდეგ იარაღად აღარ გამოიყენება. თუმცა რეფორმის მიუხედავად, მთავარი პროკურორის კანდიდატურას მაინც იუსტიციის მინისტრი ასახელებს;
- შსს-ს რეფორმა – მას გამოეყო უსაფრთხოების სამსახური. თუმცა ამ რეფორმის მიზანი, საპოლიციო და უსაფრთხოების სამსახურების ერთმანეთისგან გამიჯვნა, არ მიღწეულა. უსაფრთხოების სამსახურს თითქმის შსს-ს იდენტური უფლებები აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2012-2016

მთავარი არა უბრალოდ საარჩევნო პროგრამაში ჩაწერილი დაპირების შესრულება, არამედ შესრულების ხარისხია. ამის გამო, გასულ წლებში ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან არაერთი კრიტიკა მოვისმინეთ. ვიდრე მომავალი რეფორმების პერსპექტივაზე ვისაუბრებდეთ, საინტერესო უკვე განხორციელებულის შეფასება იქნებოდა. თუმცა იმის პროგნოზი, რომ მომავალი ოთხიც წინას მსგავსი იქნება, არასწორია.

მართლმსაჯულების კუთხით დაანონსებული რეფორმები პირდაპირ ჩვენს უფლებებზე გადის, რადგან ისეთ საკითხებს ეხება, როგორებიცაა დამოუკიდებელი სასამართლო, დეპოლიტიზებული პოლიცია, მრავალი უფლებით აღჭურვილი ადვოკატი, ჩვენი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და ა.შ.

თუკი ერთ დღეს უსამართლობის მსხვერპლი გავხდებით ან კანონთან კონფლიქტში აღმოვჩნდებით, ჩვენი უფლებები ადვოკატმა უნდა დაიცვას. მაგრამ ამას სათანადოდ ვერ მოახერხებს, თუკი შესაბამისი უფლებამოსილება არ ექნება. სწორედ ადვოკატის ინსტიტუციური გაძლიერება იყო 2012 წელს „ქართული ოცნების" ერთ-ერთი დაპირება.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი მიიჩნევს, რომ ადვოკატებთან მიმართებაში დანაპირების 80% არ შესრულებულა, მაგრამ შეიცვალა ის, რომ ადვოკატთა დაპატიმრებასა და ცემას მასობრივი ხასიათი აღარ აქვს. ხატიაშვილი ამას ადვოკატთა ასოციაციის აქტიურობასა და საერთაშორისო მხარდაჭერას მიაწერს. ამასთან, იმასაც აღნიშნავს, რომ ერთადერთი, რასაც იურიდიულ და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტების წევრთა დახმარებით მიაღწია, ადვოკატთა ცემასა და შეურაცხყოფაზე სასჯელის დაწესებაა.

თავის აქტიურობას უკავშირებს ზაზა ხატიაშვილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესულ ცვლილებებსაც (სსსკ-ის 111-ე მუხლი), რომლითაც ადვოკატებს ჩხრეკისა და ამოღების უფლება მიეცათ. მაგრამ მათ, პროკურორისგან განსხვავებით, ვიდეოფირის ამოღება კვლავ ეკრძალებათ.

მაგალითად, თუკი თქვენ დანაშაულის ჩადენა გედებათ ბრალად ან თავად გახდით დანაშაულის მსხვერპლი და სიმართლის დამტკიცების ერთადერთი გზა ვიდეოჩანაწერის სასამართლოში წარდგენაა, ამაში ადვოკატი ვერ დაგეხმარებათ. თქვენ პროკურორის ნებაზე ხართ დამოკიდებული, ამოიღებს თუ არა ის ამ მტკიცებულებას. შესაბამისად, სიმართლის დამტკიცება მნიშვნელოვნად გაგირთულდებათ.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე იმედოვნებს, რომ ახალი მოწვევის პარლამენტი მდგომარეობის გამოსწორებას შეეცდება, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ ქვეყანაში გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად ბიძინა ივანიშვილი იღებს და ცვლილებების ბედი მის პოზიციაზე იქნება დამოკიდებული.

რაც შეეხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ე.წ. გასაღების საკითხია, ანუ ვის აქვს წვდომა თქვენს პირად ცხოვრებაზე. ბევრი კამათისა და რეკომენდაციების მიუხედავად, ეს შესაძლებლობა მაინც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს დარჩა. ვიდრე არ არის დარეგულირებული ფარული მიყურადება-თვალთვალის განმახორციელებელ პირთა წრე, ბოროტი განზრახვის შემთხვევაში არ არსებობს დაზღვევის მექანიზმი და არავინ აკონტროლებს, სად მიდის თუნდაც გამოძიების ფარგლებში კანონიერად მოპოვებული ინფორმაცია, დაზღვეული არაფრისგან ხართ. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის გაზაფხულზე საკონსტიტუციო სასამართლომ ფარული მიყურადება-თვალთვალის დღეს მოქმედი ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო.

ეს საფრთხე რომ რეალურია, ამაზე ბოლო პერიოდში გავრცელებული ფარული ჩანაწერები და შანტაჟთან დაკავშირებით ნიკა გვარამიასა და ინგა გრიგოლიას განცხადებებიც მეტყველებს. ბოლოს გავრცელებული ჩანაწერების გამო, რამდენიმე ადამიანია დაკავებული. თუმცა უცნობია, ვინ დგას მათ უკან, რა იყო კადრების გავრცელების მოტივი, კიდევ ვის შეიძლება ჰქონდეს ფარული ჩანაწერები და რა მასშტაბები ჰქონდა/აქვს ამ დანაშაულს. პასუხისმგებლობა კვლავ ხელისუფლებას რჩება, რომ თავისი უდანაშაულობა დაამტკიცოს და დამნაშავეები დასაჯოს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან დაკავშირებული პრობლემები აქ არ დასრულებულა. შსს-დან მისი გამოყოფით საპოლიციო და უსაფრთხოების ფუნქციების გამიჯვნა „ქართული ოცნების" 2012 წლის დაპირებების ნაწილი იყო. 2015 წელს გატარებული რეფორმის მიუხედავად არსობრივად არაფერი შეცვლილა. ახალი უწყება, რომელიც ანალიტიკურ საქმიანობასა და გამოძიებისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვებაზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული, შსს-ს მსგავსი უფლებამოსილებით აღიჭურვა.

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის" იურისტის, სოფო ვერძეულის შეფასებით, ერთი უწყების ხელში ამხელა ძალაუფლების კონცენტრირება საფრთხის შემცველია. ის მიიჩნევს, რომ მის შემსრულებლებს რეფორმა სწორად გააზრებული არ ჰქონდათ.

2012 წლის არჩევნების წინ დაანონსებული კიდევ ერთი დაყოფა იუსტიციის სამინისტროდან პროკურატურის გამოყოფა იყო. 2013 წელს ასეც მო-

ხდა, თუმცა 2015 წლის ცვლილებებით, პირიქით, დაუახლოვდა მას, რადგან მთავარ პროკურორს იუსტიციის მინისტრი ასახელებს და პარლამენტი ამტკიცებს. სოფო ვერძეულის შეფასებით, მთლიანობაში ყველა ეტაპზე გადაწყვეტილებას არჩევნებში გამარჯვებული ერთი პოლიტიკური გუნდი იღებს. ეს ზრდის შესაძლებლობას, რომ მმართველმა გუნდმა მთავარ პროკურორად თავისთვის სასურველი პირი დანიშნოს.

სოფო ვერძეულისთვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ძალადობის პრევენციის ინსტიტუციური მექანიზმის არარსებობა რჩება, რის გამო ადამიანები მხოლოდ კონკრეტული პირების კეთილ ნებაზე არიან დამოკიდებულნი.

2012 წლის დაპირებების მნიშვნელოვანი ნაწილი სასამართლო სისტემის რეფორმა იყო. განხორციელებულმა ცვლილებებმა ბევრი რამ დადებითისკენ შეცვალა, მაგრამ დღემდე ვერ დამტკიცდა მესამე ტალღის რეფორმის კანონპროექტები, რაც მნიშვნელოვან ცვლილებებს მოიცავს. მოსამართლეთა შერჩევის ბუნდოვანი კრიტერიუმები და საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამის არარსებობა ევროკომისიის ანგარიშშიც მოხვდა.

სოფო ვერძეულის შეფასებით, ის, რომ ბოლო 4 წლის განმავლობაში რეფორმები არაჯეროვნად გატარდა, სხვადასხვა მიზეზის ბრალია – რიგ შემთხვევებში პოლიტიკური ნების არქონის, ზოგჯერ – შიდა შეუთანხმებლობის და სხვა. ვერძეულს განახლებული საკანონმდებლო ორგანოს მიმართ ახალი მოლოდინი აქვს.

როგორი უნდა იყოს დაპირებული 4 წელი

სისხლის სამართლის პოლიტიკის რეფორმა, დარღვეული უფლებების აღდგენა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ადამიანის უფლებების დაცვა, შსს-ს რეფორმა – ეს „ქართული ოცნების" დაპირებების არასრული ჩამონათვალია.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გათვალისწინებით, ერთ-ერთი პირველი საკითხი, რაზე მსჯელობაც პარლამენტს მოუწევს, ფარული მიყურადება-თვალთვალის დღეს მოქმედი ნორმაა. ხელისუფლება სამომავლოდ ჩვენი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას გვპირდება, რისთვისაც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების სტანდარტი დაიხვეწება და პირად ინფორმაციასა და სახელმწიფო უსაფრთხოებას შორის ბალანსი დაცული იქნება. თუმცა როგორ მოხერხდება ეს და რას გააკეთებს ამისთვის ხელისუფლება, უცნობია.

„ქართული ოცნება" სასამართლო რეფორმის დაუსრულებელი ნაწილის განხორციელებასაც გვპირდება, რითაც დაიხვეწება მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის პროცედურები და დაინერგება საქმეების ელექტრონულად განაწილების პროგრამა, რაც საქმის კონკრეტულ მოსამართლეზე გამიზნულად დაწერის შესაძლებლობას გამორიცხავს.

მნიშვნელოვანი სიახლეა წინასასამართლო პრობაციისა და კომერციული დავების განმხილველი პალატების დანერგვა. წინასასამართლო პრობაცია, პატიმრობის, გირაოს და სხვათა მსგავსად, აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახე იქნება. რაც შეეხება კომერციული დავის განმხილველ პალატებს, ისინი სამართლის სპეციალისტებით დაკომპლექტდება და ბიზნესდავებს განიხილავს. მიზანი ერთი მხრივ, სასამართლოს განტვირთვა, მეორე მხრივ კი სწრაფი მართლმსაჯულებაა.

2012 წლის მსგავსად, დარღვეული უფლებების აღდგენა 2016 წლის პროგრამაშიც მოხვდა. შესაძლოა, ხელისუფლება იმედებს კვლავ პროკურატურაში შექმნილ ახალ დეპარტამენტზე ამყარებს, თუმცა, თუკი სამართალდამცავ უწყებებში ადამიანების მიმართ ძალის გადამეტება და ღირსებისშემლახავი მოპყრობა არ აღმოიფხვრა, თუკი ამის პრევენციის ინსტიტუციური მექანიზმი არ შეიქმნა, მაშინ ამ დეპარტამენტს მსგავს დანაშაულებთან ბრძოლა გაუჭირდება.

„ქართული ოცნება" გვპირდება, რომ სხვა უწყებებთან ერთად პროკურატურის რეფორმაც გაგრძელდება. უწყების მეტი დამოუკიდებლობისთვის პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნის, დისციპლინური სამართალწარმოებისა და გათავისუფლების პროცედურები დაიხვეწება და პროკურორთა საქმიანობის შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები შეიქმნება.

თუკი წინასაარჩევნო პროგრამას დავუჯერებთ, შსს-ში ანალიზზე დაფუძნებული პოლიციის სისტემა დაფუძნდება, უსაფრთხოების სამსახური კი კიდევ უფრო დამოუკიდებელი და ქმედითი გახდება, თუმცა არაფერია ნათქვამი მის მოჭარბებულ უფლებამოსილებაზე, რითაც შსს-დან მისმა გამოყოფამ აზრი დაკარგა.

მიუხედავად ხელისუფლების არაერთი განცხადებისა, რომ ადამიანების უფლებების დაცვის კუთხით რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა, ყველაფერი იდეალურად ნამდვილად არ არის. არც ის გვაძლევს იმედიანად ყოფნის საფუძველს, რომ 2012 წლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. როგორ მიმზიდველად და დამაიმედებლადაც არ უნდა ჟღერდეს ოცნების 4-პუნქტიანი გეგმა, რომლის ერთ-ერთი ნაწილი მართლმსაჯულებაა, თუკი ხელისუფლება ამ რეფორმების აუცილებლობას არ გაიაზრებს და თუკი ამისთვის საკმარისი პოლიტიკური ნება არ აღმოაჩნდება, ის, სხვების მსგავსად, მხოლოდ ფურცელზე დაწერილ დაპირებად დარჩება.

ქართული ენის მასწავლებელი ხაიალ გასანოვი, დამხმარე მასწავლებელთან, თალეჰ ფაშაევთან ერთად ქართული ენის გაკვეთილს ატარებს. საგარეჯოს რაიონის სოფელ დუზაგრამის საჯარო სკოლა, მე-5 კლასი

ორენოვანი სკოლების საჭიროებანი

ავტორი: სალომე გორგოძე, ფოტო: ლევან ხერხეულიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგარეჯოს რაიონის სოფელ დუზაგრამაში აზერბაიჯანულენოვანი საჯარო სკოლა ნახევარ საუკუნეზე მეტია მოქმედებს. სკოლაში 350 მოსწავლე სწავლობს და ოცი მასწავლებელი ასწავლის. მათ შორისაა თალეჰ ფაშაევი, რომელმაც სკოლაში, ინგლისური ენის მასწავლებლად მუშაობა სექტემბრიდან დაიწყო. თალეჰი ამასთანავე დამხმარე მასწავლებელია და ადგილობრივ პედაგოგებს სხვადასხვა საგნის სწავლებისას ეხმარება.

სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების უმეტესობისგან განსხვავებით მან ქართული კარგად იცის. თალეჰმა დუზაგრამის საჯარო სკოლის დასრულებისა და საატესტატო გამოცდების ჩაბარების შემდგომ 1+4 საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა და ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებით ისწავლა.

პროგრამა ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით 2010 წლიდან ამოქმედდა. ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ან სომხურენოვანი ტესტის ჩაბარების საფუძველზე სტუდენტი ერთი წელი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას გადის, რაც ენის ცოდნის გაღრმავებაში ეხმარება, იმდენად, რომ მომდევნო ოთხი წელი სწავლა ბაკალავრიატის საფეხურზე შეძლოს.

„იმ სკოლაში დაბრუნებას მასწავლებლად, რომელიც დაასრულე, თავისი უპირატესობა აქვს, – კარგად იცნობ გარემოს, სადაც სწავლობდი. იცი, რა პრობლემები არსებობს. კარგად ხედავ ნაკლოვანებებსა და შესაძლებლობებს. ეს გეხმარება, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, სწორად იურთიერთო სხვა მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან. ეს შესაძლებლობაა, რომ შენი სკოლისთვის რაღაც მნიშვნელოვანი გააკეთო. რა არის ეს მნიშვნელოვანი? რა თქმა უნდა, ხარისხიანი განათლება მისცე მოსწავლეებს. ჩვენთან, სოფლებში, განათლების დონე ძალიან დაბალია. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი მასწავლებლების არასათანადო პროფესიული მომზადებაა“, – ამბობს თალეჰი და განმარტავს, რომ სკოლაში პედაგოგები, ძირითადად, ტრადიციული, მოძველებული მეთოდებით ასწავლიან, ორიენტირებულნი – არიან რამდენიმე ბეჯით მოსწავლეზე და ნაკლებ ყურადღებას უთმობენ დანარჩენებს. ამბობს, რომ მისი, როგორც დამხმარე მასწავლებლის ერთ-ერთი მიზანიც ადგილობრივი მასწავლებლებისთვის სწავლების თანამედროვე მეთოდების გაცნობაა, თუ როგორ ჩაატარონ და დაგეგმონ არა რამდენიმე მოსწავლისთვის, არამედ მთელი კლასისთვის საინტერესო გაკვეთილები.

ამბობს, რომ თავიდან ადვილი არ იყო. მისი როგორც ახალგაზრდა დამხმარე მასწავლებლის სტატუსი ადგილობრივ მასწავლებლებში პროტესტს იწვევდა, მაგრამ ნელ-ნელა ვითარება შეიცვალა.

თალეჰი სწავლისა და სწავლების პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზეც ამახვილებს ყურადღებას:

„ჩვენს სკოლებში მოსწავლეებს გადასცემენ იმ ცოდნას, რომელიც სახელმძღვანელოს მიხედვით უნდა იცოდნენ, მაგრამ როგორ ან რისთვის უნდა გამოიყენონ ეს ცოდნა, არ იციან, რადგან გაკვეთილი არ არის სწორად დაგეგმილი, რომ შედეგს მიაღწიონ. შედეგი არის ის, რომ მოსწავლეს დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნება შეეძლოს. ვფიქრობ, რომ აზროვნების განვითარებაში მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს. ჩვენთან ეს დიდი პრობლემაა“, – ამბობს თალეჰი და დარწმუნებულია, რომ რეგიონში არსებული ერთ-ერთი მწვავე პრობლემა გოგონების ნაადრევ ქორწინებასთან დაკავშირებით, ძირითადად, სწორედ სწავლის არასწორი მეთოდებითაა განპირობებული, რაც მოსწავლეებს დამოუკიდებელ, თავისუფალ ადამიანებად ვერ ზრდის, რომ თავიანთ მომავალზე პასუხისმგებლობა თავად აიღონ.

არაქართულენოვან სკოლებში მოსწავლეები ორენოვანი სახელმძღვანელოებით სწავლობენ. სასწავლო მასალის ნაწილი ქართულ ენაზეა, ნაწილი – ეთნიკური უმცირესობების. შესაბამისად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგნის მასწავლებლისთვის ქართული ენის ცოდნა მნიშვნელოვანია, თუმცა, როგორც სოფელ ეშტიის საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი ნინა მარიკიანი ამბობს, მასწავლებლების უმეტესობამ ქართული ენა არ იცის, შესაბამისად, ვერც ამ რესურსს იყენებენ სათანადოდ.

ნინა მარიკიანმა ნინოწმინდაში სოფელ ეშტიის №1 სომხურენოვანი საჯარო სკოლა დაასრულა. თალეჰის მსგავსად ისიც სკოლის დასრულების შემდგომ 1+4 საგანმანათლებლო პროგრამით დაინტერესდა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ფილოლოგია ისწავლა, 2015 წლიდან კი ეშტიის საჯარო სკოლაში ქართულ ენას ასწავლის, 2016 წლიდან კი დამხმარე მასწავლებელია.

„განათლების სისტემაში ბევრი ცვლილებაა. ენის უცოდინრობის გამო, მასწავლებლებს უჭირთ ამ ცვლილებების შესახებ ინფორმაციის გაცნობა, ამიტომ ინფორმირებულები არ არიან. სიახლის გარეშე კი სკოლის ცხოვრება უინტერესო ხდება, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვისაც", – ამბობს ნინა.

ნინა მარიკიანი ფიქრობს, რომ სახელმწიფოს მხრიდან მასწავლებლების პროფესიული განვითარებისათვის დაგეგმილი ტრენინგები მნიშვნელოვანია, თუმცა არასაკმარისი საიმისოდ, რომ სიახლემ ყველა მასწავლებლამდე მიაღწიოს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მწირი შესაძლებლობები, სახელმწიფო ენის არცოდნა, პედაგოგთა „დაბერების" პრობლემა, სხვადასხვა საგნობრივი მიმართულების მასწავლებელთა დეფიციტი, – უკვე წლებია, არაქართულენოვანი სკოლები ამ პრობლემების წინაშე დგანან.

სწორედ ამ საკითხებზეა ყურადღება გამახვილებული სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ 2015 წელს მომზადებულ პოლიტიკის დოკუმენტში. დოკუმენტი ეთნიკურ უმცირესობათა სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას შეეხება.

რა სახის საკადრო პრობლემები არსებობს არაქართულენოვან სკოლებში

„მასწავლებელთა დაბერება", ზოგადად, ქართული სკოლებისთვის პრობლემური საკითხია, მაგრამ, როგორც

ნინა მარიკიანმა ნინოწმინდაში სოფელ ეშტიის №1 სომხურენოვანი საჯარო სკოლა დაასრულა. თალეჰის მსგავსად ისიც სკოლის დასრულების შემდგომ 1+4 საგანმანათლებლო პროგრამით დაინტერესდა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ფილოლოგია ისწავლა, 2015 წლიდან კი ეშტიის საჯარო სკოლაში ქართული ენის მასწავლებელია.

დოკუმენტშია აღნიშნული, ეს პრობლემა განსაკუთრებით თვალშისაცემი არაქართულენოვანი სკოლების შემთხვევაშია. ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს, – არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა ასაკი ზოგიერთ რეგიონში ქვეყანაში არსებულ საშუალო მონაცემებზე გაცილებით მაღალია; მასწავლებლებს პრობლემა აქვთ სახელმწიფო ენის არცოდნის თვალსაზრისით, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს არაქართულენოვანი სკოლების საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციაზე, რადგან, ენის შესასწავლად ასაკი ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა.

როგორც დოკუმენტის ავტორები განმარტავენ, არაქართულენოვან სკოლებში ორენოვანი განათლების პროგრამები რეფორმის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რასაც ენობრივად და მეთოდოლოგიურად მომზადებული მასწავლებლები სჭირდება. საპენსიო ასაკში კი პედაგოგებს, უმეტეს შემთხვევაში, მსგავს ძირეულ რეფორმებში ჩართვის სურვილი ნაკლებად აქვთ.

უფრო კონკრეტულად კი 2015 წლისათვის ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში მასწავლებელთა 50,4% 51 წელს ზემოთ იყო, მაშინ, როდესაც 35 წლამდე მასწავლებელთა რაოდენობა საერთო რაოდენობის მხოლოდ 22,8% შეადგენდა.

რაც შეეხება საგნობრივ მიმართულებებზე მასწავლებელთა დეფიციტს, როგორც დოკუმენტში ვკითხულობთ, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებელთა ასაკი სხვა საგნის მასწავლებლებთან შედარებით გაცილებით მაღალია. საბუნებისმეტყველო საგნებში კი „დაბერების პრობლემის" გარდა, მასწავლებელთა ნაკლებობის პრობლემაცაა, რის გამოც საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება სხვა საგნის მასწავლებლებს აქვთ შეთავსებული. შესაბამისად, არაქართულენოვან სკოლებში მასწავლებელთა საკმაოდ დიდი ნაწილი რამდენიმე საგანს ერთდროულად ასწავლის. ამის დასადასტურებლად დოკუმენტში მოტანილია სტატისტიკა, რომლის თანახმადაც, 129 მასწავლებელი 7 სხვადასხვა საგანს ასწავლის სკოლაში, 395 კი – 6 სხვადასხვა საგანს.

კვლევის ავტორების შეფასებით, ის, რომ ერთი და იგივე მასწავლებელი რამდენიმე, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ საგანს ასწავლის, „საგნის არაკომპეტენტური პედაგოგის მიერ სწავლებაზე მიანიშნებს", რაც საბოლოოდ მოსწავლეების განვითარებასა და მიღწევებზე უარყოფითად აისახება.

ინგლისური ენის მასწავლებელი თალეჰ ფაშაევი ბილინგვი დამხმარე მასწავლებელია. საგარეჯოს რაიონის სოფელ დუზაგრამის საჯარო სკოლა, მე-7 კლასი

დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია არაქართულენოვანი სკოლებისთვის მასწავლებლების მომზადების საუნივერსიტეტო პროგრამებზეც და ნათქვამია, რომ უმაღლეს სასწავლებლებში განათლების პროგრამებზე არ სწავლობენ სტუდენტები, რომლებიც პოტენციურად არაქართულენოვან სკოლებში შეიძლება დასაქმდნენ. ამის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი კი მასწავლებელთა განათლების პროგრამის არაპრესტიჟულობაა, რომელიც საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში „კვოტირების სისტემით", საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში ჩარიცხული სტუდენტების დაინტერესებას ვერ უზრუნველყოფს.

რას აკეთებს სახელმწიფო არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებისთვის

2016 წლიდან სახელმწიფო არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების განვითარების პროგრამას ახორციელებს. აღნიშნული პროგრამა მოიცავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ გასულ წლებში განხორციელებულ პროგრამებს, – „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა" (2009-2015 წწ) და „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის" (2011-2015 წწ).

ახალი პროგრამის ფარგლებში ერთ-ერთ მიმართულებად განისაზღვრა ადგილობრივი მასწავლებლებისთვის სახელმწიფო ენის კურსის შეთავაზება, რომელზეც აქტიური მუშაობა მიმდინარე წლის თებერვლიდან დაიწყო. პროგრამის მიზანია არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერების გზით სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.

როგორც პროგრამის ხელმძღვანელი თამარ კეკელიძე ამბობს, ქართული ენის კურსი, პირველი ნაკადის მონაცემებით, 300-ზე მეტმა მასწავლებელმა წარმატებით გაიარა. (საუბარია ენის A1 და A2 დონის დაძლევაზე).

ენის კურსს პროგრამის მონაწილე კონსულტანტი მასწავლებლები უძღვებიან, პარალელურად, სკოლებში ქართული ენის გაკვეთილებს ატარებენ და გაკვეთილების შემდგომ მასწავლებლებთანაც მუშაობენ.

თამარ კეკელიძის განმარტებით, ენის კურსის დასრულების შემდეგ მასწავლებლები ქართულ ენაზე პროფესიული უნარების ტრენინგს გაივლიან. აღნიშნული ტრენინგისთვის ცენტრი ორენოვან ფასილიტატორებს ამზადებს, რომლებიც ქართულენოვან ტრენერებს არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებთან ურთიერთობისას დაეხმარებიან. პროგრამა ასევე ითვალისწინებს არაქართულენოვანი მასწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებლებისთვის საგნობრივ ტრენინგებს მათ მშობლიურ ენაზე.

„წლების განმავლობაში არაქართულენოვან სკოლებში ვგზავნიდით მოხალისე ან კვალიფიციურ კონსულტანტ მასწავლებლებს. მათი მუშაობისას ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ქართული ენის ცოდნის დაბალი დონე იყო, არა მხოლოდ მოსწავლეებში, არამედ თავად პედაგოგებშიც. სწორედ ამიტომ, ამ პროგრამით აქცენტი მასწავლებლების სათანადო მომზადებაზე კეთდება. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში საკადრო დეფიციტის შევსებაზეც ვზრუნავთ. დღეისათვის არაქართულენოვან სკოლებში გაგზავნილი გვყავს ქართულის, როგორც მეორე ენის 114 კონსულტანტ-მასწავლებელი და 162 დამხმარე მასწავლებელი. მათ შორის 28 ბილინგვი დამხმარე მასწავლებელია, რომლებიც 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულები არიან. ეს ორენოვანი დამხმარე მასწავლებლები არიან ის ადამიანები, რომლებიც ჩვენ გვინდა, რომ გამოვზარდოთ კვალიფიციურ კადრებად, რათა მომავალში სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი ტრენერი მასწავლებლების დეფიციტი აღარ იყოს“, – ამბობს თამარ კეკელიძე.

მასწავლებლის სახლის მონაცემებით, არაქართულენოვან სკოლებში დაახლოებით 6 000-მდე მასწავლებელია, თამარ კეკელიძის თქმით, პროგრამის პირველ და მეორე ნაკადში მათგან დაახლოებით 15%-მა გამოთქვა ქართული ენის შესწავლის სურვილი. პროგრამის ბიუჯეტი 3 მილიონი ლარია.

რამდენად ეფექტიანია სახელმწიფოს პოლიტიკა

სპეციალისტების შეფასებით, სახელმწიფოს პოლიტიკა არაქართულენოვან სკოლებთან მიმართებით, არაეფექტიანია და ვერ უზრუნველყოფს მათ ქართულ საგანმანთლებლო სივრცეში ინტეგრირებას.

თავის მხრივ, პოზიტიურია, როცა სახელმწიფო ქართული ენის სწავლებას იწყებს, მაგრამ რეალური შედეგის მისაღწევად საჭიროა სამიზნე ჯგუფის განსაზღვრა, ვინაიდან საპენსიო ასაკის მასწავლებლებში ენის სწავლის სურვილი ნაკლებადაა, – ამბობს განათლების სპეციალისტი, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ხელმძღვანელი შალვა ტაბატაძე და განმარტავს, რომ მიზანმიმართული პოლიტიკით რესურსი აღარ გაიფლანგება. გარდა ამისა, მისი

კვლევის ავტორების შეფასებით, ის, რომ ერთი და იგივე მასწავლებელი რამდენიმე, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ საგანს ასწავლის, „საგნის არაკომპეტენტური პედაგოგის მიერ სწავლებაზე მიანიშნებს“, რაც საბოლოოდ მოსწავლეების განვითარებასა და მიღწევებზე უარყოფითად აისახება.

თქმით, საჭიროა იმ მასწავლებლების წახალისება, რომლებიც ეუფლებიან ან უკვე ფლობენ ქართულ ენას, ვინაიდან მხოლოდ ერთი ინსტრუმენტის ამოქმედებით, – სახელმწიფო ენის სწავლებით არაქართულენოვანი სკოლებისთვის გარდამტეხი და მნიშვნელოვანი ცვლილებები ვერ განხორციელდება.

„წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ სტატისტიკის დათვლით, ცოტა ხანში აღმოჩნდება, რომ მასწავლებლის სახლმა არაქართულენოვანი სკოლების 80%-ს „ასწავლა“ ქართული, მაგრამ, რეალურად, 8%-ს არ ეცოდინება. პროგრამას განვითარება და დახვეწა სჭირდება. ამისათვის საჭიროა, ენის ცოდნის შეფასება იყოს რეალური, ენის ფლობისთვის კი არსებობდეს წახალისების მექანიზმები. რეალურად, სახელმწიფო ფრაგმენტულად ცდილობს პრობლემის მოგვარებას და არა სისტემურად. სისტემური ხედვის არარსებობაა მთავარი პრობლემა. სახელმწიფო მუდმივად სტრატეგიების წერაშია და რეალურ ნაბიჯებს არ დგამს“, – ამბობს შალვა ტაბატაძე.

ქვეყანაში მასწავლებელთა სერტიფიცირება 2010 წლიდან დაიწყო. სერტიფიცირების დებულების მოთხოვნათა მიუხედავად, უმცირესობათა მშობლიურ ენებზე სასერტიფიკაციო გამოცდები არ ტარდებოდა. საგნის გამოცდის მშობლიურ ენაზე ჩაბარების შესაძლებლობა კი არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგებს 2016 წლიდან მიეცათ.

2010 წლიდან შემუშავდა ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლის სტანდარტი, ასევე – ბილინგვური მასწავლებლის სტანდარტი. შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა კი ქართულის, როგორც მეორე ენის, მასწავლებელთა სერტიფიცირება 2013 წლიდან დაიწყო. ცენტრის მიერ მოწოდებული სტატისტიკის თანახმად, 2014 წლიდან დღემდე, ქართულის, როგორც მეორე ენის გამოცდაზე სულ 1161 პედაგოგი გავიდა. მათგან მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 609 პედაგოგმა გადალახა, რაც დაახლოებით 52%-ია.

როგორც შალვა ტაბატაძე ამბობს, ყველაზე პრობლემური საკითხი, რა მიმართულებითაც ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა, მომავალი მასწავლებლების მომზადებაა. მისი თქმით, ამ მიმართულებით მხოლოდ უნივერსიტეტებმა იაქტიურეს და ორენოვანი მასწავლებლებისთვის მოსამზადებელი პროგრამები შეიმუშავეს, მაგალითად კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ახალციხის უნივერსიტეტო მოაქვს, თუმცა ამ მიმართულებითაც ბევრი პრობლემა იკვეთება:

„დღემდე ვერ მივაღწიეთ, რომ ენის ცენტრთან ინტეგრირებული სწავლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეხუთე კლასის მოსწავლეები ქართულის გაკვეთილზე. მათი ერთი, ჩვეულებრივი დღის შესახებ ჰყვებიან. საგარეჯოს რაიონის სოფელ დუზაგრამის საჯარო სკოლა, მე-5 კლასი

მასწავლებლების ხელფასზე დანამატი დაწესდეს, რაც სტუდენტებში მოტივაციას გაზრდიდა. მეორე მხრივ, დღემდე ვერ მოხერხდა, რომ მასწავლებელთა განათლების პროგრამა, რომელიც უფასოა მთელ ქვეყენაში, გავრცელდეს იმ სტუდენტებზეც, რომლებიც „კვოტირებით", საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში ხვდებიან უნივერსიტეტებში, ვინაიდან, თუკი ისინი ვერ იღებენ სახელმწიფო გრანტს, ფულის გადახდა უწევთ მასწავლებელთა განათლების პროგრამებზე სწავლისათვის, ეს კი სტუდენტების დაინტერესებისთვის ხელისშემშლელი ფაქტორია. ეს არის კონკრეტული მაგალითი, თუ როგორ ვერ ხედავს სახელმწიფო საჭიროებებს", – ამბობს შალვა ტაბატაძე.

მეორე მხრივ, როგორც ის განმარტავს, არავინ იცის, დასაქმდებიან თუ არა კურსდამთავრებულები, რადგან პროფესიაში ყოფნა ან გასვლა გამჭვირვალე მექანიზმებით არ რეგულირდება. მისივე თქმით, შემდგომი 4 წლის განმავლობაში დაახლოებით 4 000 მასწავლებელი იქნება ჩასანაცვლებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა დაახლოებით 2 000 მასწავლებელი უნდა მოამზადონ, რაზეც, რეალურად, სახელმწიფო არ ზრუნავს.

რა არის საჭირო არსებული პრობლემების მოსაგვარებლად? არაქართულენოვან სკოლებში დასაქმებული მასწავლებლები და მოსწავლეები ქვეყნის განათლების სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ. არაქართულენოვან სკოლებში სულ 6000-მდე მასწავლებელია დასაქმებული, რაც ქვეყანაში საჯარო სკოლების მასწავლებელთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 10%-ია.

სპეციალისტების შეფასებით, მნიშვნელოვანია, ამ მასწავლებლებისთვის სახელმწიფო ენის შესწავლის მხარდასაჭერად ეფექტიანი მექანიზმები შემუშავდეს, რაც სკოლის ბაზაზე ენის ინტენსიურ და რეგულარულ შესწავლას უზრუნველყოფს. ვინაიდან, მოკლევადიანი ტრენინგები ფუნდამენტურ ცვლილებებს ვერ მოიტანს. გარდა ამისა, საჭიროდ მიიჩნევენ არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის მცოდნე მასწავლებლების წახალისებას. ასევე, სპეციალისტები ფიქრობენ, რომ სამომავლოდ კადრების დეფიციტის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა, სახელმწიფომ აბიტურიენტები და სტუდენტები ორენოვანი საგანმანათლებლო პროგრამებით დააინტერესოს, რომ არაქართულენოვანი სკოლები კარგად მომზადებული, კვალიფიციური კადრებით შეივსოს.

ფოტო: მარა სამანიშვილი / რადიო თავისუფლება

„ქალთა მოძრაობის“ მიერ ჩატარებული აქცია, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე. თბილისი, 25 ნოემბერი 2016

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალები სახეთაური ადგილის დასაბრუნებლად

თათია ხალიანი

ქალები სექსუალური შევიწროების, ადრეულ ასაკში ქორწინების, ფემიციდის წინააღმდეგ. მსვლელობები ქუჩებში შრომითი უფლებების, თანასწორობისა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდისთვის, ქალი პოლიტიკოსების მიერ პარლამენტში საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნა, ხმაურიანი განხილვები და ჩაგდებული ინიციატივები – მიუხედავად აქტივიზმისა, ამ წელს სახელმწიფოს სისტემური მხარდაჭერა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში მინიმალური იყო. ორი წლის წინ ხელმოწერილი სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება კვლავ განხილვის პროცესშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„60 მოკლული ქალი ბოლო ორი წლის განმავლობაში. ეს არის საგანგაშო სტატისტიკა, რომელიც საქართველოს პარლამენტისგან შესაბამის ქმედებას მოითხოვს. გთავაზობთ, სისხლის სამართლის კოდექსში გაჩნდეს ფორმულირება, რომელიც განმარტავს, რა არის გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალის განზრახ მკვლელობა მეუღლის, ყოფილი მეუღლის, პარტნიორის ან ოჯახის სხვა წევრის მიერ. ქალებს კლავენ უთანასწორობის, დისკრიმინაციის, არათანაბარი მოპყრობის გამო, იმის გამო, რომ მეუღლეები მათ საკუთრებად მიიჩნევენ, სწორედ ამის გამო ჩავთვალეთ ოჯახის წევრის, მეუღლის ან ყოფილი მეუღლის და პარტნიორის ცნებების შეტანა კანონში, როგორც დანაშაულის სუბიექტების", – 2016 წლის 16 ივნისს დეპუტატმა თამარ ხიდაშელმა პარლამენტში გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალის განზრახ მკვლელობისთვის სისხლის სამართლის კოდექსში ფემიციდის მუხლის დამატების აუცილებლობაზე ისაუბრა.

ქალი დეპუტატების, თამარ კორძაიას და თამარ ხიდაშელის მიერ წარდგენილ კანონპროექტს დასაბუთებული არგუმენტები და სტატისტიკა ამყარებდა, მაგრამ ეს ვერ გახდა საკმარისი, პარლამენტარებს საკითხისთვის სერიოზულად შეეხედათ. ცვლილებებს მხარი არ დაუჭირეს.

დეპუტატებმა უარი თქვეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შრომითი ურთიერთობისას სექსუალური შევიწროების მუხლის შეტანაზეც. არაფრად მიიჩნიეს არგუმენტი, რომ დასაქმების ადგილზე სექსუალური შევიწროება უფლებადარღვევის ყველაზე გავრცელებულ და ამავდროულად დაფარულ პრობლემას წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ხანგრძლივი დისკუსია პარლამენტში სავალდებულო გენდერული კვოტირების საკითხის დაყენებას მოჰყვა, საბოლოოდ „ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის" მიერ მომზადებული საკანონმდებლო წინადადებაც არ მიიღო პარლამენტმა. ამ წინადადებით შესაძლებელი გახდებოდა, პარტიულ სიებში (პროპორციული სიით) ყოველი მეორე წევრი ქალი ყოფილიყო, რაც პარლამენტში ქალთა მინიმუმ 25%-იან წარმომადგენლობას ნიშნავდა.

მაგრამ უფლებებისთვის ბრძოლა პარლამენტის გარეთ გრძელდებოდა. სხვადასხვა რეაქციული გამოსვლებით ფემინისტური მოძრაობა თუ ქალთა უფლებებზე მომუშავე ჯგუფები საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ახერხებდნენ.

სექსუალური შევიწროება – ქალთა „უჩინარი" დისკრიმინაცია

ქალთა სექსუალური შევიწროების შესახებ გასულ წელს „ქალთა ფონდმა საქართველოში" კვლევა ჩაატარა. გამოიკითხა 130 სტუდენტი გოგონა.

გამოკითხული სტუდენტი ქალების 62% აცხადებს, რომ საზოგადოებრივ სივრცეში კაცის მხრიდან სექსუალური შევიწროების გამოცდილება აქვს. საზოგადოებრივ სივრცეში სექსუალური შევიწროების გამოცდილების მქონე სტუდენტი ქალების უმრავლესობა, კერძოდ კი 59%, აცხადებს, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში სექსუალური შევიწროების 2-დან 5-მდე შემთხვევა ჰქონია, გამოკითხულთა 32% კი 10-ზე მეტ შემთხვევას ითვლის. რაც შეეხება სექსუალური შევიწროების ყველაზე ხშირად განმეორებად ფორმას, სტუდენტი ქალების 35% ასახელებს არასასურველ ვერბალურ კომენტარებს (სტვენას, შეძახილსა და ა.შ.) მათ გარეგნობასა თუ ჩაცმულობასთან დაკავშირებით, 22% კი – ფიზიკურ შეხებას.

როგორც კვლევის მონაწილეებმა განაცხადეს, მათ მიმართ სექსუალური შევიწროება ყველაზე ხშირად გამოვლენილა ქუჩასა [44%] და ტრანსპორტში [33%].

გამოკითხული სტუდენტების 45% ამბობს, რომ თავს არიდებს ქუჩაში ჯგუფურად მიმავალ კაცებს/ბიჭებს. ასეთ დროს გზიდან გადადის, ან ელოდება მათ ჩავლას, 44% კი ცდილობს „მობირჟავე" კაცების/ბიჭების წინ არ გაიაროს, 40% ერიდება ღამით მარტო სიარულს ქუჩაში, 24% კი ცდილობს, თვალი არ გაუსწოროს ქუჩაში მისკენ მიმავალ კაცებს/ბიჭებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„არ დავთმოთ ღამე“

მეგაფონით, სასტვენებითა და პლაკატებით შეიარაღებული ქალები 25 ნოემბრის ღამეს ქუჩაში გავიდნენ. ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს ამ აქციით შეუერთდნენ.

„ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფის“ ინიციატივით, ქალთა სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ მიმართული პროტესტი ამ ფორმით პირველად გამოიხატა.

ფემინისტები ამბობენ, რომ სექსუალური შევიწროება ქალებისა და გოგონებისთვის ყოველდღიურობის ნაწილია. ეს ხდება ქუჩაში, საჯარო ტრანსპორტში, პარკებში, სკოლებსა და სამუშაო ადგილებში. მაშინ, როდესაც ოჯახში ძალადობა, ასე თუ ისე, აღიარებული პრობლემაა, საჯარო სივრცეებში ძალადობა ჯერ კიდევ უხილავ და დაურეგულირებელ პრობლემად რჩება.

სექსუალური შევიწროება, როგორც ქალების „უჩინარი“ დისკრიმინაცია, „ქალთა ფონდი საქართველოს“ მიერ წარმოებულმა კვლევამაც აჩვენა. გამოკითხული 130 სტუდენტი გოგონადან 62% ამბობს, რომ ერთხელ მაინც განუცდია სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში. ეს პრობლემა ხვდება სახალხო დამცველის ანგარიშებშიც.

„არ დავთმოთ ღამე“ საერთაშორისო ღონისძიებაა, რომელიც 1970-იანი წლებიდან მოყოლებული ყოველწლიურად 30-ზე მეტ ქვეყანაში იმართება. სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ამ კამპანიას ფემინისტების ინიციატივით წელს საქართველოც შეუერთდა.

„ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფი“ არაფორმალურ, არაიერარქიულ, რეაქციულ მოძრაობას წარმოადგენს. ფემინისტური იდეების ირგვლივ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები პირველად 2011 წელს გაერთიანდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ჯგუფი პირველი დეკლარირებულად ფემინისტური ღირებულების მოძრაობაა. როგორც ამბობენ, ისინი უპირისპირდებიან საზოგადოებაში გამოვლენილ ნებისმიერი ტიპის ჩაგვრას და უთანასწორობას. ჯგუფს არ ჰყავს მუდმივი წევრები და ლიდერები.

ეკატერინე იმერლიშვილი ჯგუფის ერთ-ერთი წევრია. ამბობს, რომ ისინი ნაკლებად ერთვებიან ადვოკატირების ტიპის კამპანიაში, ძირითადად, რეაქციულად მოქმედებენ

„ქალთა მოძრაობის“ მიერ ჩატარებული აქცია, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე. თბილისი, 25 ნოემბერი 2016

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მათი მთავარი სამიზნე თავად ქალები არიან. ქალების წახალისება და გააქტიურება თავისუფალი გარემოს, უფლებებისა და თანასწორობისთვის ბრძოლაში, რადგან ქალისთვის ცვლილებების მოთხოვნა იქ, სადაც მხარდამჭერი არ ჰყავს, ძალიან რთულია.

„ოჯახი ყველაზე კარგად ასახავს, ზოგადად, რა გენდერული პრობლემებიც გვაქვს. მაგალითად, საქმეებისა და როლების გადანაწილება. როგორც წესი, ოჯახი ერთმნიშვნელოვნად ქალის ტვირთი ხდება, ამიტომ მნიშვნელოვანია „საშინაო" აქტივიზმი, ცვლილებები სახლიდან. ჩვენი ჯგუფის რეაქციული გამოსვლები ხშირად იმ ქალების სათქმელს ამბობს, რომლებიც თავად ვერაფერს ამბობენ. ფემინისტური მოძრაობა გულისხმობს მხარდაჭერას ყველა მოწყვლადი ჯგუფის მიმართ. ფემინიზმის შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენები აქვთ. ხშირად გვეუბნებიან, რომ კაცების ადგილის დაკავება და მათი ჩანაცვლება გვინდა. ეს არასწორი შეხედულებაა, ჩვენ ჩვენი კუთვნილი ადგილის დაკავება გვინდა", – ამბობს ეკა იმერლიშვილი.

ფერადი კაბები დროშებად

„ჩვენი სახელმწიფო ბრმაა გენდერულად მოტივირებულ დანაშაულთა მიმართ, რადგან მას აკლია კომპეტენცია და ნება: დღემდე არც ერთი ფემიციდის/ქალთა მკვლელობის საქმეში სახელმწიფოს არ დაუდგენია გენდერული დისკრიმინაციის მოტივი. შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მოვითხოვთ სპეციალური დანაყოფის შექმნას, რომელიც გენდერულად მოტივირებულ დანაშაულებზე იმუშავებს და რომელსაც ექნება შესაფერისი ცოდნა და მანდატი", – „ქალთა მოძრაობის" წევრებისა და მოქალაქეების მსვლელობა, დროშებად აფრიალებული ფერადი კაბების თანხლებით, პოლიციის შენობასთან დასრულდა. პოლიციის შენობის წინ შეკრებილი ქალები ჰყვებოდნენ ამბებს თავიანთი ცხოვრებიდან. მათთან არავინ გასულა. ეს იყო ქალთა მოძრაობის ერთ-ერთი ბოლო აქცია ამ წელს, კონკრეტული მოთხოვნით.

ქალთა მოძრაობა საზოგადოებაში აქტიურად 2014 წელს ქალთა მკვლელობების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიებში გამოჩნდა. ამას მოჰყვა ფართომასშტა-

---

ადრეულ ასაკში ქორწინება

საქართველოს კანონმდებლობით ქორწინების დასაშვები ასაკი 18 წელია. ადრეულ ასაკში ქორწინების მიზეზების, მასშტაბებისა და შედეგების შესასწავლად სიღრმისეული კვლევა საქართველოში არ მომხდარა. გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ სხვადასხვა დროს შეგროვებული მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოში მცხოვრები ქალების 17% 18 წლის შესრულებამდე დაქორწინდა. ფონდის მიერ რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის თანახმად, 18 წლის ასაკამდე დაქორწინებულ ქალთა უმეტესობა ვერ ახერხებს საშუალო ან უმაღლესი განათლების მიღებას.

განათლების სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ადრეულ ასაკში ქორწინების მიზეზით, 2014-2015 სასწავლო წელს სავალდებულო განათლების მიღების გარეშე სწავლა მიატოვა საბაზო საფეხურის 107 მოსწავლემ.

თუმცა განსხვავებულია სახალხო დამცველის მონაცემები, რომელიც მან სხვადასხვა უწყებებიდან გამოითხოვა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2015 წელს 611 არასრულწლოვანი პირის ქორწინება დარეგისტრირდა, ხოლო 2014 წელს – 665. მოცემული მაჩვენებლებიდან 95%-ის შემთხვევაში არასრულწლოვანი გოგო იყო.

სახალხო დამცველისთვის განათლების სამინისტროს მიერ მიწოდებული სტატისტიკის თანახმად, 2015 წელს, ოჯახის შექმნის მიზეზით, სწავლა 13-დან 17 წლამდე 408 მოსწავლემ შეწყვიტა, ხოლო 168 შემთხვევაში სწავლას თავი 18 წელს მიღწეულმა პირმა დაანება, თუმცა ანგარიშში ნათქვამია, რომ, სავარაუდოდ, ეს მონაცემები ზუსტი არ არის, ვინაიდან ქვემო ქართლის მუნიციპალურ ერთეულებში გამართული შეხვედრების დროს სკოლის პედაგოგები და დირექტორები არ იყვნენ ინფორმირებულნი იმის შესახებ, რომ აუცილებელია ბავშვთა სკოლის მიტოვების მიზეზების შესახებ სტატისტიკის წარმოება და შესაბამისი შეტყობინება.

ბიანი აქციები ადრეული ქორწინების წინააღმდეგ, რომელმაც საქართველოს 25-მდე ქალაქი მოიცვა. პერფორმანსი კანცელარიის წინ და კონკრეტული გზავნილები სახელმწიფო უწყებებთან, ძალადობასთან ბრძოლის ეფექტიანი მექანიზმის შექმნისთვის.

როგორც ქალთა მოძრაობის წევრები ამბობენ, ეს არ არის მხოლოდ აქციების ფარგლებში დარჩენილი აქტივობები, ეს არის კამპანიები, რომელსაც თან ახლავს ადვოკატირებაც. ძირითადი მიმართულება, რაზეც ქალთა მოძრაობა აქცენტს აკეთებს, არის ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდა.

ქალთა მიმართ ძალადობაზე საუბრისას „ქალთა მოძრაობის" წევრი იდა ბახტურიძე აღნიშნავს, რომ მიუხედავად გარკვეული ცვლილებებისა, თუნდაც გაზრდილი რეაგირება, შემაკავებელი და დამცავი ორდერების რაოდენობა, შსს-ის საინფორმაციო კამპანიები, პრობლემები რჩება და სისტემური ცვლილებების გარეშე, ეს კოსმეტიკური ტიპის მცდელობები არ არის საკმარისი. გადის დრო და ძალადობა რჩება პრობლემად, თითქმის იმავე მასშტაბებით.

აქტივიზმი vs სახელმწიფო

აქამდე არაფერი იყო ცნობილი საქართველოში გოგონების წინადაცვეთის პრაქტიკის არსებობის შესახებ. ეს საკითხი განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მას შემდეგ მოექცა, რაც „ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტმა" (IWPR) გამოაქვეყნა სტატია, ყვარლის რაიონის სამ სოფელში – თივში, სარუსოსა და ჩანთლისყურში მცხოვრები ავარიელების ეთნიკურ ჯგუფში პატარა გოგონების წინადაცვეთის ტრადიციის არსებობის შესახებ.

სახალხო დამცველმა მოკვლევა დაიწყო და საქართველოში გოგონების წინადაცვეთის პრაქტიკა დადასტურდა. ომბუდსმენი ამბობს, რომ ქალის გენიტალიების დასახიჩრება უფლებადარღვევის უკიდურესი ფორმაა, რომელიც არღვევს ქალის ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და წამების აკრძალვის უფლებებს.

იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა თქვა, რომ გოგონების წინადაცვეთა სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადი გახდება და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება უწყებამ უკვე მოამზადა. მინისტრი იმედოვნებს, რომ ამ საკითხს ახალი პარლამენტი მხარს დაუჭერს.

საიას იურისტი თამარ დეკანოსიძე მიიჩნევს, რომ 2016 წელს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრ-

კაცის საშუალო თვიური ხელფასი ქალისას 362 ლარით აღემატება

„ქალი და კაცი საქართველოში" – ასე ჰქვია პუბლიკაციას, რომელსაც საქსტატი ამზადებს და მასში მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები გენდერული თანასწორობის ძირითად ტენდენციებს ასახავს.

მაგალითად, 2014 წელს ქალების საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 618 ლარი შეადგინა, ხოლო კაცების ხელფასმა – 980 ლარი.

ბიზნესსექტორში დასაქმებულ კაცთა შრომის საშუალო თვიურმა ნომინალურმა ანაზღაურებამ 940 ლარი შეადგინა, რაც 351 ლარით აღემატება ამ სფეროში დასაქმებულ ქალთა შრომის საშუალო თვიურ ანაზღაურებას.

პუბლიკაციაში ოჯახში ძალადობის მხვერპლთა და მოძალადეთა სტატისტიკაცაა ასახული. 2014 წელს მოძალადეთა 90%-ზე მეტი კაცი იყო. მსხვერპლის თითქმის 90% კი – ქალი. ძალადობის შემთხვევათა საერთო რაოდენობიდან 459 შემთხვევა იყო ფიზიკური ძალადობა, 799 – ფსიქოლოგიური, 75 – ეკონომიკური, 9 – სექსუალური, 83 – იძულება, ხოლო 14 – სხვა სახის.

სოფელში მცხოვრები ქალები

სოფელში მცხოვრები ქალები კაცებთან შედარებით მეტს შრომობენ. მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში ქალები საშუალოდ 80 დღით მეტს მუშაობენ, თუმცა მათი ჩართულობა ამ ძირითადად უფასო შრომაში აღიარებული არ არის.

ყოველდღიურ აქტივობებზე ქალისა და კაცის მიერ დახარჯული დრო თანაბარი არ არის. ეს აჩვენა 2006 და 2008 წლებში წარმოებულმა კვლევებმაც, რომელთა მიხედვით, კაცებს ქალებზე ორჯერ მეტი თავისუფალი დრო ჰქონდათ. დასაქმებული ქალების 77% დამატებით საოჯახო საქმეებზე 2 საათზე მეტს ხარჯავს. ქალების მიერ შესრულებული უსასყიდლო სამუშაოს რაოდენობა კაცებისას 13-ჯერ აღემატება.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების მხოლოდ მცირე ნაწილია ჩართული: საკრებულოში დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი კასპში, წალკასა და მარნეულში (ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის რეგიონები) 0%-დან მერყეობს, თეთრიწყაროში 24%-მდეა (ქვემო ქართლის რეგიონი) და წალენჯიხაში 26%-მდე (სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონი). კვლევის სამიზნე რეგიონებში საკრებულოში დასაქმებული ქალების საშუალო მაჩვენებელი 9%-ს შეადგენს. გამგეობაში დასაქმებული ქალების საშუალო პროცენტული მაჩვენებელი 34%-ია.

ასეთია გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ინიციატივით 2015 წელს წარმოებული კვლევის შედეგები, რომელიც სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერულ შეფასებას ისახავდა მიზნად.

ფოტოები: დავით ფარცალაძე

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს გამართული აქცია „არ დავთმოთ ღამე", თბილისი, 25 ნოემბერი 2016

ძოლაში სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა წინა ორ წელს. ის ამბობს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ცვლილებებისა და რამე ტიპის აქტივობის კუთხით წინ ვერ წავედით. ასევე, ამბობს, რომ გულდასაწყვეტი იყო მთელი ის პროცესი, როგორც ხდებოდა პარლამენტში ამ საკითხების განხილვა, რამაც აჩვენა, რომ პარლამენტარების ცრურწმენები და წარმოდგენები უფრო ძლიერია, ვიდრე მტკიცებულებები.

საიამ წელს გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს ალტერნატიული ანგარიშიც წარუდგინა. ანგარიშში შეფასებულია სახელმწიფოს პოლიტიკა ქალთა მიმართ ძალადობისა და ფემიციდის საქმეებში, ასევე ბავშვთა ქორწინება, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთ ფორმა. ანგარიში ასევე მოიცავს ნარკოტიკების მომხმარებელ და სექსმუშაკ ქალთა მიმართ ძალადობას და მათთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას.

ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად საიას მთავარი რეკომენდაციებია სტამბოლის კონვენციის სწრაფი რატიფიცირება და საქართველოს კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების დროულად შეტანა.

თამარ დეკანოსიძე მიიჩნევს, რომ სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება მნიშვნელოვნად შეცვლის გარემოს თუ სახელმწიფოს პოლიტიკა ორიენტირებული იქნება ამ კონვენციის ეფექტიან დანერგვაზე. ყველაზე მნიშვნელოვანად ამ ცვლილებებიდან გამოყოფს შემაკავებელი და დამცავი ორდერების მოქმედების, ასევე, ძალადობის მსხვერპლი ქალების დამცავი მექანიზმების გაფართოებას. ძალადობის მსხვერპლი ქალები არა მხოლოდ ოჯახში ძალადობისას იქნებიან დაცულნი, არამედ მის გარეთაც.

თამარ დეკანოსიძე მიიჩნევს, რომ სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება მნიშვნელოვნად შეცვლის გარემოს თუ სახელმწიფოს პოლიტიკა ორიენტირებული იქნება ამ კონვენციის ეფექტიან დანერგვაზე. ყველაზე მნიშვნელოვანად ამ ცვლილებებიდან გამოყოფს შემაკავებელი და დამცავი ორდერების მოქმედების, ასევე, ძალადობის მსხვერპლი ქალების დამცავი მექანიზმების გაფართოებას. ძალადობის მსხვერპლი ქალები არა მხოლოდ ოჯახში ძალადობისას იქნებიან დაცულნი, არამედ მის გარეთაც.

იუსტიციის სამინისტროში ამბობენ, რომ სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებისთვის ოცამდე კანონში ცვლილებები უკვე მომზადდა და ის ეტაპობრივად წარედგინება პარლამენტს.

ევროსაბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" (სტამბოლის კონვენცია) ევროპის ქვეყნებს ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი სამართლებრივი მექანიზმებისა და იურიდიული ნორმების შემუშავებას ავალდებულებს. დღეისათვის კონვენცია ევროპის საბჭოს 13 ქვეყნის მიერაა რატიფიცირებული. მიუხედავად ხელმოწერიდან ორი წლის განმავლობაში წარმოებული გარკვეული სამუშაობისა, ვერ მოხერხდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის დამტკიცება და შესაბამისად, კონვენციის რატიფიცირება.

მე ნატა მყვია

ავტორი, ფოტო:
დათო ფარულავა

„რომელ ადამიანს უნდა, რომ ეუბნებოდნენ, იყავით, მაგრამ ისე, რომ არ ჩანდეთ, არავინ გაიგოს თქვენს შესახებ, იყავით, იარსებეთ ისე, თითქოს არ არსებობთ?!"

მალხაზ სონღულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატა

ოთხი წლის წინ, როცა სოფლიდან წამოსვლა გადაწყვიტა, უკვე კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ თბილისში დალხენილი ცხოვრება არ მოელოდა. ყველაფერი კარგად დაგეგმა, იცოდა, როგორც მოუწევდა თავის რჩენა, თუმცა, გადაწყვიტა, რომ დამცირებისა და შეურაცხყოფის ატანას ასე სჯობდა. კი არ წამოვიდა, გამოიპარა. თავიდან ძალიან გაუჭირდა – წასასვლელი არსად ჰქონდა და თავს სარდაფს აფარებდა. ღამით გადიოდა სამუშაოდ. მაშინ მხოლოდ მე-8 კლასში იყო.

ნატა 21 წლის ტრანსგენდერი ქალია. დღეს სალონში სტილისტად მუშაობს და თავის უზრუნველყოფაც შეუძლია, თუმცა 4 წლის წინ ყველაფერი სხვაგვარად იყო. ქალაქში ახალჩამოსულს იმავე გზის გავლა მოუწია, რომელსაც საზოგადოებისგან გარიყული ტრანსგენდერი ადამიანები უფულობის გამო დაადგებიან ხოლმე.

როცა სახლში არავინ იყო, მაღალქუსლიან ფეხსაცმელს იცვამდა, ტანზე ფარდას შემოიხვევდა და სწორედ ამ დროს გრძნობდა თავს ყველაზე კომფორტულად. ბებიას ამაზე მხოლოდ ეცინებოდა, ბავშვურ გატაცებად მიიჩნევდა, თუმცა ამის გამო არასდროს გაბრაზებულა.

სკოლაშიც იცოდნენ, რომ ბიჭები მოსწონდა. მე-4 კლასში იყო, როცა ფურცელზე „მიყვარხარ" დაწერა, კალმის ბუდეში ჩადო, ჩაჰბერა, მაგრამ ადრესატის ნაცვლად მასწავლებელს მოარტყა. ყველამ ასე გაიგო, რომ კლასელი ბიჭი უყვარდა. მიუხედავად იმისა, რომ საქმე „მშობელთა კრების" მოწვევით დასრულდა, კლასელებისგან აგრესია არასდროს უგრძვნია. დღემდე ყველასთან კარგი ურთიერთობა აქვს, იმ ფურცლის ადრესატის გარდა. თუმცა სხვა მოსწავლეები ერჩოდნენ, დასცინოდნენ.

„სანამ ქალის ტანსაცმელს ჩავიცვამდი, სოფელში კარგად მექცეოდნენ. სკოლიდან სახლამდე ტყე მქონდა გასავლელი, ისე მეშინოდა... ხან ვინ დამხვდებოდა, ვინ რას მესროდა, ბევრჯერ ვუცემივარ" – ამბობს ნატა.

„ვაგზალზე ვცხოვრობდი, პადვალში. პარიკი მეფარა. ქუჩაშიც ასე გამოვდიოდი მიუხედავად იმისა, რომ შეიძლებოდა, ვინმეს ვეცემე. შინაგანად ძლიერი ვიყავი და ვამბობდი, რომ თუ ეს ვარ, ეს უნდა ვიყო"

დედა ყოველთვიურად აკითხავს; კარგი ურთიერთობა აქვთ. მამას, რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობს, თავისი იდენტობა თბილისში ჩამოსვლის შემდეგ გაუმხილა, მისწერა, რომ ტრანსგენდერი ქალია, მხარდაჭერის ნაცვლად კი მხოლოდ შეურაცხყოფა და მუქარა მიიღო.

ნათესავების მხრიდან დამოკიდებულება რამდენიმე წლის წინ შეიცვალა, როცა თბილისში გოგონათა სილამაზის კონკურსში მიიღო მონაწილეობა. კონკურსი ტელევიზიამ გააშუქა და ყველამ შეიტყო, რომ ნატა ტრანსგენდერი ქალია. ოჯახისთვისაც მაშინ გახდა პრობლემა მისი იდენტობა.

„აქ რომ ჩამოვედი, სექსმუშაკად დავიწყე მუშაობა. კარგად რომ მომქცეოდნენ, ალბათ, სოფელში დავრჩებოდი. საზოგადოებამ მიბიძგა; სოფელი იყო ასეთი; ვეღარ ვძლებდი; აქ ჩამოსულს დასაქმება ძალიან გამიჭირდა, თუმცა გაცნობიერებულიც მქონდა, რომ ასე იქნებოდა. ვაგზალზე ვცხოვრობდი, პადვალში. პარიკი მეფარა. ქუჩაშიც ასე გამოვდიოდი მიუხედავად იმისა, რომ შეიძლებოდა, ვინმეს ვეცემე. შინაგანად ძლიერი ვიყავი და ვამბობდი, რომ თუ ეს ვარ, ეს უნდა ვიყო".

ქუჩაში მუშაობა საშიშია. ნატა იხსენებს, როგორ ათრია უცხო მამაკაცმა კიბეებზე თმით. ძალიან დაშავდა, მაგრამ გამოძიებამ შედეგი ვერ გამოიღო. უთხრეს, რომ სათვალთვალო კამერებმა ვერაფერი დაიფიქსირა.

სკოლაშიც იცოდნენ, რომ ბიჭები მოსწონდა. მე-4 კლასში იყო, როცა ფურცელზე „მიყვარხარ" დაწერა, კალმის ბუდეში ჩადო, ჩაჰბერა, მაგრამ ადრესატის ნაცვლად მასწავლებელს მოარტყა. ყველამ ასე გაიგო, რომ კლასელი ბიჭი უყვარდა. მიუხედავად იმისა, რომ საქმე „მშობელთა კრების" მოწვევით დასრულდა, კლასელებისგან აგრესია არასდროს უგრძვნია. დღემდე ყველასთან კარგი ურთიერთობა აქვს, იმ ფურცლის ადრესატის გარდა. თუმცა სხვა მოსწავლეები ერჩოდნენ, დასცინოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ახალი წელი დგებოდა. იმ დღეს მუშაობას არ ვაპირებდი; სოფელში უნდა წავსულიყავი და ახალი კაბა ვიყიდე, გოგოებისთვის უნდა მეჩვენებინა. ვიღაცამ მანქანით ჩაიქროლა და შავი სითხით სავსე ბოთლი მესროლა. თურმე ბენზინი იყო. მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, უკან არ მობრუნებულიყო და ასანთიც არ ესროლა".

უკვე დიდი ხანია, მაღალქუსლიან ფეხსაცმელს აღარ იცვამს. რამდენჯერაც ჩავიცვი, იმდენჯერ მცემესო, ამბობს. ერთხელ კლუბიდან გამოსულს მამაკაცი დაესხა თავს და ხელი მოსტეხა. ძალადობის მსხვერპლი მას შემდეგაც არაერთხელ გამხდარა, მაგრამ პოლიციას უკვე აღარ მიმართავს. არ აქვს დახმარების იმედი, რადგან ზოგჯერ სამართალდამცავები დასცინიან და შეურაცხყოფენ. ურჩევნია, პრობლემები თვითონ მოაგვაროს.

საზოგადოებრივი ტრანსპორტით აღარ მგზავრობს. როცა სადმე წასვლა უნდა, ტაქსის იძახებს.

„განა მეშინია, არ მინდა, ვინმემ რამე მითხრას და ავნერვიულდე. შეურაცხყოფის ბევრი შემთხვევა ყოფილა, კენჭები უსვრიათ, უგინებიათ. ადრე უფრო ვაქცევდი ყურადღებას, ვლიზიანდებოდი. ახლა ნაკლებად, გავივლი და მალევე მავიწყდება. ათას შეურაცხმყოფელ სიტყვას გვეძახიან, მაგრამ ლესბოსელი, გეი, ტრანსი – ჩემთვის ყველა ერთია. მათი ტკივილი ჩემი ტკივილია. ვცდილობ, ასეთ გამოხდომებს არ ავყვე, ყველანაირად ვცდილობ".

„23 წლის ვარ და ფიზიკურად დღემდე არავინ შემხებია. უფრო დამცინოდნენ ხოლმე. სხვა ტრანსგენდერ ქალებთან შედარებით ძალიან გამიმართლა. ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ გამოიყურები, რამდენად შეესაბამება შენი გარეგნობა, ხმის ტემბრი შენს გენდერულ იდენტობას. მამაკაცის გარეგნობა რომ მქონოდა, სამსახურში, ალბათ, არ მიმიღებდნენ."

მერი

„23 წლის ვარ და ფიზიკურად დღემდე არავინ შემხებია. უფრო დამცინოდნენ ხოლმე. სხვა ტრანსგენდერ ქალებთან შედარებით ძალიან გამიმართლა. ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ გამოიყურები, რამდენად შეესაბამება შენი გარეგნობა, ხმის ტემბრი შენს გენდერულ იდენტობას. მამაკაცის გარეგნობა რომ მქონოდა, სამსახურში, ალბათ, არ მიმიღებდნენ"

მერი სამკერვალო ატელიეში მუშაობს. დამსაქმებელმა მისი გენდერული იდენტობის შესახებ თავდაპირველად არაფერი იცოდა, თუმცა, როცა გაიგო, არც მას შემდეგ შესცვლია კეთილგანწყობა. მერიმ იცის, რომ მისი გამოცდილება განსხვავებულია სხვა ტრანსგენდერი ქალების გამოცდილებისგან – ქუჩაში არავინ მისდევს, არავინ აწუხებს, რადგან ბიოლოგიურად ქალისგან ვერ არჩევენ.

სოფლიდან 8 თვის წინ წამოვიდა. 15 წლის იყო, როცა დედას უთხრა, რომ ქალია. დედას გაეცინა, გაგივლის, 21 წლის ასაკში ამაზე გაგეცინებაო, მაგრამ დღეს მხოლოდ ამ ისტორიის გახსენებაზე ეცინება. მას შემდეგ კიდევ რამდენჯერმე სცადა, დედისთვის აეხსნა, თუმცა უშედეგოდ. მამას შედარებით გვიან გამოუტყდა. მოუსმინა, ძალიანაც განიცადა, ცდილობდა, მხარში დასდგომოდა, მაგრამ მაინც მის „გამოსწორებას" ცდილობდა.

„გრძელი თმა მქონდა და როცა ავიწევდი, მეუბნებოდა, გარეთ ნუ გადიხარ, მეზობლები გნახავენო. როცა ეუბნებოდნენ, რა ლამაზი გოგო გყავთო, თავს უხერხულად გრძნობდნენ, როცა ჩემი სახელის თქმა უწევდათ. არ ვაქცევდი მეზობლებს ყურადღებას, ვერც ბევრ უხეშ გამოხატულებას გავიხსენებ. უნივერსიტეტში ორმა სტუდენტმა გამოთქვა პროტესტი, მაგრამ მალევე დავალაგეთ ურთიერთობა"

მერიმ კიდევ ერთხელ სცადა, მშობლებისთვის თავისი იდენტობა აეხსნა. ამისათვის ფსიქოლოგსა და სექსოლოგთან საუბრის შემდეგ გენდერული იდენტობის დამადასტურებელი სამედიცინო მოწმობაც აიღო, პროცედურა კი სტიპენდიით დაიფინანსა. როცა სტიპენდია ამოეწურა, დანარჩენი თანხა მშობლებმა გადაუხადეს. დედა ნელ-ნელა იღებს ისეთს, როგორიც არის, თუმცა ოჯახის სხვა წევრები ჯერაც ძველი სახელით მიმართავენ.

„როცა პირველად გავედი ქუჩაში ქალის ფორმაში, მეშინოდა, ვინმეს არ ვეცნე, ვინმე ფიზიკურად არ გამსწორებოდა. ჩემმა მეგობრებმა იციან, რომ ტრანსგენდერი ვარ, მაგრამ ახალგაცნობილ ადამიანებს არ ვეუბნები, გამარჯობა, მე ტრანსგენდერი ვარ-მეთქი. ამას თუ ხშირად გავიმეორებ, მათ გონებაშიც ასე აღვიბეჭ-

დები. რა საჭიროა? მე ვარ ქალი. ტრანსგენდერობა, ეს წვრილმანია, რომელიც შესაძლოა, მხოლოდ ახლო მეგობრის, ან პარტნიორისთვის იყოს მნიშვნელოვანი. სხვისთვის რა მნიშვნელობა აქვს?!"

თანასოფლელებს ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი არ უნახავთ. უნდა, რომ მშობლები მოინახულოს, თუმცა ფიქრობს, რომ ამისთვის ჯერ მზად არ არიან.

„არ მინდა, რომ ჩავიდე და სახლში გამომკეტონ. მინდა, მიხვდნენ, რომ არაფერს ვაშავებ და ამაში სამარცხვინო არაფერია. ჩემთან ერთად გამოჩენის არ უნდა შერცხვეთ. ვიცი, რომ მათთვის ჩემი ასე დანახვა ძნელი გადასატანი იქნება. ჯერ ეშინიათ საზოგადოების, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი მოგვარდება, სხვა გზა არ აქვთ"

კატია

ადრეული ასაკიდანვე მოსწონდა ქალის ტანსაცმელი და კოსმეტიკა. 10 წლის ასაკში უკვე ხვდებოდა, რომ სხვებისგან განსხვავებული იყო. ეს არც დედის თვალს გამორჩენია. კატია 15 წლის არის. დედასთან ერთად საზღვარგარეთ ცხოვრობდა, თუმცა, როცა დედამ შეატყო, რომ ფემინური ქცევები ჰქონდა, „გამოსწორების" იმედით გადაწყვიტა, მამასთან გამოეშვა თბილისში.

აქ ყველაფერი კიდევ უფრო გართულდა. ექიმებთან წაიყვანეს – ფსიქოლოგს, სექსოლოგს გაასინჯეს, რომლებმაც დაასკვნეს, რომ მას ლგბტ ადამიანებმა „ტვინი აურიეს".

„13 წლისა უკვე აღარ დავყავდი ექიმთან. დედას ვუთხარი, შინაგანად გოგო ვარ, ბიჭის სხეულში არასწორად დავიბადე-მეთქი. მითხრა, გარყვნილი ხარ, ავადმყოფი, გონებაჩლუნგი ხარ და მკურნალობა გჭირდება, მარტო სექსი გინდაო. ერთხელ დამინახა, რომ მისი ტანსაცმელი მეცვა, დამარტყა. რომ შემეძლოს, გარეთაც ქალის ტანსაცმლით ვივლიდი, მაგრამ ჩემი ასაკის გათვალისწინებით, არ ვარ მზად."

იძულებული გახდა, სკოლაში ქამინგ აუთი გაეკეთებინა. უცნაურ კითხვებს უსვამდნენ; ბოლოს თქვა, რომ ტრანსგენდერია, საპასუხოდ კი დაცინვა მიიღო.

„ისეთ რაღაცებს მეუბნებოდნენ, გახსენებაც არ მინდა. ცურვაზე დავდიოდი. იქაც გაიგეს ეს ამბავი. ჩემი შვილი რომ იყოს, ყელს გამოვჭრიდიო, ამბობდნენ. მასწავლებელმა ჩემი მხარე დაიჭირა, თუმცა განწყობა მაინც ჰომოფობიური იყო."

დღეს ნათესავთან ცხოვრობს. მამას იშვიათად ნახულობს, რადგან ყოველი შეხვედრა შეურაცხყოფით მთავრდება.

„როცა ვხვდები მამაჩემს, ხან მაგინებს, ხან შეურაცხმყოფელ სიტყვებს მეუბნება. შიში მაქვს მამის. არც ტელეფონზე მირეკავს; საერთოდ არ ვაინტერესებ. არ შემიძლია ამ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც, სულ საფრთხე მემუქრება. მირჩევნია, დედასთან წავიდე ისევ, უცხოეთში. საქართველო რომ ჰომოფობიური ქვეყანა არ იყოს, ვიცხოვრებდი, როგორც ქალი, სამსახური მექნებოდა და ოჯახი მეყოლებოდა. ვიქნებოდი ჩვეულებრივი ადამიანი, როგორიც ახლა ვარ. მინდა, ხალხმა გაიგოს, რომ ტრანსგენდერი ადამიანებისთვის აქ ცხოვრება ძალიან ძნელია. განვითარების არავითარი საშუალება არ აქვთ, სექსმუშაკობით არიან დაკავებულები და ყოველდღე ელოდებიან სიკვდილს. ამაზე მეც მიფიქრია."

კატია ჰყვება, რომ მას შემდეგ, რაც ნათესავ ბიჭს თავისი იდენტობა გაუმხილა, მისგან სექსუალური შევიწროების მსხვერპლი გახდა. ამის შესახებ მშობლებს უთხრა, მაგრამ მათ არ დაუჯერეს, აქეთ დაადანაშაულეს, მოძალადე კი – გაამართლეს.

„ქუჩაში ბევრ სირთულეს ვაწყდები. მაგინებენ, უცნაურად მიყურებენ. თუკი ფიზიკურად არ შემეხნენ, ვცდილობ ყურადღება არ მივაქციო. დედამ მითხრა, თუკი ასეთი ცხოვრება გსურს, სადაც გინდა, იქ წადიო, მაგრამ მასთან უნდა დავბრუნდე. იქ განვითარების მეტი საშუალება მექნება. ტრანსგენდერ ქალებს აქ ცხოვრება ძალიან გვიჭირს. ჩემი თხოვნა იქნება, იქნებ, სახელმწიფო რამით დაგვეხმაროს?!"

„13 წლისა უკვე აღარ დავყავდი ექიმთან. დედას ვუთხარი, შინაგანად გოგო ვარ, ბიჭის სხეულში არასწორად დავიბადე-მეთქი. მითხრა, გარყვნილი ხარ, ავადმყოფი, გონებაჩლუნგი ხარ და მკურნალობა გჭირდება; მარტო სექსი გინდაო. ერთხელ დამინახა, რომ მისი ტანსაცმელი მეცვა, დამარტყა. რომ შემეძლოს, გარეთაც ქალის ტანსაცმლით ვივლიდი, მაგრამ ჩემი ასაკის გათვალისწინებით, არ ვარ მზად."

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლო

43 წლის ნიკოლო ტრანსგენდერი მამაკაცია. მეუღლე, შვილი, ორი შვილობილი და შვილიშვილი ჰყავს. კომპიუტერის ხელოსნად მუშაობს. თავისი იდენტობის გამო მეზობლებსა და თანამშრომლებთან პრობლემები არასდროს შექმნია, თუმცა ეს მანამდე, სანამ თანამშრომლები მოკლული ტრანსგენდერი ქალის, ზიზის სასამართლო პროცესზე ნახავდნენ ტელევიზორში.

„მგონი, გაიგეს, რომ ტრანსგენდერი ვარ. იქნებ გეი ვგონივარ? არ ვიცი. მითხრეს, დაიცავი ადამიანის უფლებები, მაგრამ ტელევიზორში ნუ გამოჩნდები სახალხოდო. ჩემს თანამშრომლებს პრობლემა არ ჰქონდათ ჩემთან, თუმცა გვერდზე ოფისის თანამშრომლების გავლენის ქვეშ მოექცნენ. ადამიანურად, მეგობრულად გეუბნებით, შენთვისვე სჯობს, წახვიდეო, მეუბნებოდნენ. არ წამოვსულვარ, რაღაცნაირად მოვაგვარე."

„მგონი, გაიგეს, რომ ტრანსგენდერი ვარ. იქნებ გეი ვგონივარ, არ ვიცი. მითხრეს, დაიცავი ადამიანის უფლებები, მაგრამ ტელევიზორში ნუ გამოჩნდები სახალხოდო. ჩემს თანამშრომლებს პრობლემა არ ჰქონდათ ჩემთან, თუმცა გვერდზე ოფისის თანამშრომლების გავლენის ქვეშ მოექცნენ. ადამიანურად, მეგობრულად გეუბნებით, შენთვისვე სჯობს, წახვიდეო, მეუბნებოდნენ. არ წამოვსულვარ, რაღაცნაირად მოვაგვარე."

მეზობლებისგან აგრესიული ან უარყოფითი დამოკიდებულება არასდროს უგრძვნია. იმავე უბანში ცხოვრობს, სადაც გაიზარდა.

„როცა ადამიანს გაგიცნობენ და შემდეგ იგებენ შენი გენდერული იდენტობის შესახებ, არ აქვთ პრობლემა, მაგრამ თუ არ გიცნობენ და ტრანსგენდერად გაგიცნეს, სტერეოტიპების ქვეშ ექცევიან; შემდეგ სურვილიც არ აქვთ, როგორც ადამიანი ისე გაგიცნონ. ჩარჩოში გსვამენ; ასეთი ხარ და მორჩა."

ცდილობს, საზოგადოების აზრს ყურადღება არ მიაქციოს. სჯერა, რომ იმ ადამიანების აზრი უნდა გაითვალისწინოს, ვინც მისთვის ძვირფასია. შვილებსაც ამას ასწავლის. მისი იდენტობის მიმართ მშობლებს უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდათ. ამბობს, რომ ქამინგ აუთი არასდროს უცდია და ამის საჭიროებას ვერც ხედავს.

„საერთოდ არ არის ამის აფიშირება საჭირო. რომელი ჰეტეროსექსუალი ამბობს, იცით, მე ჰეტეროსექსუალი ვარო. ამის გარკვევა თავისთავად ხდება ურთიერთობაში. თუკი ადამიანი იმდენად ახლობელი გახდება, რომ ყველაფერი უნდა იცოდეს ჩემ შესახებ, მაშინ ვეტყვი."

ნატასგან, მერისა და კატიასგან განსხვავებით ნიკოლომ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში სახელი შეიცვალა. ახლა სასამართლოს გზით ცდილობს, პირადობაში სქესის ჩანაწერიც შეცვალოს. მის გენდერთან შეუსაბამო ჩანაწერს პირადობაში პრობლემები არაერთხელ შეუქმნია.

„ბაქოში რომ მივდიოდი, საზღვარზე 2 საათი მაყურყუტეს, სქესი შეცდომით გიწერიაო. მდგომარეობიდან ისე გამომიყვანეს, უკვე ვყვიროდი. მიყურებდნენ და იცინოდნენ. ძალიან ცუდი შეგრძნება იყო. სახალხო დამცველს მივმართე, მათ კი მითხრეს, ეგ ჩვენი ტერიტორია არ არისო. სახელმწიფო ყველგან უნდა იცავდეს თავის მოქალაქეს."

სასამართლოში ნიკოლოს ინტერესებს საია იცავს. როგორც იურისტი ნონა ქურდოვანიძე განმარტავს, კანონის თანახმად, დაბადებისა და პირადობის მოწმობაში სქესის შესახებ არსებული ჩანაწერის შეცვლა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუკი პირი შეიცვლის სქესს. კანონი არ აკონკრეტებს, რა ითვლება სქესის შეცვლად და რა დოკუმენტები უნდა იყოს წარდგენილი აღნიშნულის დასადასტურებლად. მისი თქმით, როგორც პრაქტიკა ადასტურებს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო სქესის შეცვლის შესახებ ოპერაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას მოითხოვს, რაც გაუმართლებელია, რადგან შესაძლოა, ის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნიდეს, ან ტრანსგენდერ ადამიანს საერთოდ არ სურდეს და არც სჭირდებოდეს ოპერაცია, ან არ ჰქონდეს ამის ფინანსური შესაძლებლობა.

ნიკოლოს საქმე ჯერ პირველი ინსტანციის სასამართლოშია, თუმცა საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში კიდევ ორი მსგავსი საქმეა, რომლებიც უკვე უზენაეს სასამართლოშია წარდგენილი. ჯერჯერობით, უცნობია, ცნობს

ეროვნული ბიბლიოთეკა



თუ არ გიცნობენ და ტრანსგენდერად გაგიცნეს, სტერეოტიპების ქვეშ ექცევიან, შემდეგ სურვილიც არ აქვთ, რომ როგორც ადამიანი ისე გაგიცნონ. ჩარჩოში გსვამენ, ასეთი ხარ და მორჩა

თუ არა უზენაესი სასამართლო მათ დასაშვებად.

„ქალთა ინიციატივის მხარდამჭერი ჯგუფის“ წარმომადგენელი ქეთი ბახტაძე აღნიშნავს, რომ დოკუმენტში სქესის ჩანაწერის შესაცვლელად ოპერაციის წინაპირობად განსაზღვრა უფლების შემლახავია, რადგან უწყება მხოლოდ ბიოლოგიურ სქესს ცნობს და არა – გენდერს.

„არ არსებობს გენდერის სამართლებრივი აღიარების იმგვარი პროცედურა, რომელიც ადამიანის უფლებებს არ შელახავს. ამასთან, არ არსებობს არც კლინიკური სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც სქესის კვლავმინიჭების პროცედურებს დაარეგულირებს. საქართველოში ექიმს ჰორმონალური თერაპიის დანიშვნის უფლებაც კი არ აქვს, როცა დანიშნულების გარეშე ჰორმონების დამოუკიდებლად მიღება შესაძლოა, ჯანმრთელობისთვის საზიანო იყოს.“ – ამბობს ბახტაძე.

ნიკოლო შვილიშვილთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე მეორე წელია, იუსტიციის სახლთან ლგბტ აქტივისტები 10 ნოემბერს ტრანსგენდერი ადამიანების ხსოვნის ეროვნულ დღეს აღნიშნავენ. ეს დღე პირველად შარშან 2014 წელს მოკლული ტრანსგენდერი ქალის, საბი ბერიანის, ხსოვნისადმი პატივის მისაგებად აღნიშნეს. მემორიალს ტრანსგენდერი ქალი ბიანკაც ესწრებოდა, რომელიც ალბათ ძნელად თუ წარმოიდგენდა, რომ მომავალ წელს აქ ადამიანები მისი ხსოვნისადმი პატივის მისაგებად შეიკრიბებოდნენ, თუმცა 2016 წლის თებერვალში ბიანკა თავის სახლში გარდაცვლილი იპოვეს.

* * *

უკვე მეორე წელია, იუსტიციის სახლთან ლგბტ აქტივისტები 10 ნოემბერს ტრანსგენდერი ადამიანების ხსოვნის ეროვნულ დღეს აღნიშნავენ. ეს დღე პირველად შარშან 2014 წელს მოკლული ტრანსგენდერი ქალის, საბი ბერიანის, ხსოვნისადმი პატივის მისაგებად აღნიშნეს. მემორიალს ტრანსგენდერი ქალი ბიანკაც ესწრებოდა, რომელიც ალბათ ძნელად თუ წარმოიდგენდა, რომ მომავალ წელს აქ ადამიანები მისი ხსოვნისადმი პატივის მისაგებად შეიკრიბებოდნენ. 2016 წლის თებერვალში ბიანკა თავის სახლში გარდაცვლილი იპოვეს.

სამიოდე კვირის წინ 32 წლის ტრანსგენდერი ქალი ზიზი თავისა და ყელის არეში მიყენებული მრავლობითი დაზიანებების გამო გარდაიცვალა. თავდამსხმელმა მას თავში ბეტონი ჩაარტყა და ყელი გამოჭრა, რის საფუძველზეც სამართალდამცავებმა ბრალდებულს განზრახ მკვლელობის მუხლით წაუყენეს ბრალი. პროკურატურამ მკვლელობა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულად არ შეაფასა.

ნოემბერში კიდევ რამდენიმე ტრანსგენდერ ქალს სცემეს, თუმცა დამნაშავეები პოლიციის მისვლამდე გაუჩინარდნენ.

სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშის თანახმად, დისკრიმინაციის შესახებ აპარატში შესული 113 განცხადებიდან 8% სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო ძალადობას ეხება. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით კი, სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მიმართ შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე 2014 წლიდან 2016 წლის 17 მაისის ჩათვლით სისხლის სამართლის საქმე მხოლოდ ერთ ფაქტზეა აღძრული.

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა კასკადი, რომელმაც როგორც საზოგადოების, ასევე არასამთავრობო სექტორების შეშფოთება გამოიწვია, პოლიტიკოსებისთვის თითქმის შეუმჩნეველი აღმოჩნდა.

ეს საკითხი არათუ ახლად არჩეული პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის დღის წესრიგში არ დამდგარა, არამედ მისმა თავმჯდომარემ ასეთი დანაშაულების გახშირებას სუბიექტური შეფასებაც უწოდა.

„ლიბერალთან“ ინტერვიუში სოფო კილაძემ აღნიშნა, რომ ყველა ადამიანს შეუძლია, თავი ისე განავითაროს, როგორც თავად სურს, სახელმწიფომ თანასწორობა უნდა უზრუნველყოს და, ამ მხრივ, გარკვეული გამოწვევები არსებობს, თუმცა საქართველო მაინც ისტორიულად ტოლერანტული ქვეყანაა და „აქაც შეიძლება იყვნენ ადამიანები, რომელთაც თემების ხელოვნურად აწევა სურთ“.

სახელისუფლებო პარტიებს შორის ტრანსგენდერი ქალების მიმართ ძალადობის საკითხი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა, ელენე ხოშტარიამ დააყენა.

„არ გახსენდებათ ჯერ არ დასაფლავებული ტრანსგენდერი, რომელიც რამდენიმე დღის წინ სწორედ სიძულვილისა და განსხვავებულობის ნიადაგზე მოკლეს.“ – თქვა ხოშტარიამ 26 ნოემბრის სხდომაზე.

„ლიბერალთან“ საუბრისას იგი განმარტავს, რომ პოლიტიკოსები ამ საკითხზე საუბრისგან თავს იკავებენ და პრობლემას პოლიტიკის დონეზე ვერ აღიქვამენ.

„ამის შესახებ პარლამენტში სწორედ მაშინ ვსაუბრობდი, როცა ზიზი დაკრძალულიც არ იყო. ამ ფონზე, ემოციას რომ თავი დავანებოთ, მთელი რიგი ძალადობის შემთხვევები გამოვლინდა ამ ნიშნით და ადამიანის უფლებების კომიტეტის თავმჯდომარეს ეს პრობლემა არც კი უხსენებია, თუნდაც შეფარულად. შეიძლება სახელი ვერ ეხსენებინა, მაგრამ ხომ საჭიროა აღიარება, რომ ეს პრობლემა არსებობს?!“ – ამბობს ხოშტარია.

მისივე თქმით, პოლიტიკაში საკითხისადმი ინდიფერენტულობა სამართალდამცავების მოქმედებაზეც აისახება. იგი მიიჩნევს, რომ დაჩაგრული ჯგუფების პრობლემებზე საუბარი ყველა პოლიტიკოსის ვალია, თუმცა ბევრ პოლიტიკოსს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხის მიმართ ჯანსაღი დამოკიდებულება არ აქვს.

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ წარმომადგენელი ლიკა ჯალაღანია ამბობს, რომ სიძულვილით მოტივირებული ძალადობის პრევენციის საუკეთესო საშუალება, უპირველესად, შესაბამისი ტიპის ძალადობის დასჯის მაგალითებია.

„დღეს არ გვაქვს კარგი მაგალითები იმისა, რომ ტრანსფობიური დანაშაულისთვის ვინმე შესაბამისად დაისაჯა. ზიზის საქმეში ვნახეთ, რომ მოტივის გამოკვეთის პრობლემა არსებობს, ასევე იყო საბი ბერიანის საქმეზე. 17 მაისის საქმე დღემდე სააპელაციო სასამართლოშია და პროცესი იწელება. არც ერთ საქმეზე არ დადგა განაჩენი, რომელიც საზოგადოებას აჩვენებს, რომ თუ ამას გააკეთებს, სამაგალითოდ დაისჯება“ – ამბობს ჯალაღანია.

მისი თქმით, ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა ამ ნიშნით ადამიანების დისკრიმინაციისგან დაცვის მექანიზმს ვერ იძლევა.

ადამიანის უფლებებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში პრემიერის მრჩეველი სოფო ჯაფარიძე ამბობს, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღმოფხვრის თვალსაზრისით გარკვეული ხარვეზები არსებობს, თუმცა ასეთ დანაშაულთან ბრძოლა ხელისუფლების პრიორიტეტია. იგი აღნიშნავს, რომ გარკვეულწილად იზიარებს არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკას, რომ არ ხდება გახშირებული ძალადობის ფონზე ასეთ ფაქტებზე სამართალდამცავი ორგანოებისგან ადეკვატური რეაგირება. თუმცა იმასაც დასძენს, რომ რიგ შემთხვევებში ეს საკმარისი მტკიცებულებების არარსებობით არის განპირობებული.

„ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირებსა და საჯარო სექტორში დასაქმებულ ადამიანებს ძალიან მკაფიო ანტიდისკრიმინაციული გზავნილები ჰქონდეთ. მათმა განცხადებებმა ჰომოფობიური და ტრანსფობიური განწყობების გაძლიერებას არ უნდა შეუწყოს ხელი, რადგან პირველ რიგში ისინი არიან მისაბაძნი. ვფიქრობ, გარდატეხა უნდა მოხდეს ამ ადამიანების მენტალიტეტში. სასურველია, თუ უწყებების შიდა რეგულაციებში ჩაიდება ნორმა, რომელიც საჯარო მოხელეებს დისკრიმინაციულ განცხადებებს აუკრძალავს. ეს ერთ-ერთ ნაბიჯი იქნება ამ პრობლემის წინააღმდეგ“ – ამბობს ჯაფარიძე.

ქორწინების კონსტიტუციაში განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით სოფო ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ ერთნაირი სქესის მქონე პირთა ქორწინება სახელმწიფოს დისკრეციის საკითხია, თუმცა პრობლემა მაშინ წარმოიქმნება, როცა ასეთი წყვილებისთვის ურთიერთობის ფორმალიზების ალტერნატიული ფორმა არ არსებობს.

„შესაძლოა, სწორედ აქ იყოს პრობლემა, მაგრამ ქვეყანა გადის განვითარების რაღაც ეტაპებს და ამ საკითხს ძალიან ფრთხილი ადვოკატირება სჭირდება. ბუნებრივია, რაღაც პერიოდის შემდეგ გარდაუვალი იქნება იმაზე მსჯელობის დაწყება, რომ ერთნაირი სქესის მქონე ადამიანების ურთიერთობა საკანონმდებლო რეგულირების ჩარჩოში მოექცეს, იქნება ეს პარტნიორობის ინსტიტუტი, თუ სხვა“ – ამბობს ჯაფარიძე.

***

მიუხედავად ადამიანის უფლებათა საკითხებში პრემიერის მრჩეველის ლიბერალური პოზიციებისა, ფაქტია, რომ ხელისუფლებისთვის ლგბტ თემის უფლებები მეორეხარისხოვანია. ამაზე მიუთითებს სიჩუმე პრობლემებზე ხმამაღლა საუბრის ნაცვლად; ლგბტ წყვილებისთვის ქორწინების წინმსწრებად აკრძალვა, მათი უფლებების დაცვის ნაცვლად.

ხელისუფლების მიერ ლგბტ ადამიანების ქორწინების საკითხით სპეკულირების შედეგს ტრანსგენდერი ადამიანები უკვე იმკიან. სანამ ადამიანის უფლებათა კომიტეტი ქართველი ერის ტოლერანტობით ამაყობს, ვინ თანაუგრძნობს მოკლულ ტრანსგენდერ ქალებს?

ადამიანის უფლებებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში პრემიერის მრჩეველი სოფო ჯაფარიძე ამბობს, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღმოფხვრის თვალსაზრისით გარკვეული ხარვეზები არსებობს, თუმცა ასეთ დანაშაულთან ბრძოლა ხელისუფლების პრიორიტეტია. იგი აღნიშნავს, რომ გარკვეულწილად იზიარებს არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკას, რომ არ ხდება გახშირებული ძალადობის ფონზე ასეთ ფაქტებზე სამართალდამცავი ორგანოებისგან ადეკვატური რეაგირება. თუმცა იმასაც დასძენს, რომ რიგ შემთხვევებში ეს საკმარისი მტკიცებულებების არარსებობით არის განპირობებული.

ფოტოები: ლიდა ულანოვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბასთუმნის ვარსკვლავები

ქრისტინე მუჯირი
ეკა მაღალდაძე

– ვენერა გინახავთ?

– არა

– იცით, მთვარეს ჰგავს, ახალ მთვარეს.

მზის ჩასვლის შემდეგ ცაზე პირველად ვენერა ჩნდება. ასტრონომის ღამეც ასე იწყება. საღამოს 5-6 საათიდან მკვლევრები ტელესკოპებისკენ მიიჩქარიან. გრძელ, დახვეულ კიბეს მაღლა მიუყვებიან, კოშკის გუმბათის გახსნის შემდეგ ცის ქვეშ ციურ სხეულებთან მარტონი რჩებიან.

შოთა ინასარიძე 40 წელზე მეტია, აბასთუმნის ობსერვატორიაში მუშაობს. დაკვირვებას საღამოს 6 საათზე იწყებს და დილით, 7-8 საათზე ამთავრებს. 14-საათიანი სამუშაო ღამის შემდეგ იქვე ახლოს მდებარე, თანამშრომლებისთვის განკუთვნილ კომუნალურ ბინაში მიდის და 3-4 საათს ისვენებს. შემდეგ სამუშაოს უბრუნდება და ღამით მიღებული შედეგების დამუშავებას იწყებს. დამუშავებულ მონაცემებს პარტნიორ უცხოურ ობსერვატორიებს უგზავნის.

უკვე 4 წელია, აბასთუმანში მეცნიერთა ნაწილი დედამიწასთან მოახლოებულ ასტეროიდებს აკვირდება. ინასარიძე ერთ-ერთია მათ შორის, ვინც 2013-2014 წლების დაკვირვებების შედეგად აღმოაჩინა, რომ ცნობილმა ასტეროიდმა აპოფისმა, რომელიც დედამიწას უახლოვდებოდა, 2036 წელს კი შესაძლოა შესჯახებოდა კიდეც, უკუსვლა დაიწყო. 2014 წლის თებერვალში აბასთუმნის ობსერვატორიის დაფიქსირებული მონაცემები პარიზში გაიგზავნა და აპოფისის შიშიც დასრულდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა 2016 წლის 3 ოქტომბერს აღმოაჩინეს, რომ ამერიკელების მიერ დაფიქსირებული მანამდე უცნობი ასტეროიდი „მარტო არ არის“, ის დედა ასტეროიდია, მის გარშემო კი მეორე, პატარა ასტეროიდი ბრუნავს. ასტეროიდებზე დაკვირვება გაერთიანებული ერების პროექტის ფარგლებში მსოფლიოს ყველა ობსერვატორიაში, მათ შორის აბასთუმანშიც, გრძელდება.

თბილისიდან დაახლოებით 240 კმ-ის დაშორებით, ზღვის დონიდან 1 700 მეტრ სიმაღლეზე, მთა ყანობილზე ობსერვატორია მეოცე საუკუნის 30-იან წლებში ააშენეს. ის იმ დროისთვის პირველი მაღალმთიანი ასტროფიზიკური ობსერვატორია იყო საბჭოთა კავშირის ფარგლებში. ასტრონომიული დაკვირვებებისთვის მის უნიკალურ მდებარეობაზე არა მხოლოდ საბჭოთა, არამედ დასავლელი მეცნიერებიც საუბრობდნენ.

მე-19 საუკუნის ბოლოს, 90-იან წლებში, აბასთუმანში რუსეთის მეფის, ნიკოლოზის ძმას მკურნალობდნენ. ახალგაზრდა უფლისწული გიორგი ტუბერკულოზით იყო დაავადებული. ორი სეზონის განმავლობაში მას თან მეგობარი და ასტრონომი გლაზენაპი ახლდა თან. გლაზენაპმა მაშინ მცირე, ლინზური ტელესკოპი ააწყო და მჭიდრო, ორმაგი ვარკვლავების მდებარეობა გაზომა. არადა, ჩვეულებრივ პირობებში ისინი თითქმის არ განირჩევიან. ადგილს, საიდანაც ეს მოახერხა, ახლაც „გლაზენაპის კოშკს“ უწოდებენ, თუმცა ის ახლანდელი ობსერვატორიიდან ოდნავ მოშორებით მდებარეობს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ყანობილს იმ ადგილზე გაცილებით მოხერხებული მდებარეობა ჰქონდა. როგორც ცნობილი ამერიკელი ასტრონომი ბერნჰამი 1893 წელს წერდა, გლაზენაპის დაკვირვებები ასეთი მცირე ზომის ეკვატორიალის გამოყენებით მიუთითებდა, რომ ადგილი, საიდანაც ეს დაკვირვებები წარმოებდა, ასტრონომიული სამუშაოებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო იქნებოდა ევროპაში“.

თუმცა ობსერვატორიის დაარსება მხოლოდ 1930-32 წლებში მოხერხდა.

აბასთუმნის შემოგარენმა ყურადღება სწორედ დაკვირვებისთვის უჩვეულოდ კარგი და წყნარი ატმოსფერული პირობების გამო მიიპყრო. თუმცა გლაზენაპის კოშკის სიახლოვეს უფრო ფართო ადგილის შერჩევისას აღმოაჩინეს მთა ყანობილი, რომელიც უფრო „განფენილი ადგილი იყო, უკეთესი ასტრონომიული კლიმატით“. აშენდა პირველი შენობები; დაიდგა ტელესკოპები. 1937 წლის შემოდგომაზე დაიწყო პირველი დაკვირვებები, რომლებიც შემდგომ გაფართოვდა; ობსერვატორიამაც ახალი დანადგარები მიიღო.

ამჟამად „ევგენი ხარაძის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი სამეცნიერო ინსტიტუტია. ობსერვატორიას დღეს 10-მდე ტელესკოპი აქვს, როგორც მკვლევრები ამბობენ, მათგან მუშა მდგომარეობაში მხოლოდ ექვსია.

მკვლევრებს გული ყველაზე მეტად დიდ ტელესკოპზე სწყდებათ, რომელიც უკვე 4 წელიწადზე მეტია, გაჩერებულია. დაზიანებული ელექტრონაწილის აღდგენა ქართველ სპეციალისტებს არ შეეძლოთ. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მკვლევრებს სპეციალისტის მონახვა და ხარჯთაღრიცხვის წარდგენა სთხოვა. აბასთუმნის ობსერვატორიის თანამშრომლებს ჩეხმა კოლეგებმა სამუშაო ჯგუფი გამოუგზავნეს. ჯგუფი მზად იყო, დაზიანებული ნაწილები უსასყიდლოდ შეეკეთებინა, ოღონდ ქართულ მხარეს ნაწილებისთვის საჭირო 220 000 ევრო უნდა გადაეხადა. თანხა 4 წლის განმავლობაში ვერ გამოინახა.

აბასთუმნის ობსერვატორიის „ანგარიშზე“ არაერთი ახალი ვარსკვლავია, ასევე – კომეტები „თევზაძე 1“ და „თევზაძე 2“, რომლებსაც მსოფლიო მეცნიერები სწორედ აღმომჩენის გვარით იცნობენ.

„ყოველი ცა-მოწმენდილი ღამე ჩვენთვის დღესასწაულია“ – ამბობს შოთა ინასარიძე და ტელესკოპს ძაბვას აწოდებს. ტელესკოპთან ახლოს მიდის, გუმბათს ხსნის, სამართავ პულტზე კოორდინატებს

ფოტო: სოფო ავალიანი

შოთა ინასარიძე, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მთავარი მკვლევარი



ფოტოზე: ინასარიძე ეროვნულ ბიბლიოთეკაში

კრეფს და საღამოს ცაზე ერთადერთ მანათობელ სხეულს გვაჩვენებს. „ეს ვენერაა, თუმცა კარგად არ ჩანს; ჯერ ძალიან ბევრი სინათლეა, ჰორიზონტთანაც ძალიან ახლოსაა; სინათლის სხივმა ძალიან სქელი ფენა უნდა გამოიაროს, რყევას განიცდის და ამიტომ გამოსახულება არც ისე მკაფიოა; დაელოდეთ, დილისკენ ულამაზესი იქნება", – გვეუბნება და შემდეგ ქვედა სართულზე, კუთხეში ხის საწერ მაგიდაზე დადგმულ კომპიუტერს გვაჩვენებს, რომელიც ობსერვატორიას 2005 წელს გადასცეს და მისი საშუალებით ტელესკოპით დაფიქსირებული მონაცემები ელექტრონულად აღირიცხება. კომპიუტერთან ახლა როლანდ სიგუა ზის. ის იმ მკვლევართა ჯგუფის წევრია, რომლებიც ინასარიძისგან განსხვავებით, არა მზის სისტემას, არამედ გარე გალაქტიკურ ობიექტებს აკვირდებიან.

„მთის კანონი, რატომღაც, მეცნიერებზე არ ვრცელდება", – ამბობს შოთა ინასარიძე და გვიხსნის, რომ მათი საშუალო ხელფასი 500-600 ლარია. ობსერვატორიის მეცნიერ-თანამშრომელი „ცის ქვეშ" 14 საათს ატარებს, კიდევ რამდენიმე საათს მონაცემების დამუშავებას ანდომებს, თუმცა ეს გარკვეული შეღავათებისა თუ სახელფასო დანამატის წინაპირობა დიდი ხანია აღარ გამხდარა. ინასარიძემ შარშან „გარეთ" 342 ღამე გაატარა.

„აბასთუმნის ცას ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ბადალი არ ჰყავს" – გვეუბნება მკვლევარი და მხოლოდ იმაზე წუხს, რომ შესაბამისი ინსტრუმენტების უქონლობის გარდა, ხელს გააქტიურებული საავიაციო მიმოსვლა უშლით.

„აბასთუმნის ცაზე ცუდს ვერავინ იტყვის. კარგია გამჭვირვალობა; ციმციმი არ არის; დიდ ქალაქებს დაშორებული ვართ და ღამის ნათება და გამონაბოლქვი ხელს არ გვიშლის; არც ისეთი ქარი იცის, რომ სარკეს გვიჭუჭყიანებდეს. ჩვენი ოცნება ტელესკოპია, დიდი, სარკე სამი მეტრი სიგრძის რომ იყოს, ავტომატიზებული, მაშინ შევძლებდით, მსოფლიოსთვის ყოველდღე მიგვეწოდებინა ჩვენი ინფორმაცია. ინფორმაცია, რომელიც ძალიან ხშირად აღმოჩენილა უნიკალური, მოძველებული აპარატურითაც კი. გარდა ამისა, აბასთუმნის ცაზე ადრე არც ერთი თვითმფრინავი არ დაფრინავდა, ახლა კი ყველაფერი სხვაგვარადაა, ტრასები გაყიდულია და თვითმფრინავების კვამლი ხშირად ძალიან გვიშლის ხელს", – გვიხსნის მკვლევარი და ახალციხის უნივერსიტეტის პროფესორი.

ობსერვატორიის ტერიტორიაზე სულ ათამდე ტელესკოპის შენობაა, 10-მდე საცხოვრებელი ბინა, სადაც სულ 30-მდე ადამიანი ცხოვრობს. ყოფილ ლაბორატორიული სამუშაოების ოთახებში კი ახლა ორი სასტუმროა გახსნილი. ამბობენ, რომ ზაფხულობით სასტუმროები გადატვირთულია. ექსკურსიებისა და სტუმრების ნაკლებობა კი არც ზამთარშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო: სოფო ყუბანეიშვილი

ზ. ფალიაშვილის 19, აბასთუმანი

კულტურული მემკვიდრეობა

კურორტი აბასთუმანი – ეს სიტყვები თითქოს საბჭოთა წარსულს გახსენებს. შესაძლოა, საერთოდ არც გიცხოვრიათ საბჭოთა კავშირში, მაგრამ მშობლებისგან, ბებია-ბაბუისგან აუცილებლად გსმენიათ კურორტ აბასთუმნის უნიკალურ შესაძლებლობებზე, მის ჰაერზე, გოგირდოვან წყლებზე, ობსერვატორიასა და ტუბდისპანსერზე. იქ კიდევ უფრო მძაფრად აღიქვამ, რომ ამ სიტყვათა კავშირთან ერთად (კურორტი აბასთუმანი) საბჭოთა კავშირის აღმავალი პერიოდის შემდეგ არაფერი შეცვლილა. უფრო სწორად, შეიცვალა, რადგან ინფრასტრუქტურა მოძველდა და შენობები დაინგრა. აბასთუმნის მთავარ ქუჩაზე მოდერნულ სტილში გადაწყვეტილი ძველი ხის სახლები ნაწილობრივ დაკეტილია, სხვაში კი ცხოვრობენ, თუმცა მათი მდგომარეობის სიმძიმე ადვილი შესამჩნევია.

მეცხრამეტე საუკუნის სახლები, რომანოვების სასახლეები, ობსერვატორია, საბჭოთა არქიტექტურის ნიმუშები (სანატორიუმები, ტუბდისპანსერები) – ეს ზოგადად აღწერს აბასთუმნის კულტურულ თუ ბუნებრივ, ისტორიულ მემკვიდრეობას. აბასთუმნის არქიტექტურისთვის საცხოვრებელი სახლებით დაწყებული და სხვა დიდი სამოქალაქო არქიტექტურით დასრულებული (მათ შორის, საბჭოთა შენობები) მთავარი მახასიათებელი გარემოსთან, იმ ბუნებრივ მემკვიდრეობასთან კავშირია, რომელსაც ძალიან დიდი რესურსი აქვს. ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აბასთუმანში სულ 116 ობიექტს აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, თუმცა ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის ჯერ არაფერი შეუცვლია ამ სტატუსს.

ერთადერთი, რაც ამ დანგრეულ-შენობებიან, მისტიკურ დასახლებას აცოცხლებდა, ის რამდენიმე ადამიანი იყო, რომლებიც ქუჩაში შეგვხვდნენ. ამ „უკაცრიელ“ კურორტზე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 937 ადამიანი ცხოვრობს.

აბასთუმნის სახლებიდან ერთ-ერთში (ფალიაშვილის №7) სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა. ქუჩის განაპირას ქალი იჯდა, გვიან შევნიშნეთ. გვითხრა, რომ სახლი შარშან, ოქტომბერში დაეწვა.

„48 წელია, აბასთუმანში ვარ. აქ დავიბადე. ვიცი, დიდი მნიშვნე-



ფოტო: სოფო ავალიანი

რომანოვების სახლი, აბასთუმანი

ლობისაა აბასთუმანი, უბრალოდ, მოვლა და პატრონობა სჭირდება. ეს სახლიც ძეგლია, 100 წელზე მეტია, არსებობს. მეც ამ სახლში ვცხოვრობდი, ოქტომბერში ძველ ელექტროგაყვანილობას ცეცხლი გაუჩნდა და სახლის ნახევარი დაიწვა. დაწვამდე თანხა არავინ გამოყო ამისთვის. წინა მთავრობაც გვპირდებოდა. ახლა დაიწყეს აღდგენა. ვიმედოვნებ, როგორიც იყო, ისეთს ჩაგვაბარებენ. აქამდე კი ამბობდნენ, სტატუსი აქვს და ვერ შევაკეთებთო“.

ლიანა ახლა ნათესავის ოთახში ცხოვრობს, სახელმწიფო ადიგენში სთავაზობდა საცხოვრებელ ფართს, თუმცა უარი თქვა და აბასთუმანში დარჩა, აქედან ხომ უფრო ადვილად ადევნებს თვალს, როგორ მიმდინარეობს სამუშაოები.

„48 წელია, აბასთუმანში ვარ. აქ დავიბადე. ვიცი, დიდი მნიშვნელობისაა აბასთუმანი, უბრალოდ, მოვლა და პატრონობა სჭირდება. ეს სახლიც ძეგლია, 100 წელზე მეტია, არსებობს. მეც ამ სახლში ვცხოვრობდი, ოქტომბერში ძველ ელექტროგაყვანილობას ცეცხლი გაუჩნდა და სახლის ნახევარი დაიწვა. დაწვამდე თანხა არავინ გამოყო ამისთვის. წინა მთავრობაც გვპირდებოდა. ახლა დაიწყეს აღდგენა. ვიმედოვნებ, როგორიც იყო, ისეთს ჩაგვაბარებენ. აქამდე კი ამბობდნენ, სტატუსი აქვს და ვერ შევაკეთებთო“.

აბასთუმნის სახლები ერთნაირად მძიმე, ავარიულ მდგომარეობაშია. იქ სადაც ცხოვრება არ შეიძლებოდა შეძლებისდაგვარად გადააკეთეს, ან სულაც მიატოვეს. იციან, რომ მათი სახლები ისტორიული მნიშვნელობისაა, რომ არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულებები აქვს, თუმცა ფიქრობენ, რომ სახლებისთვის, ძეგლის სტატუსის გარდა, კიდევ ბევრი რამაა საჭირო, რათა იქ ღირსეულად იცხოვრონ.

ახლა აბასთუმანში ერთადერთი, რაზეც სიამაყით საუბრობენ, წარსულია; დაუზარებლად ჰყვებიან რომანოვების სასახლეებისა და ტუბერკულოზით განკურნებული უფლისწულის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც, უნიკალური ჰაერისა და წყლების გამო, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს მიიქცია აბასთუმანმა რუსეთის საიმპერატორო კარის ყურადღება.

იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ძმა, გიორგი ტუბერკულოზით იყო დაავადებული, მან და მისმა თანმხლებმა პირებმა აღმოაჩინეს, რომ აბასთუმნის უნიკალური გარემო და ჰავა ასტრონომიისთვის შესაბამის პირობებს ქმნიდა. აქედან იწყება აბასთუმნის ობსერვატორიის ისტორიაც. უფლისწულ გიორგისთვის აშენდა სასახლეები. ერთ-ერთი მათგანი, რომელშიც შემდეგ სანატორიუმი „მესხეთი" განთავსდა, 90-იანი წლებიდან დედათა მონასტერს გადაეცა. 2008 წელს სასახლე, იგივე სანატორიუმი „მესხეთი" დაიწვა. შემორჩენილ მცირე ნაწილში ისევ მონაზვნები ცხოვრობენ.

თითქმის დამწვარი სასახლის გვერდით მეორე, XIX საუკუნის დასასრულით დათარიღებული სასახლე დგას. ის ხისგანაა აშენებული და ახლა მხოლოდ კედლებიღა შემორჩენილა. შენობა კერძო საკუთრებაშია. მფლობელი შპს „სამეფო აბასთუმანია", რომლის 100%-იანი წილის მფლობელი ბიზნესმენი ლაშა პაპაშვილია. კერძო საკუთრებაშია მესამე სასახლეც.

აბასთუმნისთვის შემოსავლის წყარო, ძირითადად, ზაფხულში ჩამოსული დამსვენებელია, რომელიც არც ისე ბევრია და ძალიან ცოტა იმისათვის, რომ მთელი წელი იცხოვროს ადგილობრივმა. ზამთარს აბასთუმანში ტუბერკულოზით დაავადებული რამდენიმე ათეული ადამიანი თუ შემორჩება.

ქალბატონი ლანაც მარტო ცხოვრობს, მისი ოჯახი კი თბილისშია.

„მივატოვე თბილისში ყველაფერი, ოჯახიც. ახლა აქ ვარ და გასათბობად შეშას ვჩეხ. მომეწონა აქაურობა, ადრე მხოლოდ ზაფხულობით ჩამოვდიოდი და ახლა დავრჩი. ჩემს სახლსაც აქვს სტატუსი, ვცდილობ, ისეთი შევინარჩუნო, როგორიც იყო.

როცა ვიყიდე, სახლის ნაწილი დანგრეული იყო. ჭერი არ ჰქონდა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში მივედი და მითხრეს, რომ არ შეიძლებოდა

■ წლებია, ადგილობრივი მოსახლეობა ელოდება აბასთუმნის სახლების რეაბილიტაციას, თუმცა ეს გეგმა რამდენჯერმე გადაიდო. ახლა ამბობენ, რომ ზღაპრების აღარ სჯერათ. ადიგენის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის, გოდერძი სხირტლაძის ინფორმაციით, 2017 წელს მართლაც იგეგმება აბასთუმნის რეაბილიტაცია, თუმცა ბიუჯეტისა და კონკრეტული თარიღის შესახებ არაფერი იცის.

ამის გადაკეთება. ნებართვა არ მოუციათ. არავის არ აქვს აქ ნებართვა. მე მაინც გავაკეთე, მეშინია, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. სულ ჩამოინგრეოდა მთელი ჭერი. შემეძლო, ეს ძველი ფანჯრებიც გამომეცვალა, მაგრამ არ გავაკეთე, მინდა, რესტავრაცია გავუკეთო და იგივე ფანჯრები დავუტოვო. სახლში ის ძველი ბუხარიც შენარჩუნებული მაქვს".

სახლის არათუ რესტავრაცია, შეკეთებაც კი საკმაოდ დიდ ფინანსებთანაა დაკავშირებული და ამის შესაძლებლობა აბასთუმანში ბევრს არ აქვს. მუდმივი დილემის წინაშე დგანან ის ადამიანები, რომლებიც უნებურად ისეთ სახლში ცხოვრობენ, რომელიც ისტორიული, არქიტექტურული და მხატვრული იერსახით მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა აღმოჩნდა. ასეთ შემთხვევაში რთულია გამიჯვნა, სად გადის ზღვარი ადამიანის საკუთრების უფლებასა და მთლიანად საზოგადოების საკუთრების უფლებას შორის. სტატუსის მქონე სახლში მცხოვრებმა ადამიანებმა ამ შესაძლებლობებისა და ბარიერებს მიღმა როგორ უნდა მოიპოვონ ღირსეულად ცხოვრების საშუალება? კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რესტავრაცია/რეაბილიტაცია და კანონის შესაბამისად გადაკეთება დიდ ფინანსებთანაა დაკავშირებული, მას სჭირდება პროექტი, მას სჭირდება სპეციალისტები და ა.შ. აქედან გამომდინარე,, ამისთვის მესაკუთრეს უნდა ჰქონდეს საკმაოდ დიდი ფინანსური შემოსავალი, რაც ამ შემთხვევაში აბასთუმნის მცხოვრებთა ძირითადი ნაწილისთვის შეუძლებელია.

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონის 30-ე მუხლის მიხედვით, ძეგლის მესაკუთრეს ეკისრება პასუხისმგებლობა ძეგლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით და თუ ძეგლი სასწრაფოდ საჭიროებს ჩარევას, მაშინ მეპატრონე ვალდებულია, ეს გააკეთოს ნებართვის საფუძველზე. თუმცა ფინანსური პასუხისმგებლობა ეკისრება მესაკუთრეს. მართალია, დღეს მესაკუთრესთან ერთად სახელმწიფოც არ ასრულებს კანონით განსაზღვრულ ქმედებებს, თუმცა ძეგლის მფლობელობაში არსებობა პრობლემური ხდება დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანისთვის.

საიას იურისტის, სულხან სალაძის თქმით, ესაა რთული და მძიმე საკითხი, რომელსაც სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ყურადღება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბასთუმნის ტუბერკულოზიანსანატორიუმი. აბასთუმანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ. რუსთაველის 56, აბასთუმანი

სჭირდება. საჭიროა შესაბამისი ნორმის დადგენა, რათა არ დაირღვეს არც კულტურული მემკვიდრეობის იერსახე და ადამიანსაც მიეცეს ღირსეულად ცხოვრების საშუალება. მისი თქმით, კანონის ეს ნაწილი უფრო მორგებულია იმ დიდ კომპანიებზე, რომლებსაც საკუთრებაში აქვთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

„სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი; დაიცვას არა მარტო ფიზიკური თვალსაზრისით, რომ ვინმემ არ ააფეთქოს და არ გაანადგუროს, არამედ თუ ძეგლს სჭირდება აღდგენა, რეაბილიტაცია, რესტავრაცია ან კანონით განსაზღვრული სხვა რამ, უნდა მოახდინოს რეაგირება. თუკი სახელმწიფოს არ ექნება რაღაც პოლიტიკა, ან კონკრეტული პროგრამა, რომელიც კერძო საკუთრებაში არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს დაიცავს, ამის გარეშე კერძო მესაკუთრეებს ძალიან გაუჭირდებათ, თავიანთი სახსრებით შეინარჩუნონ ისე, როგორც ამას კანონი მოითხოვს და მეორე მხრივ, შეძლონ ამ შენობის ისეთ ფორმაში მოყვანა, რომელიც არ დაარღვევს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონის მოთხოვნებს.

ადგილობრივი მცხოვრები ეთერ მათოშვილი ამბობს, რომ მის სახლს სტატუსი ისე მიენიჭა, არაფერი იცოდა.

„ჩვენ ისიც არ ვიცოდით, სახლს ძეგლის სტატუსი თუ ჰქონდა მინიჭებული. შემდეგ 2 წელი დავდიოდი თბილისში, ნებართვა რომ მოეცათ და გაგვერემონტებინა, მაგრამ მითხრეს, რომ უნდა გაკეთებულიყო პროექტი და ეს პროექტი ჯდებოდა 10 000 ლარი, თან ან დაგიმტკიცებენ, ან არა. ამით ახალს ავაშენებდით. ამიტომაც ამ სახლის უკან ავაშენეთ ახალი, სადაც ახლაც ვცხოვრობთ“.

წლებია, ადგილობრივი მოსახლეობა ელოდება აბასთუმნის სახლების რეაბილიტაციას, თუმცა ეს გეგმა რამდენჯერმე გადაიდო. ახლა ამბობენ, რომ ზღაპრების აღარ სჯერათ. ადიგენის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის, გოდერძი სხირტლაძის ინფორმაციით, 2017 წელს მართლაც იგეგმება აბასთუმნის რეაბილიტაცია, თუმცა ბიუჯეტისა და კონკრეტული თარიღის შესახებ არაფერი იცის.

„რუსთაველზე დაგეგმილია ისტორიული უბნის რეაბილიტაცია. მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს პროექტს და რა თანხაა ამისთვის გამოყოფილი, ჯერჯერობით ვერ გეტყვით. გაზაფხულიდან დაიდება ნუსხა და მერე გახდება ამის შესახებ ცნობილი“.

ძეგლთა დაცვის ეროვნული საგენტოს ინფორმაციით კი, აბასთუმანში კულტურული მემკვიდრეობის მხოლოდ 17 შენობას უნდა ჩაუტარდეს რეაბილიტაცია.

სხირტლაძის თქმით, იგეგმება კერძო ინვესტიციებიც. მაგ: ბიზნესმენი ლაშა პაპაშვილი ერთ-ერთი სანატორიუმის („აღობილის“) ადგილას 120-ნომრიან სასტუმროს აშენებს.

დღეს სანატორიუმი „აღობილი“ აღარ არსებობს. 1930 წელს აშენებული სანატორიუმის ინვენტარიზაცია 2007 წელს ჩატარდა. ინვესტორის მიერ დანგრეული ძეგლის სააღრიცხვო ბარათში ვკითხულობთ: „ის სცდება აბასთუმნის ფარგლებს და იმდროინდელ არქიტექტურულ სამყაროში მიმდინარე ძიებებს პასუხობს“. ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, სანატორიუმს ძეგლის სტატუსი არ მინიჭებია, თუმცა ინვენტარიზაციისას სპეციალისტების რეკომენდაცია იყო, რომ არქიტექტურულ ობიექტს ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი მინიჭებოდა. ბარათის მიხედვით, სანატორიუმი „აღობილი“ თავისი არქიტექტურული მახასიათებლებით ერთ-ერთ მოდერნისტულ მიმდინარეობას, კონსტრუქტივიზმს წარმოადგენდა. სანატორიუმის ინვენტარიზაციაზე ხელოვნებათმცოდნე ციცინო ჩაჩხუნაშვილი მუშაობდა. მისი თქმით, სანატორიუმი, მართლაც, მნიშვნელოვანი, ეროვნული მნიშვნელობის არქიტექტურული ობიექტი იყო, თუმცა ჩანდა, რომ კერძო ინტერესები იკვეთებოდა.

აბასთუმნის კულტურული მემკვიდრეობა 116 ობიექტს ითვლის. აქედან უმრავლესობა ავარიული საცხოვრებელი სახლია. ამ სახლებისა და მათი მობინადრეების მდგომარეობა კი ყოველი ზამთრის შემდეგ კიდევ უფრო მძიმდება.

კურორტი აბასთუმანი – გაზაფხულის მოლოდინში

კურორტი აბასთუმანი ნოემბრის ბოლოს ძალიან წყნარი და თითქმის უკაცრიელია. ქუჩებში ადამიანებს იშვიათად შეხვდებით, მიტოვებულ, შუშებჩამტვრეულ, მაგრამ ბოქლომებით მაინც საგულდაგულოდ ჩაკეტილ სახლებს კი – ხშირად. მათ შორის ბევრ ისეთსაც, რომელზეც ბევრი ცოდნის გარეშეც ადვილად იტყვი – კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია.

დაბაში სულ რამდენიმე საოჯახო სასტუმროა, ერთი მუდმივი და ერთიც საზაფხულო კაფე. სტუმრებით განსაკუთრებით აქტიური სეზონი აბასთუმანში მაისიდან იწყება და შემოდგომამდე გრძელდება. თუმ-

ცა ლიანა ზაზანაშვილის საოჯახო სასტუმრო-კაფეს ზაფხულის შემდეგ ნოემბრამდე მხოლოდ ორი სტუმარი ჰყავდა, ისიც მხოლოდ თითო ღამით. ამბობს, რომ დაბაში წყლის პრობლემაა, წყალი იყინება და წუხს, რომ მიუხედავად მაღალმთიანი რეგიონისა, მის კაფე-სასტუმროს მაინც უწევს წყლის საფასურის მრიცხველის მიხედვით გადახდა. ამის გამო წყალს ვერ უშვებს, მილებში იყინება. ხარისხის გამო კი ზაფხულშიც წყაროდან უწევს სუფთა წყლის ზიდვა, ონკანის წყალს მხოლოდ ტექნიკური მიზნით იყენებს.

სასტუმროს მეპატრონე ამბობს, რომ დამსვენებელიც მხოლოდ კლიმატით თუ იქნება კმაყოფილი, რადგან კურორტ აბასთუმანში გართობაც პრაქტიკულად შეუძლებელია და მაღალი კლასის დასვენებაც. ზაფხულში მიღებული შემოსავალი კი მთელი წლის განმავლობაში ძნელად თუ ეყოფათ. ოჯახში ოთხი წევრია, მათგან არც ერთი არაა სხვა საქმით დაკავებული. აბასთუმანი ჯერაც არაა გაზიფიცირებული. გასათბობად უმეტესად შეშას იყენებენ.

სახლების დიდი ნაწილი, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებია, დანგრევის პირასაა, ნაწილი კი თვითნებურადაა გადაკეთებული, ზოგმა მფლობელმა იცის, რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, მაგრამ „თავზე ხომ არ დამენგრეოდას“ პრინციპით თავად შეაკეთეს ძეგლები, რომლებითაც წლებია შესაბამისი უწყებები არ დაინტერესებულან. სახლების ნაწილი გამოკეტილია და ფასადი ტურისტებისა და ჟურნალისტების ინტერესს თუ იწვევს, ნაწილი – შეკეთებულ-გადაკეთებული, ნაწილიც თითქმის მთლიანად მოშლილ-დანგრეული.

მიტოვებულ შენობას ჰგავს ოდესღაც ფართოდ ცნობილი ე.წ. ტუბდისპანსერიც. აბასთუმნის გეოგრაფიული მდებარეობა, ჰავა უნიკალურ პირობებს ქმნის სასუნთქი გზების სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ. აქვეა ცნობილი სამკურნალო თერმული წყლებიც. აბასთუმანში კურორტის მოწყობა მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო. გაჩნდა 10-მდე ტუბსანატორიუმი. მათ შორის მიკროკლიმატური მაჩვენებლებით გამოირჩეოდა სანატორიუმი „არაზინდო“ (ზღ.დ. 1425მ) და „აღობილი“ (1600მ.). დღეს ერთ-ერთ სანატორიუმში საავადმყოფო კვლავაც მოქმედებს, თუმცა 1924 წელს აშენებულ შენობაში ახლა მხოლოდ 50 პაციენტი მკურნალობს. მწყობრიდან თითქმის გამოსული რენტგენის აპარატი ახლახან ახლით შეიცვალა, თუმცა თანამშრომლები წუხან, რომ უკეთესი აღჭურვილობისა და ინფორმაციის უკეთ გავრცელების შემთხვევაში, აბასთუმანში სამკურნალო შესაძლებლობების უნიკალურობის შესახებ მთელი მსოფლიო შეიტყობდა.

■ დოკუმენტაციის მიხედვით, დაგეგმილია: დიდი ტელესკოპის შენობის რეაბილიტაცია; მთავარი საპროექტო შენობის მიმდებარე და დასახლების ცენტრალური ტერიტორიის კეთილმოწყობა; საბაგირო გზის რეაბილიტაცია; ავტოსადგომისა და საერთო სარგებლობის საპირფარეშოს მოწყობა. რაც შეეხება წყალმომარაგების სამუშაოებს, ეს კიდევ ერთი ცალკე პროექტის ნაწილია და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია აბასთუმნის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციას ცალკე გეგმავს.

აბასთუმნის რეაბილიტაციაზე ბოლო წლების განმავლობაში არაერთხელ დაიწყო ლაპარაკი. პროექტების დაწყება ჯერ 2015 წლის გაზაფხულზე იგეგმებოდა, შემდეგ 2016 წლისთვის, ახლა კი მცხოვრებლები 2017 წლის გაზაფხულს ელიან.

აბასთუმნის რეაბილიტაციის გეგმა 2012 წელსაც კი შემუშავდა. მის ფარგლებში კურორტზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და სხვადასხვა ობიექტის აღდგენა გადაწყდა. ისტორიულ შენობებს პირვანდელი სახე 3 წელიწადში უნდა დაბრუნებოდა, თუმცა აბასთუმნის საქართველოს მთავარ ტურისტულ ცენტრად ქცევის იდეა ჯერაც იდეად რჩება.

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან 60 მლნ დოლარის ოდენობის სესხი მიიღო. პროექტის დანიშნულება საქართველოს კუთხეებში ტურიზმის ხელშეწყობაა. სახელმწიფოს თანამონაწილეობა პროექტში 20%-ია (15 მლნ დოლარი). ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა ინფორმაციით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონისთვის სულ 30 მილიონი დოლარია გამოყოფილი, აქედან 8 მილიონი სწორედ აბასთუმნის რეაბილიტაციას უნდა მოხმარდეს. თუმცა ამ გეგმების შესახებ აბასთუმნის მცხოვრებლებმა მხოლოდ ყურმოკვრით იციან. იციან, რომ გაზაფხულზე რეაბილიტაცია დაიწყება, თუმცა ისიც ახსოვთ, რომ წინა გაზაფხულსაც ამავე იმედით ელოდნენ.

დაბა აბასთუმნის ისტორიული შენობების რეაბილიტაციის პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდმა უნდა განახორციელოს. ფონდი მუშაობას ორი მიმართულებით აპირებს. ერთი პროექტი სახლების პროექტირება-რეაბილიტაცია-რეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ. რუსთაველის 66, აბასთუმანი

ტავრაციაა. მეორე კი – ობსერვატორიისა და საბაგიროს რეაბილიტაცია და რეკრეაციული ზონების მოწყობა.

აბასთუმნის ისტორიული განაშენიანების რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებაზე გამარტივებული ტენდერი მუნიციპალური განვითარების ფონდმა 2016 წლის 8 აპრილს გამოაცხადა, სამუშაოების ღირებულება 200 000 ლარადაა შეფასებული.

სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, უნდა დაპროექტდეს დაბა აბასთუმნის ისტორიულ ნაწილში, რუსთაველის ქუჩის ცენტრალურ მონაკვეთზე მდებარე 15 სახლისა და იქვე მდებარე პარკის რეაბილიტაცია; სპორტული მოედანი; საერთო სარგებლობის საპირფარეშო; ქუჩის ამ მონაკვეთში სანიაღვრე და გარე განათების სისტემების რეაბილიტაცია; ქუჩის ორივე მხარეს დაზიანებული ტროტუარებისა და გაზონების კეთილმოწყობა; საბაღე მოსასვენებელი სკამებისა და სანაგვე ურნების განთავსება.

ტენდერში შპს „კარკასმა" გაიმარჯვა, რომელიც სამუშაოების შესრულებას 174 ათას 999 ლარად გეგმავს.

მეორე პროექტზე კი, რომელიც აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის რეაბილიტაციას ითვალისწინებს, ტენდერი 18 ივლისს, 65 ათასი ლარის ღირებულების საპროექტო სამუშაოებზე გამოცხადდა და მასში კობა კაცაძემ გაიმარჯვა, – 61 ათას 999 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულების პირობით.

დოკუმენტაციის მიხედვით, დაგეგმილია: დიდი ტელესკოპის შენობის რეაბილიტაცია; მთავარი საპროექტო შენობის მიმდებარე და დასახლების ცენტრალური ტერიტორიის კეთილმოწყობა; საბაგირო გზის რეაბილიტაცია; ავტოსადგომისა და საერთო სარგებლობის საპირფარეშოს მოწყობა. რაც შეეხება წყალმომარაგების სამუშაოებს, ეს კიდევ ერთი ცალკე პროექტის ნაწილია და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია აბასთუმნის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციას ცალკე გეგმავს.

ისტორიული ძეგლების, ურბანული სივრცის, ობსერვატორიის, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაციას სხვადასხვა სტრუქტურა სხვადასხვა დროს გეგმავს, თუმცა სრულად სამუშაოების მოცულობისა და ვადების შესახებ ინფორმაცია არც ადიგენის მუნიციპალიტეტის ხელისუფლებას აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა










ეროვნული ბიბლიოთეკა

33

„თუ მზად არ ხარ, დაინახო იმაზე მეტი, ვიდრე მოჩანს, ვერაფერს დაინახავ“, – რუთ ბერნჰარდი

ფოტოგრაფიული გამოსახულება დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამ გამოსახულებათა დიაპაზონი იმდენად ფართოა, რომ ნამდვილად მოითხოვს კლასიფიკაციას და გიჩენს შეკითხვებს:

რა ამოძრავებს ფოტოგრაფს გადაღების პროცესში?

რისთვის იღებს ფოტოს?

არის თუ არა ფოტოგრაფიის მიზანი არსებული, ხილული რეალობის ობიექტურად ასახვა?

ჩემი აზრით, იმისათვის, რომ ამ შეკითხვებს პასუხი გაეცეს. უნდა ვაღიაროთ – ყველაფერი თავად ფოტოგრაფით, მისი ხასიათით, თავისა და ცხოვრებისადმი დამოკიდებულებითა და ინტერესებით იწყება.

პირადად მე ვარ ადამიანი და ფოტოგრაფი, რომელიც იზიარებს ამერიკელი ფოტოგრაფის, არნოლდ ნიუმენის გამონათქვამს: „ფოტოგრაფი უნდა იყოს ფოტოსურათის ნაწილი“. ფოტოგრაფის ნებისმიერი მცდელობა, იყოს ბოლომდე ობიექტური, ყოველთვის განწირულია, რადგან ის ვერსად გაექცევა თავს, ხედვას, შეგრძნებებსა და წარმოდგენებს. რა თქმა უნდა, ეს სადავო საკითხია, და მე არავითარი პრეტენზია არ მაქვს ჩემი ხედვის ჭეშმარიტებაზე; თუმცა ვფიქრობ, რომ რეპორტიორიც კი, რომელიც ცდილობს (როგორც მას ჰგონია), მიუკერძოებლად ასახოს ის რეალობა, რაც თვალწინ აქვს, მაინც სუბიექტურია რაკურსის, აქცენტისა თუ გმირის არჩევისას. და მე ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ.

მეტიც, ნებისმიერი ფოტოგრაფი (იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ლაპარაკი მხოლოდ კომერციაზეა!) თავად ირჩევს მისთვის საინტერესო თემასა თუ გმირს. შინაგანი ვნება, რომელიც ნებისმიერ შემოქმედებით პროცესს უნდა ახლდეს, იბადება მხოლოდ მაშინ, როდესაც ფოტოგრაფი გატაცებული და ბოლომდე შეპყრობილია ამ თემით და თავად გადაღების პროცესით.

პირადად ჩემთვის ფოტოში საინტერესოა იმის აღმოჩენა, როგორ აისახება გამოსახულებაზე ფოტოგრაფში მიმდინარე გაუცნობიერებელი პროცესები; სხვაგვარად რომ ვთქვა: საკუთარი თავის ძიება გარეთ. ეს პროცესი არასოდესაა იმდენად სწორხაზოვანი, რომ აშკარა იყოს. პირიქით, ასეთ შემთხვევებში არსებობს სინთეზი, რომელიც ფოტოს აღქმას უფრო საინტერესოს ხდის და მაყურებელს მის სხვადასხვა შრეს აჩვენებს. მსგავსი გამოსახულებებით ფოტოგრაფი ერთდროულად გვიჩვენებს „რეალობას“ და საკუთარ თავს.

ლევან ხერხეულიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაჩო სულაკაური

„უნდა იჩქარო, თუ გინდა, რომ რამე დაინახო. ყველაფერი ქრება." – პოლ სეზანი.

ყველა ჩემ მიერ გადაღებული ფოტო ჩემი პორტრეტია. ჩემი ცხოვრების გზა, აზრი, ფიქრი. ეს ფოტოსურათი ჩემი ბავშვობის პერიოდს მახსენებს და რადგან ბავშვობა ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პერიოდი იყო – ამ ფოტოზეც ჩემი პორტრეტის დიდი ნაწილია. პირველად ამერიკაში ცხრა წლის ასაკში წავედი და ეს მისტიკური, ულამაზესი დრო უკან მოვიტოვე.

ეს ფოტო გადაღებულია ზემო აჭარაში, ადრეული ქორწინების პროექტზე მუშაობის დროს. ხელმეორედ ჩემი ბავშვობა ზუსტად იქ აღმოვაჩინე. მეც მქონდა ასეთივე ხელით ნაკეთი საქანელა, რომელზეც მე და ჩემი და ხშირად ვქანაობდით და მერე თივიან გორაკზე ვხტებოდით. გამახსენდა ხელით ნაკეთი მანქანები, რომლებიც ჩვენს სოფელში ერთ დროს მე და პაპაჩემმაც გავაკეთეთ.

ყველაფერი რასაც ვიღებ, ჩემი ცხოვრების ჩემეული ინტერპრეტაციაა.

გადაღების მომენტში, ანუ მაშინ, როდესაც ვიღებ გადაწყვეტილებას, კამერის ღილაკს დავაჭირო ხელი, ყველაფერი, რაც ჩემთვის მნიშვნელოვან ადამიანებს თუ გარემოებებს უკავშირდება; ყველაფერი, რაც ბავშვობაში ვნახე, წავიკითხე, შევიგრძენი თუ განვიცადე, წამის ერთ მეასედში იყრის თავს. ამიტომ ფოტოები ჩემი ნაწილია.

ყველა რაღაცით ვცხოვრობს. მე – ფოტოგრაფიით.

არ მჯერა ობიექტურობის და მგონია, რომ ის საერთოდ არ არსებობს, მაგრამ ჩემს სუბიექტურობაში ვცდილობ, ვიყო მაქსიმალურად გულწრფელი. სიმართლის თქმა ფოტოგრაფიაში ხომ ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲘᲜᲐ ᲝᲑᲐᲜᲝᲕᲐ

მე და ბებია ერთად სახლის გარეთ არასდროს გავსულვართ. არასდროს გვისეირნია, არასდროს ვყოფილვართ კინოსა თუ თეატრში. მას არც შეცვლილი თბილისი უნახავს, მაგრამ სახლი არ მახსოვს მის გარეშე. ალბათ ამიტომაც ის დღემდე ჩემი საყვარელი ადგილია.

ყველა დილა განსაკუთრებული გვქონდა. მახსოვს როგორ მიკითხავდა, როგორ ვხატავდით ერთად და როგორ მასწავლიდა ნარდის თამაშს, დანა-ჩანგლის სწორად დაჭერას, საათის ცნობას, როგორ მვარცხნიდა და მიკეთებდა ნაწნავებს.

გარეთ კი ამ დროს სამოქალაქო ომი იყო. ზვიად გამსახურდიას სახლთან ძალიან ახლოს ვცხოვრობდით და სულ სროლის ხმა ისმოდა. მახსოვს, როგორ მიხსნიდა, რა ხდებოდა გარეთ. რაღაც თამაში ჰქონდა მოფიქრებული და მეუბნებოდა, რომ შტაბი უნდა აგვეშენებინა მაგიდის ქვეშ, იქ ვერავინ გვიპოვიდა...

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ბებია უკვე 87 წლისაა და დღემდე ჩემ მესაიდუმლედ რჩება. მეც უკვე დიდი გოგო ვარ, საკუთარი სახლი მაქვს, მაგრამ როდესაც სახლის სუნი მენატრება, მაინც ჩვენი ვერის სახლი მაგონდება.

სახლი, რომლის კედლებშიც განსაკუთრებული სიყვარულია.

ამ ფოტოს რომ ვიღებდი, მთელი ჩემი ბავშვობა გამახსენდა, ერთ კადრში ასახული. ის სწორედ ასე, მშვიდად გამოიყურებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანა ბუჯაბიძე

ჩემთვის ცხოვრება ხარვეზია, რომელიც მაღალი ძაბვის დარტყმას ჰგავს. ხარვეზი, რომელიც ჩემს სხეულში ბჟუტავს და იმ ბეტონის ყუთს ანათებს, რომელშიც ვარსებობ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლათო ქოჩიძე (რადიო თავისუფლება)

სახლში ყოფნა ყველაზე მეტად მიყვარს: ერთი მხრივ, მშვიდად ვარ; მეორე მხრივ, ყველაზე მეტად აქ ვგრძნობ თავისუფლებას.

ასეთივე განცდა პირველად ინდოეთში დამეუფლა. ქაოსურ გარემოში, სახლს ათასობით კილომეტრით მოშორებული ვგრძნობ, რომ ისევ სახლში ვარ, რომ „ქალაქის სუნი" ჩემი სახლის სუნს ჰგავს, აქვეა ბობოც. უცნაური შეგრძნებაა ორი სახლის ქონა.

ამ სახლებს კარები არ აქვთ, მაგრამ სჭირდებათ გასაღები.

გასაღებს არავინ გათხოვებს, გასაღებს ვერ იყიდი, გასაღები უნდა იპოვო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ია ჯალი ძნელაძე

ეს კადრი – ჩემი ფოტოგრაფიული დებიუტია.

ფოტოზე ჩემი ბავშვობის მეგობარი გიორგი მჟავანაძეა.

მახსოვს, ბათუმში საოცარი ამინდი იყო. შევკრიბე მეგობრები, ჩემი სახელოსნოდან სხვადასხვა ინსტრუმენტი ავიღეთ და ქალაქში გავედით. ვუკრავდით ყველაფერზე, რაც კი გვქონდა. კადრზეც ზუსტად ეს მომენტია აღბეჭდილი...

ეს ის ფოტოა, რომელიც ჩემთვის ზუსტად გამოხატავს ჩემ შინაგან მდგომარეობას და ჩემი ბათუმის დიდ სიყვარულს...

ლევან ხეხეულიძე

2016 წლის იანვრის დილა იყო. ადრე გავიღვიძე. ავდექი. მოვწესრიგდი. ფანჯარაში გავიხედე – ეს ჩვევაში მაქვს. თოვდა. ფანჯარა გამოვაღე – სუფთა ჰაერი, ქალაქის მოგუდული ხმები. სევდა. ისევ სევდა... მოვიტანე ფოტოაპარატი. მიზანში ამოვიღე. გადავიღე. მახსოვს, როგორ გავიფიქრე მაშინვე, რომ ეს მე ვარ – ადამიანი, რომელიც ვერასოდეს ვერ აღწევს თავს სევდას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიოხბი ბობუა (რადიო თავისუფლება)

სახლი. ხშირად მესმის, რომ ფოტოგრაფიასა და ზოგადად ხელოვნებაში შენს ნამუშევარში შენივე თავი უნდა აისახებოდეს. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, უნდა იყო ის, რასაც აკეთებ.

ასეცაა. რომ დავუფიქრდეთ, ხელოვნება პირველ რიგში თვითგამოხატვაა და ხელობისგან მას, ალბათ, სწორედ ეს განასხვავებს.

თუმცა ჩემთვის, როგორც რეპორტიორისთვის, ცოტა რთულია, საქმე და პირადი განცდები ერთმანეთს შეუთავსო. მეტიც, ჟურნალისტისა და ფოტოჟურნალისტისთვის ეს ორი რამ ერთმანეთს კატეგორიულად გამორიცხავს.

ალბათ ამიტომაც თითებზე ჩამოსათვლელია, ე.წ. პირადი პროექტები, რომლებსაც ჩემი ძირითადი საქმის მიღმა ვაკეთებ. ეს ფოტო კი ერთ-ერთი (და უმთავრესი) მათგანის ნაწილია.

სახლში, სადაც დავიბადე და გავიზარდე, იშვიათად ჩავდივარ, ისიც ცოტა ხნით. ალბათ ეს დისტანცია დამეხმარა, რომ იქაურობისთვის სხვა, მიუჩვეველი თვალით შემეხედა და გადაღება დამეწყო. განსაკუთრებული არაფერია, აქამდე გადაღებული ასობით ფოტოც ჯერ არსად გამომიქვეყნებია (არც ვიცი, გამოვაქვეყნებ თუ არა), მაგრამ პირადის მნიშვნელობაც ეგ არის – დაიტოვო, რაც შენთვის ყველაზე ფასეულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იანა ყოჩაბეზაშვილი

დიდხანს ვფიქრობდი, რა მეთქვა ამ ფოტოს შესახებ. მანამდე თავი ვიმტვრიე, რომელი ფოტო შემერჩია, რომ მასში თავიც ამესახა და კადრშიც არ გამოვჩენილიყავი.

ეს ფოტო შარშან შემოდგომაზე გადავიღე. ალბათ, ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე პერიოდი იყო. ახლა იმასაც კი ვფიქრობ, საერთოდ, როგორ შევძელი კადრის გადაღება.

ერთი წლის წინ მამა წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფო აფსიაური

ინდიფერენტულობა გარემოსადმი გვიან გავაცნობიერე. ეს „გვიან" მაშინ დადგა, როდესაც მივხვდი, რომ საინტერესო აღარაფერი ხდება ჩემს ცხოვრებაში, ან ხდება და ვერ ვხედავ, ან არ მინდა შემჩნევა. სხვანაირად ვფიქრობდი სამი წლის წინ. ეს ფოტოც იმ დროს გადავიღე. მაშინ გაცილებით ჰარმონიულად ვიყავი საკუთარ თავთან. მეგონა, რომ იქ ვიყავი, სადაც მინდოდა ყოფნა. მერე რაღაცები შეიცვალა. ცვლილებებმა მეტად დამაფიქრა თავზე და, მათ შორის, ჩემს ბავშვობაზე, მეტი ეჭვი და ქაოსი შემოიტანა.

ეს ფოტო რაღაცით წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. ზუსტად ასახავს ჩემს ამჟამინდელ მდგომარეობას: საკუთარ თავში დარწმუნებულიც და, ამავდროულად, თითქოს საყრდენგამოცლილიც ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელა ბჰიბალაშვილი

ფოტოგრაფია ჩემთვის მარადისობად ქცეული ცხოვრება, ადამიანები, მოვლენები და მოგონებებია, რომლებიც არ მინდა დავკარგო. ეს ყველაფერი ჩემთვის იმდენად ძვირფასია, მინდა მათ შესახებ სხვებსაც მოვუყვე ხოლმე...

ხაშური. სოფელი თაგვეთი.

ამ ფოტოს გადაღებისას სოფელში მეტი ხალხი იყო, ვიდრე ახლაა. ზოგი ქალაქში გადასახლდა, ზოგი – იმსოფლად.

ახლა კი ზამთრისპირია და მისი სევდაც ემატება ამ ჩემი საბრალო სოფლის მარტოობას. დღე თუ ისე გავა, რომ ერთი კაცი მაინც აივლის ტყისკენ ხარებით და საღამოს შეშას ჩამოატარებს, ეგეც კარგია. ნელა მოიპარება საღამოობით მაღლა მთებიდან ღამე...

გალმა სერზე ტურები იწყებენ კივილს. ადრე ჩემს ბავშვობაში კი მელა მოსთქვამდა ხოლმე ღვთისმშობლის სერიდან. კბილი სტკივაო საწყალს, ამბობდა ბაბოჩემი. დაღამდება და შეიკეტება სახლებში ეს თითო-ოროლა კაციც. მიუსხდებიან ცეცხლს და უყურებენ სერიალებს...

მაჩიამ ამუჩველაშვილი

დილა არ თენდება ისე, რომ გაღვიძებისთანავე არ ჩავერთო ყოველდღიურ რუტინაში და არ დავუსვა თავს შეკითხვები: რისთვის გათენდა ეს დღე? რისთვის არსებობს სამყარო და რა მისიით მოევლინა თითოეული ჩვენგანი ქვეყანას? მათ შორის მეც. ვერასოდეს ვახერხებ, ვისაუზმო და ჭიქა ყავა მოვიმზადო ისე, რომ არ ვიგრძნო ყოფის აბსურდულობა.

„წიგნები არ დაგრჩეთ!", „თბილი ქუდი დაიხურე!", „დღეს რამდენი გაკვეთილი გაქვთ?" – ბავშვებისთვის ამ მითითებების ფონზე, არ მტოვებს უცნაური ლივლივის შეგრძნება, თითქოს ყველაფერი ბურუსითაა მოცული და დიდი ხანია ვცდილობ, პასუხი გავცე შეკითხვებს, თითქოს მოჯადოებულ წრეზე ვიყო – ერთ შეკითხვას მეორე მოსდევს და თავს არ მანებებს ფიქრების უსასრულო ორომტრიალი. ადამიანები თავიანთი სამყაროებით ჩემ გარშემო გაუთავებლად ირევიან, საინტერესო ისტორიებით, თვისებებითა და ხასიათებით, მაგრამ ეს მრავალფეროვნებაში არ არის წესრიგი, მუდამ ქაოსია. ადამიანების სწრაფვა ცხოვრების აზრის ძიებისკენ ხშირად აბსურდული და უაზროა. გარს ვეებერთელა სამყარო მაკრავს, რომლის სულ მცირეოდენი ნაწილი გვაქვს შესწავლილი და შემეცნებული. მე კი ველოდები დროში მოგზაურობის შესაძლებლობას, როდესაც სიკვდილი აღარ იქნება ასეთი შემზარავი. მანამდე კი ამ სამყაროში ვაგრძელებ სხვა ადამიანებთან ერთად ლივლივს და ბურუსში ხეტიალს, იმ იმედით, რომ ჩემი არსებობა არ არის უბრალო შემთხვევითობა...

ბასტი მბაღობიშვილი

როცა ქალაქში ცუდი ამბები გადამხდება ხოლმე, სოფელში მივდივარ – იქ, სადაც დავიბადე და გავიზარდე. სახლში დაბრუნება ჩემთვის ერთგვარი თერაპიაა. ეს ფოტოც ერთი წლის წინ სოფელში ყოფნისას გადავიღე. შუა ღამე იყო, ყინავდა, ირგვლივ ჩემ გარდა არავინ იყო. ეს ფოტო მხოლოდ ჩემ თავს მახსენებს და იმ განწყობას, რომელიც, სხვა ემოციებთან შედარებით, ყველაზე ხშირად მეუფლება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზო ესაძე

მზეა "სხვისი სახლისჯენ"

თბილისის მე-17 საერთაშორისო ჯინოფესტივალის მთავარი პრიზი - "ოქროს ჰრომეთე" ჰესუდან ბლუჰჯიძის ფილმმა დაიმსახურა

ავტორი: დავით ბუხრიკიძე, ფოტო: გია გოგატიშვილი

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის ისტორიაში ძალიან იშვიათია შემთხვევა, როცა საკონკურსო პროგრამაში ერთბაშად ორი ქართული ფილმი მონაწილეობს. ცხადია, წელსაც ეს შემთხვევით არ მომხდარა, რადგან მხოლოდ წინასწარი შერჩევისა თუ სელექციის შემდეგ გახდა ცნობილი, რომელი ფილმები იქნებოდა წარდგენილი კონკურსში. უბრალოდ, ფესტივალის აუცილებელი პირობაა, რომ ფილმი ევროპელმა რეჟისორმა გადაიღოს და ეს მისი პირველი სრულმეტრაჟიანი ნამუშევარი იყოს.

ამდენად, საერთაშორისო ჯილდოებით უკვე დახუნძლული რუსუდან გლურჯიძის „სხვისი სახლიც“ და ნინო ბასილიას „ანას ცხოვრებაც“ სრულიად კანონზომიერად მოხვდნენ მთავარ კონკურსში. სხვათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორის, საქართველომ „სხვისი სახლი" უცხოენოვანი „ოსკარის" ნომინაციაზეც წარადგინა. ფილმს უკვე მოპოვებული აქვს სამი მთავარი პრიზი – კარლოვი-ვარის, ბერგენისა და ევრაზიის საერთაშორისო კინოფესტივალებზე.

„სხვისი სახლი" ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებული ფილმია, რომელიც საქართველოს, რუსეთის, საფრანგეთისა და ხორვატიის კოპროდუქციაა. მთავარ როლებს ია სუხიტაშვილი, სალომე დემურია, ზურაბ მაღალაშვილი, ოლგა დიხოვიჩნაია, ეკატერინე ჯაფარიძე და საბინა ახმედოვა ასრულებენ. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო პრემიერა სწორედ კარლოვი-ვარის საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმართა, რომელიც აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ყველაზე პრესტიჟულ კინოფორუმად მიიჩნევა. ასევე დიდი წარმატებით მონაწილეობდა ბერგენისა და ოდესის საერთაშორისო კინოფესტივალების საკონკურსო პროგრამაში.

ფესტივალის ჟიურის გადაწყვეტილება – მთავარი პრიზით, „ოქროს პრომეთეთი" დაეჯილდიებინათ რუსუდან გლურჯიძის ფილმი, თითქოს მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. ამის შესახებ ჟიურის თავმჯდომარემ, კანადური წარმოშობის ცნობილმა ფრანგმა მსახიობმა, ალექსანდრა სტიუარტმა (60-იან წლებში ის ფრანსუა ტრიუფისა და ლუი მალის მუზა იყო) ფესტივალის საზეიმო დახურვის დღეს განაცხადა: „რამდენიმე ძალიან კარგი ფილმი ვნახეთ ფესტივალზე, მაგრამ „სხვისი სახლი" გამოირჩეოდა განსაკუთრებული პოეტურობით, სიფაქიზითა და მელანქოლიით, რომელმაც გაგვახსენა დიდი და პოეტური კინემატოგრაფის სურნელი, რაც სამწუხაროდ, დღეს იშვიათობაა".

ფილმში მოქმედება აფხაზეთის ომის შემდგომ პერიოდში, 90-იან წლებში, თითქმის დაცარიელებულ სოფელში ხდება. მანდარინის ბაღები, გორაკები, სიმწვანე, წვიმა და სინესტე მოულოდნელად ერწყმის უცნაურ, გაურკვეველ და შიშის მომგვრელ ატმოსფეროს, რომელსაც შესანიშნავად, მაგრამ თავშეკავებით აღწერს თუ აღწევს ესპანელი ოპერატორის, გორკა გომეს ანდრეუს კამერა.

უშუალოდ ომის საშინელებებსა და ტრავმებს ფილმში ვერ ნახავთ, მაგრამ ის ბევრად უფრო საინტერესო, პოეტურად ტრანსფორმირებულ და ფსიქოლოგიურად მძიმე შრეებს შეიცავს, რაც სინამდვილეში ნებისმიერი ომის თანამდევია.

გარდასული ომისა და ოკუპაციის თემები ირეკლება ცარიელი და მიტოვებული სახლების უჩვეულო სიჩუმეში, ოთახებში დატოვებულ, თუ შემთხვევით დაყრილ ნივთებში, მწვანედ შეფენილ მთებსა და მანდარინის ბაღებში, რომელიც სინამდვილეში საშიშია, რადგან დანაღმულია... სიტყვაძუნწი და კუშტი ქალების ფარულ-სექსუალური ვნებები და სევდიანად მომზირალი ბავშვების სახეები გაგრძნობინებთ, რომ ზღაპრული ლანდშაფტი და ომის საშინელება ერთად, ზოგჯერ ყველაზე სიურრეალისტური ფილმის სიუჟეტზე უფრო დაუჯერებელია.

ფერწერული დახვეწილობებისა და ვერმეერისეული შუქწერის მსგავსი კადრების მიუხედავად (პლუს ტარკოვსკისეული, ერთგვარი დეპრესიულ-„გასულიერებული" პოეტურობა და გამოსახულება, რაც ასე მოეწონათ ჟიურის წევრებს), ფილმს აშკარად აკლია ამბის რეალურობა, კონკრეტულობა და თხრობის დრამატიზმი.

ფილმის დასაწყისი, დაახლოებით ოცი წუთი, როცა სოფელში ასტამური (ზურა მაღალაშვილი) მისი მეუღლე, ლიზა (ოლგა დიხავიჩნაია) ჩამოდიან და ერთ-ერთ მიტოვებულ სახლში შესახლდებიან, გაწელილი და გრძელია. მეორე სიუჟეტური ხაზი – ხისტად, მილიტარისტულად განწყობილი ირა (სოლმე დემურია) მისი და, აზიდა (ია სუხიტაშვილი) ოდნავ ხელოვნური და ლიტერატურულია. შორი და საშუალო ხედები თითქის კარგი და გამჭვირვალეა, დრამატულ

საერთაშორისო ჯილდოებით უკვე დახუნძლული რუსუდან გლურჯიძის „სხვისი სახლიც" და ნინო ბასილიას „ანას ცხოვრებაც" სრულიად კანონზომიერად მოხვდნენ მთავარ კონკურსში. სხვათა შორის, საქართველომ „სხვისი სახლი" უცხოენოვანი „ოსკარის" ნომინაციაზეც წარადგინა. ფილმს უკვე მოპოვებული აქვს სამი მთავარი პრიზი – კარლოვი-ვარის, ბერგენისა და ევრაზიის საერთაშორისო კინოფესტივალებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსხვილ პლანს კი მსახიობები მაინც ვერ უმკლავდებიან. ასეა თუ ისე, ფილმს კარგი საფესტივალო ბეგრაუნდი აქვს და არანაკლებ საინტერესო გამოხმაურება უცხოურ პრესაში.

„ვერცხლის პრომეთე" საუკეთესო რეჟისურისთვის დაიმსახურა რეჟისორ იანივ ბერმანის (ისრაელი) ძალიან საინტერესო, მეტაფორულმა ფილმმა „პატარა ადამიანების მიწა", რომელშიც ბავშვების სისატიკე და მილიტარიზმის თემა მოულოდნელადაა ერთმანეთთან გარითმული.

ოთხი პატარა ბიჭი, რომლებიც სამხედრო ოფიცრების დასახლებაში ცხოვრობენ, პატარა ბანდას ჩამოაყალიბებენ. მინდორში მდებარე ძველ, მიტოვებულ სამხედრო ბაზას ისინი „სამხედრო ბანაკად" აქცევენ – ვითომ ისრაელში ახალი ომი იწყება. მამაკაცები ქვეყნის დასაცავად, ჯარში მიდიან, აღელვებული ქალები ტელევიზორების წინ სხედან და ახალ ამბებს უსმენენ.

ამასობაში თამაშით დაღლილი ბავშვები მართლა გადააწყდებიან დეზერტირ ჯარისკაცებს, რომლებიც მათ ბანაკს სამალავად იყენებდნენ. ბავშვები ცდილობენ, დაკარგული „ტერიტორია" დაიბრუნონ, მაგრამ ჯარისკაცები იქ საფუძვლიანად გამაგრდნენ. მათ შორის სასტიკი, ულმობელი ბრძოლა იწყება: ჯარისკაცები, რომლებიც საომარ მოქმედებებს გამოექცნენ, მშვიდობის დროს არანაკლებ სახიფათო დაპირისპირებაში აღმოჩნდნენ....და თან ვისთან, ბავშვებთან! მოულოდნელი სიუჟეტი, დაძაბული თხრობა და ანტიმილიტარისტული განწყობა ბერმანის ფილმს უდავოდ მატებს მხატვრულ ღირსებას და პოლიტიკურ კონტექსტს.

ჩემი აზრით, ჟიურიმ უყურადღებოდ დატოვა საფესტივალო კონკურსში მონაწილე ორი კარგი ფილმი: რუმინელი რეჟისორის, ბოგდან სმირკას „ძაღლები" და სერბი რეჟისორისა და სცენარისტის, მირიანა კარანოვიჩის „კარგი ცოლი". პირველი რუმინეთის საზღვრისპირა, დაცარიელებული სოფლის მშვიდ ეგზისტენციაზე მოგვითხრობს, სადაც მომძლავრებული კონტრაბანდისტები და კრიმინალები თავისუფლად დათარეშობენ. სასტიკი მკვლელობები ფინალში ფილმს გარკვეულწილად აუბრალოებს, თუმცა ირონიული მიდგომითა და ხარისხიანი გამოსახულებით რეჟისორი ინარჩუნებს ამერიკული ვესტერნების ატმოსფეროს, რომელსაც „ამაგრებს" კიდეც შავი იუმორით.

რაც შეეხება მსახიობის, სცენარისტისა და რეჟისორის, მირიანა კარანოვიჩის ფილმს, ის სერბეთის უახლეს პოლიტიკურ წარსულს, პრობლემებსა და დავიწყებულ იარებს დაუნდობლად ასახავს (ან იქნებ ფსიქოლოგიურად უსწორდება?!) მილენა შუახნის, სიმპათიური ქალია, რომელიც ბელგრადის მდიდრულ გარეუბანში კომფორტულად ცხოვრობს. როგორც ყველა შეძლებული ქალი, ზრუნავს გარეგნობაზე, თუმცა მორჩილად ამზადებს კერძებს და ართობს სხვებსაც. უყვარს მეუღლე, შვილები და მეგობრები. თუმცა მშფოთვარე სინამდვილე მაინც იჭრება მილენას ცხოვრებაში და მის მოწესრიგებულ სამყაროს ანგრევს. სარდაფში ის შემთხვევით აღმოაჩენს ვიდეოფირს, რომელზეც მისი მეუღლისა და მეუღლის მეგობრების საშინელი სა-

მარგარეტ ფონ ტროტა



იანივ ბერმანი



რუსუდან გლურჯიძე

ფილმში მოქმედება აფხაზეთის ომის შემდგომ პერიოდში, 90-იან წლებში, თითქმის დაცარიელებულ სოფელში ხდება. მანდარინის ბაღები, გორაკები, სიმწვანე, წვიმა და სინესტე მოულოდნელად ერწყმის უცნაურ, გაურკვეველ და შიშის მომგვრელ ატმოსფეროს, რომელსაც შესანიშნავად, მაგრამ თავშეკავებით აღწერს თუ აღწევს ესპანელი ოპერატორის, გორკა გომეს ანდრეუს კამერა.

მხედრო დანაშაულია ასახული - როგორ დახვრიტეს სამხედრო ტყვეები.

აღსანიშნავია, რომ მირიანა კარანოვიჩი თავად ასრულებს ფილმში მთავარ როლს. ის ცნობილი მსახიობია სერბეთში და ასევე წარმატებით განაგრძობს რეჟისორის კარიერას.

ასევე უნდა აღინიშნოს საკონკურსო პროგრამაში მონაწილე ფილმი „მამაჩემის ფრთები", რომელიც დოკუმენტური კინოს ჟანრში მომუშავე თურქმა რეჟისორმა, კივანს სეზერმა გადაიღო. შუა ხნის იბრაჰიმი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე მუშაობს. მას არასტაბილური შემოსავალი აქვს, მაგრამ ოჯახის გამო იძულებულია მძიმე და სარისკო სამუშაოზე დასთანხმდეს. მოულოდნელად ფილტვების სიმსივნეს დაუდგენენ, რაც მის ცხოვრებას მთლიანად ცვლის. მომავლისთვის არავითარი პერსპექტივა აღარ ჩანს.... ამასობაში ვრცელდება ჭორი, რომ სამშენებლო კომპანიამ მოულოდნელად დაღუპული თანამშრომლის ოჯახს სოლიდური კომპენსაცია გადაუხადა. ამის შემდეგ იბრაჰიმს ოჯახის გადასარჩენად მსხვერპლშეწირვის იდეა შეიპყრობს და მშენებარე სახლის მეათე სართულიდან გადახტება!

რეჟისორი მკაცრად და დამაჯერებლად ასახავს ერთი მხრივ, მშენებლობებზე დასაქმებული მუშების მძიმე და უუფლებო მდგომარეობას და მეორე მხრივ სამშენებლო კომპანიების ცინიზმს, რომლებიც მუშებს ონტრაქტის გარეშე, ძალიან იაფად ამუშავებენ. აღსანიშნავია, რომ კივანს სეზერი რამდენიმე წლის განმავლობაში ბოლონიაში დოკუმენტური კინოს სკოლაში სწავლობდა, შემდეგ თურქეთში დაბრუნდა და სატელევიზო ფილმები გადაიღო. „მამაჩემის ფრთები" მისი დებიუტია მხატვრულ კინოში.

საკონკურსო ფილმების მიმოხილვას დრამატურგის, სცენარისტისა და რეჟისორის, ნინო ბასილიას „ანას ცხოვრებით" დავასრულებთ. ის ფაქტი, რომ კონკურსში საერთაშორისო ფესტივალების გამარჯვებული, ორი სრულიად განსხვავებული ესთეტიკის ქართული ფილმი მოხვდა, ნიშნავს, რომ მოარული შიში ეროვნუ-

2016 წელს საპატიო „ოქროს პრომეთე“ ქართული კინემატოგრაფის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის რეჟისორსა და მსახიობს, რეზო ესაძეს გადაეცა. გასულ წელს ეს ჯილდო ლანა ღოლობერიძემ მიიღო.

ლი კინემატოგრაფის გაქრობა-დაცემა-გარდაცვალებაზე ჯერ კიდევ გადაჭარბებულია. რასაკვირველია, ყოველთვის არსებობდა და არსებობს ორგანიზაციული თუ ფინანსური პრობლემები, მაგრამ შემოქმედება, სიახლე და გამბედაობა საბოლოოდ ბევრად უფრო ფასობს და მნიშვნელოვანია, ვიდრე მხოლოდ ფუჭი განცდები და რეფლექსია ქართული კინოს დიდ წარსულზე.

„ანას ცხოვრება“ მრავალშრიანი და სხვადასხვა თემით დახუნძლული ფილმია. მასში თითქმის ყველაფერია, რაც ასე მოსწონთ სოციალური კინემატოგრაფის მოყვარულებს – მარტოხელა დედა, რომელიც აუტიზმით დაავადებული შვილის საცხოვრებელი პირობებისთვის იბრძვის; მისი ყოფილი ქმარი, რომელსაც შვილი არ აინტერესებს და საკუთარი ცხოვრება აქვს; ანას მეგობარი ორსული გოგონა, რომელიც მას ხშირად ფსიქოლოგიურად ეხმარება; ბებია, რომელსაც მეხსიერების პრობლემები აქვს; თაღლითი, რომელიც ანას ამერიკის ვიზას ჰპირდება, მაგრამ საბოლოოდ ატყუებს; საბაჟოს თანამშრომელი კაცი, რომლის ბინასაც ანა დრო და დრო ალაგებს; ანას უცნაური თინეიჯერი-თაყვანისმცემელი...

ფილმიდან ერთმნიშვნელოვნად ჩანს, რომ ნინო ბასილია უფრო კარგი სცენარისტი და ამბის მთხრობელია და შემდეგ უკვე რეჟისორი. რაც ფილმის სახვით, ასე ვთქვათ „უშუალო და სატელევიზიო“ გამოსახულებაშიც აისახება. ნინო ბასილიას პიესები იდგმებოდა 90-იან წლებში და დღესაც იდგმება ქართულ სცენაზე. დრამატურგიის კარგი ცოდნა, უშუალო დიალოგები, მოულოდნელი სოციალური და ფსიქოლოგიური კონტრასტები და მთავარი გმირის, ანას შეუპოვარი, მებრძოლი ხასიათის ჩვენება (არ შეიძლება, განსაკუთრებით არ აღვნიშნოთ ეკატერინე დემეტრაძის ნამუშევარი) განსაზღვრავს კიდეც ფილმის წარმატებას.

ნინო ბასილიას ფილმი ნომინირებული იყო ინგმარ ბერგმანის სახელობის პრემიაზე გიოტებორგის საერთაშორისო კინოფესტივალზე. ასევე მოიპოვა ვალენსიის კინოფესტივალის გრან-პრი და მოგვიანებით საუკეთესო რეჟისორის ჯილდო არასისის საერთაშორისო კინოფესტივალზე, საფრანგეთში. ნოემბერში კი არგენტინაში, საერთაშორისო კინოფესტივალ Construir Cine-ზე ასევე მთავარი პრიზი დაიმსახურა.

თბილისის კინოფესტივალმა ბასილიას ფილმს არც „ვერცხლის პრომეთე“ არგუნა (საუკეთესო რეჟისურის პრიზი როგორც უკვე აღვნიშნეთ, იანივ ბერმანს გადაეცა) და არც ოქროსი. პრინციპში, გასაგებია, რა დილემის წინაშეც აღმოჩნდა ფესტივალის ჟიური. მას ან სოციალური და დოკუმენტური მიმართულებისთვის უნდა დაეჭირა მხარი (ასე ვთქვათ, დარდენებისა და ლოუჩის ხაზი), ან გამომსახველობისა და არტჰაუზისთვის (ბერგმანისა და ტარკოვის მიმართულება). როგორც ჩანს, ჟიურის წევრები და განსაკუთრებით მისი თავმჯდომარე, უფრო რუსუდან გლურჯიძის ფილმის არტ-გამომსახველობითა და პოეტურობით მოიხიბლნენ, ვიდრე ნინო ბასილიას უბრალო, ემოციური და შედარებით სწორხაზოვანი თხრობით. ხოლო ოქროსა და ვერცხლის „პრომეთეების“ ქარ„თველ რეჟისორებზე განაწილებით კიდევ უფრო მეტი უხერხულობა შეიქმნებოდა. თუმცა ორივე ფილმს ჯერ კიდევ წინ აქვს წარმატება.

2016 წელს საპატიო „ოქროს პრომეთე“ ქართული კინემატოგრაფის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის რეჟისორსა და მსახიობს, რეზო ესაძეს გადაეცა. გასულ წელს ეს ჯილდო ლანა ღოლობერიძემ მიიღო. როდესაც 82 წლის რეჟისორი სცენაზე ავიდა, მადლობის ნიშნად მაყურებელს დაუჩოქა და ასე გამოხატა თავისი მადლიერება, მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და გულწრფელი ემოციითა და ხანგრძლივი ტაშით გამოხატა რეჟისორის მიმართ დამოკიდებულება. დაჯილდოების შემდეგ კი რეზო ესაძის ახალი ფილმის, „დღე, როგორც ერთი თვე“, ჩვენება გაიმართა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საახალწლო ანალიზი

გიო ახვლედიანი

შობა კი მოდის და საზეიმო ვითარებანიც და სავაჭრო, თუ სანუგბარო ციებ-ცხელებაც იმატებს, ხოლო პრემიერლიგაში უხვი საშობაო თამაშებისთვის ემზადებიან. ამ კვირის მთავარი ახალი ამბავი განთქმულ ვექილ რიჩარდ მაკლარენის ახალ ანტისადოპინგო ანგარიშს ეხება, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს დაწოლას რუსეთზე და სხვა ათას გაუგონარ სადოპინგო ამბავთან ერთად გაშიფრულადაც წარმოადგენს სოჭის ოლიმპიადაზე რუსი სპორტსმენების შარდის ანალიზების შეცვლის სქემას, რაც ანგარიშის მიხედვით ამ ქვეყნის საიდუმლო სამსახურებს შეუმუშავებიათ.

ჩეკას საქმე და ხლართები არასდროს აკლდა, მაგრამ ჩანს ამ ქვეყნისათვის სპორტულ კვარცხლბეკთა დაპყრობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ჯილდოების მოპოვების საქმეში სახელმწიფო მანქანის ყველაზე მძიმე არტილერია ჩართულა.

რა თქმა უნდა, რუსი სპორტსმენების ანალიზები სულ ბოლო რამაა, რაზეც კაცმა დეკემბრის მეორე ნახევარში უნდა იფიქროს, მაგრამ რუსული სახელმწიფო სადოპინგო სისტემის გარშემო გაჩაღებული ხანძარი, რომელიც აგერ რამდენი ხანია გრძელდება, სულაც არ აპირებს მინავლას და ახალი და ახალი სურათებითა და სამარცხვინოობებით ივსება.

კვლავაც, რა თქმა უნდა, რუსეთი უარყოფს დოპინგის ამბავში სახელმწიფო სისტემის არსებობას და ან ანგარიშებში მოყვანილი ფაქტების ვითომდა შესწავლის დაპირებებით, ანაც მათი უსაფუძვლო ბრალდებებად მოხსენიებით იფარგლება, მაგრამ დასავლეთში ხომ ასე იციან: თუ რაიმე ბნელ ისტორიას წასწვდებიან, მერე ამბავი თითქმის არასდროს რბილდება.

რუსული დოპინგის საქმეც ასეთია.

ათასამდე სხვადასხვა სახეობის რუსი სპორტსმენი სწორედ დოპინგის ხარჯზე აღწევდა მაღალ შედეგებს, იგებდა ოლიმპიურ მედლებს და საერთოდაც, სპორტის ვარსკვლავად იწოდებოდა.

ანაბოლიკი სტეროიდების გამოყენების გამართული სისტემა, რომლის არსიც სპორტსმენის მონაცემებისა და საშეჯიბროდ ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილია ამ ხერხებზე მომუშავე განთქმული სპორტული მედიკოსის, პორტუგალოვის ამბავიც, თუმცა ახლა ამას ისიც დაემატა, რომ რუსეთისათვის მაშინ საოცნებო და მერე დიდი ამბით ჩატარებულ სოჭის ოლიმპიადაზე საქმეში სულაც ჩეკა ყოფილა გარეული და პოზიტიურტესტიანი ანალიზების კონტეინერების შეცვლა-გაპარების საქმეზე მთელი სამსახურებიც მუშაობდა. ნაპოვნია ელექტრონული მიმოწერაც, სადაც ვილაცები იმას ეკითხებიან სპორტის სამინისტროს, მას გადაუგზავნონ მოპარული კონტეინერები, თუ გაანადგურონ.

ბესებაა, თავის თავში იმასაც იტევს, რომ ეს დოპინგი ანალიზისათვის უხილავი შეიქნას.

ცნობილია ამ ხერხებზე მომუშავე განთქმული სპორტული მედიკოსის, პორტუგალოვის ამბავიც, თუმცა ახლა ამას ისიც დაემატა, რომ რუსეთისათვის მაშინ საოცნებო და მერე დიდი ამბით ჩატარებულ სოჭის ოლიმპიადაზე საქმეში სულაც ჩეკა ყოფილა გარეული და პოზიტიურტესტიანი ანალიზების კონტეინერების შეცვლა-გაპარების საქმეზე მთელი სამსახურებიც მუშაობდა. ნაპოვნია ელექტრონული მიმოწერაც, სადაც ვილაცები იმას ეკითხებიან სპორტის სამინისტროს, მას გადაუგზავნონ მოპარული კონტეინერები, თუ გაანადგურონ.

რა თქმა უნდა, უცხო ქვეყანაში ამის კეთება ბევრად ძნელი იქნებოდა ვიდრე შინ, თუმცა მაკლარენის ანგარიშში ნათქვამია, რომ ლონდონის ოლიმპიადა უპრეცედენტო იყო დოპინგური გამარჯვებების ოდენობისა და მასშტაბის მხრივ. სტატისტიკა ცნობილია, სკანდალური ისტორიებიც, ჩამორთმეული მედლების ამბებიც, დისკვალიფიცირებული სპორტსმენების ბედიც და სხვა უამრავიც.

ახლა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი საერთოდაც ხელახლა აპირებს სოჭის ოლიმპიადის დროიდან შენახული 254 რუსი სპორტსმენის შარდის ნიმუშის შემოწმებას.

აი, სპორტული საქმე!

თუმცა რას იზამ. საქმე იქითკენ მიდის, რომ რუსი სპორტსმენების დისკვალიფიცირება და ჯილდოების მასობრივი აყრა გაგრძელდება, ხოლო 2018 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე რუსული გუნდის დაშვების შესაძლებლობა სულ უფრო და უფრო მცირდება. კიდევ მეტი, ამბობენ, რომ შესაძლოა, რუსეთს მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლობაც კი ჩამოერთვას. თანაც, დოპინგში რუსი ფეხბურთელებიც არიან მხილებულნი.

მოკლედ, დარტყმა დარტყმაზე მოდის, თუმცა მთავარი დარტყმები, თუ ასეთები იქნა, ჯერ კიდევ წინაა და რამდენად და როგორ გაუმკლავდება ამას რუსეთი, ჯერ არ ვიცით. ეს უკვე პოლიტიკური ამბავია. სახელმწიფო სპორტში პოლიტიკა ყოველთვის ძალიან ბევრია: სიტყვები ეროვნული ნაკრები და ოლიმპიადა სპორტის ბევრ სახეობას უკვე ისეთ მახინჯ ნიღაბს არგებს ხოლმე, რომ იქ სპორტიდან მხოლოდ დოპინგით გაჭყეპილი, თვალებანთებული ახალგაზრდები რჩებიან, რომლებიც ვინ იცის, რა უბედურებებს გადიან, სანუკვარ ჯილდომდე მისაღწევად.

ამავე კვირაში ბიბისის ინტერვიუ მისცა რუსეთიდან გაქცეულმა რვაას მეტრზე მორბენალმა იულია სტეპანოვამ, რომელიც თავად მთელი კარიერა დოპინგით იყო გამოტენილი, ქმრად კი რუსეთის ანტისადოპინგო სააგენტოს პატიოსანი ოფიცერი შეხვდა და მისი ჩაგონებით სპორტის პირაქეთა სნოუდენად იქცა:

სწორედ ისე, როგორც ცივი ომის დროს, სტეპანოვა დასავლეთში გაიქცა და როგორც ამბობენ, ახლა საიდუმლო მისამართზე ცხოვრობს ამერიკაში, რათა იქ ჩეკას მსახვრალი ხელი არ მისწვდეს. მას ერთხელ უკვე გაუტეხეს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ვებგვერდზე არსებული გვერდი და ამით მისი მისამართიც დაადგინეს, რის შემდეგაც სამყოფელი გამოიცვალა.

ამ ოცდაათი წლის ქალმა, როგორც ოდინდელმა საბჭოთა დროის გადამრბენებმა, თავისი პირადი ისტორია გაასაჯაროვა და მძიმე ცხოვრებაც განვლო მას შემდეგ, რაც საკუთრი დოპინგ-სპორტსმენობა ამხილა.

ყველაფერი კი მართლაც ისეა, როგორც ძველ, ტკბილ საბჭოთა დროის შტირლიცობაში: ჯაშუშები, გაქცევა, სახელმწიფოსთვის საჭირო გამარჯვებები, ლეგენდარული გედერული სადოპინგო სისტემა, რომელსაც საბჭოთა მხოლოდ ემონაფებოდა და გმირები, რომლებიც სინამდვილეში არაფრის გმირები არ არიან, რადგან საბოლოო ჯამში სპორტს სპორტისა აღარაფერი სცხია, მისი სული კი მკვდარია, რაც სევდიანი ამბავია, სხვა ათას რამეს რომ თავი დავანებოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა





№ 20/94

ეროვნული ბიბლიოთეკა

WWW.LIBERALI.GE

მოგვყევით

twitter

http://twitter.com/LiberaliMagazine

მოგვიწონეთ

Facebook

http://facebook.com/LiberaliMagazine

გამოიწერეთ

YouTube

http://youtube.com/LiberaliMagazine